



რამაზ სურგანიძე

ივანე მესხი

(ქალაქის მდივანი)

თბილისი
2013

წიგნი ცნობილ ქართველ მუნიციპალურ და საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტს, მთარგმნელსა და ლიტერატორს ეძღვნება. ცალკე მონოგრაფიად იგი პირველად გამოდის, ავტორმა ცაკაოდ ღრმად შეისწავლა ივანე მესხის ცხოვრება-მოღვაწეობა: ბავშვობა, სწავლა და მუნიციპალური საქმიანობა:

ივანე მესხი მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეულში იმპერიული რუსეთის სამსახურში იყო, მაგრამ გამუდმებით საკუთარი სამშობლოს ჭირ-ვარამზე ზრუნავდა.

სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეგრძოლთა ერთ ჯგუფში (ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი და სხვ.), რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, ივანე მესხს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა და სამსახურებრივ მდგომარეობას მოხერხებულად იყენებდა საკუთარი მამულისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ოკთველი წიგნში გაცნობა მესხთა გვარის წარმომავლობას, მისი ღირსეული წარმონადგენების, აგრეთვე ივანე მესხის დიდდი ოჯახის წევრთა ბიოგრაფიებს და დამსახურებას ერის წინაშე; შეფასებულია ივანე მესხის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. წიგნს თანერთვის 1888-1916 წწ ბათუმის სათათბიროს ხსოვნების სრული სია, აგრეთვე ივანე მესხს მოგონება, „ბათუმის თავდასავალი“, რომელიც პირველად ქვეყნდება.

ვფიქრობთ ასეთი სახით ეს წიგნი მკითხველთა ინტერესს გამოიწვევს.

რედაქტორი **ოთარ ბობოლიშვილი**,

რეცენზენტები: **რევაზ უზუნაძე**,
ნუზარ ზონიძე.

ნახილნი პირველი

წინათქმა

ქუთაისელ (რიონელ) მესხთა შესახებ მრავალი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე ძვირფასი და ხატოვანი სიტყვები ეკუთვნის თვალსაჩინო ქართველ მწერალს ნიკოლორთქიფანიძეს. მესხთა ოჯახის ნიკოსეული დახასიათება იმდენად შთამბეჭდავია, რომ მათ ვერავინ აუვლის გვერდს და მეც ამ წიგნს, ჩემთვის უჩვეულოდ, სწორედ ამ სიტყვებით ვიწყებ:

„მესხების ოჯახი ქართული კულტურის მთელი ხომლია, რომლის ყოველი სანთელი მეტ-ნაკლები სიძლიერით, მაგრამ ერთგვარი ურყეობით იწვოდა მრავალი წელი:

აი, სერგი მესხი – რაინდი ქართული პუბლიცისტიკისა; ქართული კულტურისადმი უმწიკველო, თავდადებული სიყვარულით რომ სცოცხლობდა და იღწვოდა.

კოტე მესხი – თეატრის ზოგჯერ ფიანდაზა, ზოგჯერ ბურჯი და მტვირთველი, სცენის თავყანისცემით რომ თარგმნიდა, როლებს ასრულებდა, რეჟისორობდა და გარემოს ხელოვნებისადმი მიჯნურობით რომ აცოცხლებდა.

დათიკო მესხი – რედაქციის ჩუმი მუშაკი, მსახიობი, იუმორისტი, მარად გამზადებული წრფელი თავდადება – რომ სამსახური მიუძღვნას საქმეს.

ეფემია მესხი – უეცრად რომ დაიპყრო თეატრი, თავისი ზოლი გაავლო ქართულ სახიობაში, კურთხევა თავიდანვე აკაკისაგან მიიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, სამუდამოდ არ დარჩა სცენის არეზე.

ივანე მესხი – ბათუმის და მთელი აჭარის სულიერად შემოერთების საქმეში თანამებრძოლი პოეტ გრ. ვოლსკისა და ლ. ასათიანისა, შავრაზმულ რუსეთის პრესით გამაგრებული რუსეთის ბიუროკრატიათა კრიჭაში რომ უდგნენ და მუსლიმან ქართველთა გადამგვარებულ ტალღებს რომ ებრძოდნენ...

უცნაური ოჯახია! ყოველ წევრს შინაგანი დემონი მიიზიდავდა კულტურული საქმიანობისაკენ.“

* * *

ივანე მესხი ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარის წარმომადგენელია. ვფიქრობ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ გვარის წარმომავლობა.

ცნობილია, რომ ადამიანთა სახელები გაცილებით ადრე წარმოიშვა, ვიდრე ადამიანის გვარები. საქართველოში რამდენიმე გვარი მე-9 საუკუნიდან გვხვდება. ხოლო უმრავლესობა, რომლებიც დღესაც იხმარება, მე-13-15 საუკუნეებში, ან უფრო გვიან წარმოქმნილა. გვარის წარმოქმნას უნდა უკავშირდებოდეს ტერმინი გვარიშვილი, გვარიშვილობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამკვიდრო აღვიდას ქართველი კაცი გვარების მიხედვით სახლდებოდა. ასე წარმოიშვა ე. წ. ბუდე-სოფლები, რომლები-თაც წარსულში იქმნებოდა მხარე და ქვეყანაც. სამწუხაროდ შემდგომში ეს ტრადიცია ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზით ირღვეოდა და იკარგებოდა. თუმცა გვაროვნული დასახლებები და ბუდე-სოფლები დღესაც შენარჩუნებულია, რასაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოდ გვარის მცნებაში სისხლით ნათესავთა ჯგუფს გულისხმობენ, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოხატავს ძირითად შინაარსს, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში ერთი და იგივე გვარის მატარებელი ყველა ჯგუფი არ არის სისხლით ნათესავი. ჩვენში გვარებმა ძირითადად მამისეული (იშვიათად დედისეული) განვითარების საფეხურები განვლო და საზოგადოების ეკონომიკური უჯრედიც პატრიარქალური ოჯახი გახდა, რომელსაც საქართველოში ტერმინი „სახლი“ გამოხატავდა.

მესხების გვარი, როგორც ვთქვით, უძველეს გვარებს მიეკუთვნება. იგი რამდენიმე ასეთი „სახლითაა“ წარმოდგენილი. ამჟამად საქართველოში ამ გვარის დაახლოებით ათასამდე ოჯახი და 4000-ზე მეტი სული ცხოვრობს. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად თბილისსა (1200) და იმერეთში: ქუთაისში (500-მდე) და საჩხერეში (300-მდე), მცირე რაოდენობით აჭარაში ცხოვრობენ.¹

ჩვენი კვლევის მიზანია, ივანე მესხის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლასთან ერთად, დავადგინოთ გვარის წარმომავლობა

(ონომასტი-კონი), მისი ადგილი ქართულ გვარებს შორის და ამ გვარის წარმომადგენელთა როლი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

წიგნი ერთი ავტორის ხელით იწერება, მაგრამ მისი საბოლოო ვარიანტი გავაცანით გვარის ცალკეულ წევრებს და დაინტერესებულ პირებს. ყველა მათგანის საქმიანი შენიშვნა, წინადადება და რჩევა-დარიგება გათვალისწინებულია საბოლოო რედაქციის დროს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ ნაშრომს არ აქვს სისრულის პრეტენზია. იგი მხოლოდ მესხთა გვარიდან გამოსული ერთი ქართველი მამულიშვილის ცხოვრებისა და საგვარეულოს გენეალოგიური კვლევის ერთ-ერთი პირველი ცდაა, ამიტომ არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. მომავალ მკვლევარს ეს წიგნი გზას გაუხსნის ახალი მასალის მოპოვებისაკენ. იმედია მომდევნო თაობა შეასწორებს ჩვენს მიერ დაშვებულ უნებლიე შეცდომებს, კიდევ უფრო შეავსებს ამ ნაამაგარს, რითაც წიგნი კიდევ უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

ბვარის წარმომავლობა

ენათმეცნიერებაში სიტყვის წარმომავლობას, შედგენილობას და მის მნიშვნელობას წარსულში შეისწავლის მეცნიერება, რომელსაც ეტიმოლოგია ეწოდება. რაც შეეხება საკუთარ სახელებს და აქედან გამომდინარე გვარებს, შეისწავლის მეცნიერების დარგი, რომელსაც ონომასტიკა ჰქვია.

ჩვენთვის საინტერესო გვარის, **მესხი-ს** ეტიმოლოგია და ონომასტიკონი ჯერჯერობით არავის შეუსწავლია, ამიტომ ჩვენ ამ გვარის წარმომავლობის კვლევას შევეცდებით წინამორბედი ავტორების გარეშე.

თავის დროზე ამ თემით დაინტერესებულა ივანე მესხის ძმა დავითი. იგი წერს: „მესხების გენეალოგია ძველისძველია, ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. შორეულ წინაპრებად იტყოდნენ მოსოხებს, მოსაგეტებს. მესხი გვარად მერე გადაიქცა. ადრე მესხი თემური წოდება იყო ისე, როგორც ლეჩხუმი – ლეჩხუმელი, რაჭა – რაჭველი და სხვ. ჩვენც მესხეთიდან უნდა ვიყოთ, მესხები.“²

ეთნონიმი მესხი (მოსხი) გვარად, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ მე-ნ საუკუნეში იქცა, რაც ძალზე იშვიათია ქართული გვარების ონომასტიკის ისტორიაში. მის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იოანე მოსხი (მესხი), რომელიც 550-634 წლებში ცხოვრობდა. ასევე გამონაკლისია ანტონ და მაკარი მესხები, მე-12-13 საუკუნეების სასულიერო პირები და მწიგნობრები, რომელთა შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

მესხი, როგორც თვით ეს სიტყვა გვკარნახობს, უძველესი ქართული ტომის სახელია. მას საუკუნეების განმავლობაში ფორმა არ შეუცვლია (გამონაკლისია მოსხი) და იგი ყოველთვის ერთ-ერთ ტომს გამოხატავდა, რომელიც ამავე სახელის მხარეში მესხეთში ბინადრობდა.

საქართველოს ცალკეული კუთხეები პრაქტიკულად არასოდეს ყოფილა ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებული. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათიანი საქართველოს (სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რაჭა, აჭარა და სხვ.) ერთგვარი კარჩაკეტილი წესით ცხოვრობდნენ, მაგრამ სრულ განცალკევებას აქაც არ ჰქონია ადგილი. მიუხედავად ამისა, მესხეთიდან მოსახლეობის მიგრაციას, მშობლიური მხარის ან ახალი დასახლებისათვის იმ დროს კვალი არ დაუმჩნევია, მაგრამ ამ პროცესის შედეგი გამოვლინდა გვიან, როცა მესხეთიდან მიგრირებულნი გამრავლდნენ და გვარად მესხად იწოდნენ.

საქართველოს არცერთ კუთხეს მშვიდი ცხოვრება არასოდეს ჰქონდა. გამონაკლისი არც მესხეთი იყო. ამ მხარემ არაერთი შემოსევა, აოხრება და რბევა გამოიარა, მაგრამ განსაკუთრებული იყო მე-16 საუკუნე, როცა ოსმალეთმა ისარგებლა საქართველოს დასუსტებით, ქვეყანაში განვითარებული შინაფეოდალური აშლილობით, ქვეყნის უძველესი ისტორიული ნაწილი მესხეთი დაიპყრო და იქ თავისი ადმინისტრაციული ერთეული ახალციხის საფაშო შექმნა.

დაიწყო დაპყრობილი ქართული პროვინციის ისლამიზაცია და ოსმალური წეს-წყობილების დამყარება, რასაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ შეეგუა. ამას მასობრივი რბევა-აწიოკება და ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა, რის გამო მესხეთის მკვიდრთა დიდი ნაწილი მშობლიური ადგილებიდან აიყარა და საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლდა.

ემიგრირებული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა ადრე არსებული საკუთარი გვარი, მაგრამ ერთი ნაწილი იხსენიებოდა არა ძველი გვარით, არამედ ეთნიკური წარმომავლობით. ასე გაჩნდა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (იმერეთი, ქართლი, აჭარა) გვარი მესხი, რომელიც მესხეთიდან ლტოლვილ მოსახლეობას ნებით თუ უნებლიედ შეერქვა.

ამგვარად მესხი გვარადქცეული ეთნონიმია, რომელიც საფუძვლად დაედო გვარებს: მესხი, მესხიძე, მესხიშვილი, მესხელი, მესხაძე, მესხია, მესხორაძე და ა. შ. ყველა ისინი წარსულში, როგორც ვთქვით, სხვა გვარით იწერებოდნენ. ასე მაგალითად, მესხიშვილის შესახებ „სანდაზო ლექსებში ნათქვამია, რომ ის წარსულში ამილახვარი იყო: „მესხიშვილი არის მესხეთიდან მოსულნი ახალციხის მხრიდან და არიან ძველად გვარი ამილახვრიანნი.“³

ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მესხები ამილახვრებს ყმა-გლეხებად ჰყავდათ. შესაძლოა ამან განაპირობა შეცდომა და ისინიც ამილახვრების გვარს მიაწერეს. თუმცა ეს ჩანაწერი მნიშვნელოვანია, რადგანაც ადასტურებს მესხებისა და მესხიშვილების იდენტურობას და მათი ახალციხის მხრიდან მოსვლას.

გვარის ეთნონიმურ წარმომავლობაზე ისიც ლაპარაკობს, რომ გვარი მესხი მესხეთის გარეთ საქართველოს სხვა კუთხეებში გვხვდება სწორედ მე-16-17 საუკუნეების საარქივო დოკუმენტებში. ადრე ამ მხარეებში ეს გვარი ცნობილი არ იყო.

ასეა თუ ისე, ხშირ შემთხვევაში წერილობით წყაროებში აღნიშნული „მესხი“ ძნელად გასარკვევია, გვარს გამოხატავს, თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ასე მაგალითად, მე-13 საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე ანტონ მესხი ეთნიკურ მესხს უნდა მიეკუთვნებოდეს, რადგანაც „ქართლის ცხოვრებაში“ მისი გვარი ნაოხრებლისძედ არის ჩაწერილი (იხ. მისი ბიოგრაფია ქვემოთ). თუმცა მოგვიანებით შედგენილ საბუთებში იგი ანტონ მესხის სახელით არის ცნობილი.

მესხ გვარიშვილთა ადგილი საქართველოს ისტორიაში

ცნობები მესხთა თვალსაჩინო წარმომადგენლების შესახებ უძველესი დროიდან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მე-8-7 საუკუნეებიდან მოდის. ერთ-ერთი პირველია **მითა მესხი**, რომელსაც ავტორთა ნაწილი (შალვა ამინაშვილი) საქართველოს მეფედ თვლის. ამ პიროვნების შესახებ სხვა ისტორიულ წყაროებში არაფერი შეგვხვედრია. სახელოვანი ქართველი მწერალი და მეცნიერი პავლე ინგოროყვა ერთად-ერთია, რომელიც საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ზოგადად მესხებზე და კერძოდ მითა მესხზე, რომელსაც მიაწერს ქართული ანბანის შემოღებას:

„ქართული ანბანი ეკუთვნის არქაული პერიოდის მცირე აზიის ალფაბეტების ჯგუფს. ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამდროვე საქართველოს ტერიტორიაზე. იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ხეთას ქართველი ხალხის ერთი ნაწილი ჰიბერები (თობელები) და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრდებოდნენ, ჰიბერებს (თობელებს) და მესხებს, თავდაპირველად იეროგლიფური დამწერლობა ჰქონდათ. ხეთას სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობის უკანასკნელ პერიოდში, მე-8-7 საუკუნეთა მიჯნაზე (ჩვენს ერამდე), ისინი გადასულან ალფაბეტურ დამწერლობაზე, მითა მესხის დროს მცირე აზიის ქართველური ტომები – მესხები და თობელები ახლო ურთიერთობაში შედიან ელინურ მსოფლიოსთან. მითა მესხის ხეთას სახელმწიფო გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით, გაერთიანდა ვიდრე ტროამდე და ბერძნული კუნძულების ზონამდე. სწორედ ამ ეპოქაში პირველად ჩამოყალიბდა ალფაბეტი (ანბანი), რომელმაც შეცვალა ადრინდელი პრიმიტიული სახის დამწერლობა-

იეროგლიფები. დამწერლობის რეფორმის ჩასატარებლად და ალფაბეტური დამწერლობის შემოსაღებად, ქურუმთა საგანგებო კომისია შემდგარა. ბერძნების მხრით კომისიაში მონაწილეობა მიუღიათ პალამედსა და სიმონიდს. ქართველური ხეთადან წარმომადგენელი მითა მესხი ყოფილა. ქურუმთა საგანგებო კომისიაში მითა მესხის მონაწილეობას ადასტურებს ბერძენთა განთქმული ისტორიკოსი ჰეროდოტე.⁴

ჩვენთვის ცნობილი მეორე ისტორიული პიროვნებაა იოანე მოსხი (მოსხოსი, მოსხი, 550-634), პროზაიკოსი, სასულიერო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის პოპულარული ნოველების კრებული, რომელსაც ბერძნულად „ლიმონარი“ (მდელო), ქართულად „სამოთხე“ ეწოდება. „სამოთხის“ ყველაზე ძველი ხელნაწერი X საუკუნისაა. ფიქრობენ, რომ „ლიმონარი“ და „სამოთხე“ დამოუკიდებელი ნაწარმოებებია, ორივეს ავტორი იოანე მესხია და ბერძნები ავტორს სწორედ ამ სახელ-გვარით ე. ი. ქართველად მოიხსენიებენ. შალვა ნუცუბიძის და სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით იოანე მესხის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ბუდას ცხოვრების ლეგენდა – „სიბრძნე ბალაჰვარისა.“ თუ ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურდა, მაშინ სადავო აღარ იქნება, რომ ხელთა გვაქვს ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში, რომელიც მე-6-7 საუკუნეებში შეიქმნა.⁵

მესხები – მოსკოვის დამაარსებლები?

1947 წელს მოსკოვის დაარსების 800 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე ცნობილმა რუსმა არქეოლოგმა ვ. ა. შიშკინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ტოპონიმი „მოსკოვი“ წარმოიქმნა კავკასიური ენიდან. მისი ძირი „მოსკ“ პირდაპირ კავშირშია ქართულ ტომ მოსხ-თანო.

ამ საინტერესო ჰიპოთეზას მრავალი მეცნიერი გამოეხმაურა.

1982 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის `Топонимия Москвы` ავტორები გადინა სმოლიცკაია და მიხეილ გორბანოვსკი, 85-ე გვერდზე წერენ:

„В 20-30-е годы XX века были предприняты попытки доказать гибридное происхождение названия Москва: Элемент „ва“, по этому мнению принадлежит финно-угорской языковой среде, а корень „моск“ – связан с названием кавказского народа мосхи и имеет общее происхождения с такими этнонимами Кавказа, как абхаз и баск.“⁶

შემდეგ ავტორები ამ ჰიპოთეზას საეჭვოდ აცხადებენ და „მოსხ“ და „მოსკ“-ის მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე საუბრობენ. თუმცა თვით ის ვარაუდი, რომ მოსკოვის სახელწოდება ერთგვარად **მოსხს** უკავშირდება და ამ თემაზე ლინგვისტთა და ისტორიკოსთა მსჯელობა ყოფილა, ძალზე საინტერესოა.

ამ წიგნის გამოსვლიდან 6 წლის შემდეგ 1988 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოჩნდა ნ. კიშიკის წერილი „გათხრები წითელ მოედანთან“, რომელსაც ახლდა წითელი და მანუჩის მოედნების შემაერთებელი 103-მეტრიანი ქუჩის, ე. წ. „ისტორიული გასასვლელის“ ფოტოც.⁷

ამ გათხრების შედეგად არქეოლოგები მე-15-17 საუკუნეების ნაშთების აღმოჩენას მოელოდნენ, ამიტომაც მიიღეს გათხრების დაწყების ნებართვა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ მოულოდნელად მიიღეს ბრძანება, სასწრაფოდ დაეკონსერვებინათ დაწყებული გათხრები. ასეც მოხდა. ტრანშეები ფილებით დაფარეს და გათხრების კვალი მთლიანად მოსპეს. რა მოხდა?

არქეოლოგებმა ჯერ აღმოაჩინეს მე-12-13 საუკუნეების დასახლება, ხოლო შემდეგ მიაკვლიეს... **ივერიის მონასტრის დეთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლის საკურთხეველს და აღდგომის კარიბჭეს.**

მოსკოვის ცენტრში ქართული კულტურის ნაშთების აღმოჩენამ კრემლი შეაშფოთა და გათხრების შეჩერების განკარგულებაც უმაღლესი გაიკეთა. მანამდე რუსი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ ივერიის მონასტრის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის პირველი ასლი რუსეთში მე-17 საუკუნეში ჩამოასვენესო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოსაზრება სწორი არ არის. ხატი მე-12-13 საუკუნეებში ჩამოასვენეს იმ პირველ მოსახლე ქართველებმა (მესხებმა), რომლებიც კიდევ დამკვიდრდნენ მოსკოვის ტერიტორიაზე. მათ იქ ხატის საკურთხეველიც ააგეს, მასალად კი ხე-ტყე გამოიყენეს.

ქართველმა ჟურნალისტმა, პუბლიცისტმა და კინოდოკუმენტალისტმა რეზო ერისთავმა მოსკოვის დაარსების შესახებ მასალები შეაგროვა ე. წ. „იპატიევის ქრონიკიდან“, რომელიც 1147 წლითაა დათარიღებული. აქ ნათქვამია, რომ მოსკოვის პირველი მფლობელი იყო თავადი გიურგი, იგივე იური, მეტსახელად დოლგორუკი. ქრონიკაში განმარტებული არაა გიურგი რატომ შეცვალეს იური-დ და რას ნიშნავს მეტსახელი დოლგორუკი. ამკარაა, რომ საქმე გვაქვს **გიორგის იური-დ** გადაკეთების და საქართველოში იმ დროს კარგად ცნობილი **მხარგრძელის დოლგორუკად გადაკეთებასთან**.

საყურადღებოა, რომ „იპატიევის ქრონიკაში“ ქალაქი დასახელებულია არა „მოსკვა“-დ, არამედ „მოსკოვ“-ად; ამ სიტყვას ქართველი დღესაც ასე გამოთქვამს.

რეზო ერისთავი უფრო შორს წავიდა, არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ მოსკოვის გერბიც ქართული წარმომავლობისაა, რადგანაც აქ გამოსახულია წმინდა გიორგის ხელით ურჩხულის დამარცხება, ხოლო თვით გერბის ავტორი **ვასილ ტიომნი, ანუ შავგრემანი** არის შთამომავალი პირველი ქართველებისა, ვინც მოსკოვში დასახლდა. მან მონეტაზე „ამოკვეთა არა რუსი რაინდი, არამედ ქართველ-

თა სათაყვანებელი წმინდანი, გიორგი ძლევაშოსილი, რომელიც ზის არა რუსულ ცხენზე, არამედ თავის ბედაურზე იროძირზე (მეგრულად „სულ მიყურე“) და შუბით გმირავს გველეშაპს.“⁴⁸

ძალზე შთამაგონებელია ყოველივე ზემოთნათქვამი, მისი თავგამოდებით დამტკიცება კი შესაძლო იქნება, თუ დიდი იმპერიის დედაქალაქის მესვეურები კიდევ ერთხელ ინებებენ წითელი და მანუჩის მოედნების დამაკავშირებელი 103-მეტრიანი „ისტორიული გასასვლელის“ გათხრას, იქ მოპოვებული არქეოლოგიური ნაშთების გულდასმით შესწავლას და მათზე ნამდვილი სახელის დარქმევას.

ანტონ და მაკარი მესხები

ქართულ მწიგნობრობაში ჩვენთვის საინტერესო და ცნობილი წარმომადგენლები მესხთა გვარიდან არიან **ანტონ და მაკარი მესხები**.

ანტონ მესხის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ღირს პიმენ სალოსის ცხოვრებასთან. ისინი მე-13 საუკუნის საქართველოს გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეები არიან.

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო ამათვე ჟამთა ბრწყინვიდა და დაემკვიდრა პიმენ სალოსი, რომელი გარეჯიდ წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცინა, რომელნი ჰგვიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინავდა დიდიცა იგი მოღვაწე ანტონი **ნაოსრებელისძე, ნათესავით მესხი**.“⁴⁹

ღირსი ანტონ მესხი სიჭაბუკეშივე აღიკვეცა მონაზვნად, მოღვაწეობდა დავით გარეჯის მონასტერში. ღრმად

განათლებული და მწიგნობარი, „მოდვაწე და მმართველობის სული“ მონაზონი ანტონი პიმენტან ერთად მოციქულებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. „ხალხში ანტონს სახელსდევს ქართველთა მზედ.“ (ზაქარია ჩიტიძე. ქართველ წმინდანთა ცხოვრება. თბ. 2007). მათ საქმიანობის ურთულესი ფორმა აირჩიეს, ამხილებდნენ უსამართლობას და უწესობას თვით დიდებულთა მხრიდან, რაც, ბუნებრივია, ძალზე ართულებდა



მათს ცხოვრებას. ერისა და ზნეობრიობისათვის ზრუნვა მათ მეფის მხილებით დაიწყო. ამხილებდნენ მეფე დიმიტრი თავდადებულს სამი ცოლის ყოლის გამო.

ამ მოღვაწეთა დიდი დამსახურებაა ის, რომ მათ „მოაქცივნეს ქრისტეს მიმართ უმრავლესნი მთიულნი და ლეკნი.“¹⁰

მაკარი მესხი მე-13 საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი სასულიერო პირი იყო და საეკლესიო ცენტრებში მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. V საუკუნეში სირიულად დაწერილი „პეტრე იბერიელის ცხოვრება,“ რომელიც ერთი თვალსაზრისით ზაქარია ქართველმა შექმნა, მეორეთი – იოანე რუფუსმა, მაკარი მესხმა სირიულიდან გადმოაკეთა. მაკარის ნაშრომს სხვა ღირებულებებთან ერთად მნიშვნელობა აქვს სირია-პალესტინაში ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციის საკითხების

გასაშუქებლად. მაკარი მესხის ნაშრომი რედაქტირებულია მე-15 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის პავლე დეკანოზის მიერ, მანვე შექმნა ნაშრომის სვინაქსარული რედაქცია.¹¹

ისტორიულ საბუთებში მესხთა ერთი ჯგუფი ქართლის საამილახვრო-ში მე-17 საუკუნეში ჩანს. **დათუნა მესხი** ცხვილოსში ცხოვრობს და ავთანდილ ამილახვრის მეკოდისპურე სახასო ყმაა (1700 წ.). **თამაზ მესხი** დეერეთში დასახლებულა. იგი ზემო ქართლის საკომლო ნუსხაშია მოხსენიებული მე-17 საუკუნის დამდეგს, **თევდორა მესხი** ცხვილოსელია. მისი ოჯახიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ღაშქრობა (მე-17 ს-ის მეორე ნახევარი). ქალბატონი ნანა მესხი თევდორე მესხის თანამედროვეა და სოფელ ფცაში ცხოვრობს; მისი ერთი კომლი მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში; დვერეთელია შიო მესხიც და იგი თამაზა მესხის თანამედროვეა. მატიანეში გვხვდება კიდევ ერთი შიო მესხი, რომელიც ახალშენს დამკვიდრებულა. იგი თავისი მამულით 1676-1709 წლებში ერგო თავად ფეშანგ ფალავანდიშვილს.¹²

როგორც ამ საბუთებით ირკვევა, ქართლში მცხოვრები მესხები ყმა-გლეხები იყვნენ და ისინი თავად ამილახვრებსა და ფალავანდიშვილებზე არიან მიწერილნი. ეს ბუნებრივია. სამცხიდან ლტოლვილი მესხები ახალსაცხოვრებელ ადგილას პირველ ხანებში ვერ შეინარჩუნებდნენ თავის ადრინდელ წოდებას, ამას გარკვეული დრო სჭირდებოდა.

მეხსები კვლ ქართულ ხელნაწერებში

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა ოთხი საბუთი, რომელიც დავით მეხსის მთარგმნელობით საქმიანობას ეხება. ერთ-ერთი მათგანია „ლოცვა განზრახვათათვის,“ შედგენილი 1720 წელს. იგი სომხურიდან უთარგმნია და გადაუწერია ზოსიმე ორბელიანს, ხოლო სომხურიდან ქართულად უთარგმნია დავით მეხსს, საბუთზე გაკეთებულ შენიშვნაში ნათქვამია, რომ იგი თარგმნილია „პეტრეს მიერ მოძღურისა, ტფილისის ქალაქის შვილთაგანისა, რომელთა ენისაგან სომხურად და შემდგომად სომხურისა ენისაგან ქართულად თარგმნილი ახალციხის **მეხსის დავითისაგან** ძალისაებრ მისისა.“¹³

დავით მეხსსა და ამჯერად იოანე ორბელიანს ეკუთვნით „გონების ლოცვანი“ – მე-18 საუკუნის დოკუმენტი. ეს წიგნიც „ლათინურიდან სომხურად უთარგმნია თბილისელ მოქალაქეს მოძღვარ პეტრეს, ხოლო სომხურიდან ქართულად ორ კაცს: დასაწყისიდან ვიდრე მესამე განზრახვამდე იოანე ორბელიანს, ხოლო დანარჩენი **დავით მეხსს**.“¹⁴

„ლოცვანის და განზრახვანი“-ს მეორე ვარიანტის, რომელიც 1739 წლით თარიღდება, თარგმნა და გადაწერა კვლავ ჩვენთვის ცნობილ სამეულს: თბილისელ მოძღვარს პეტრეს, იოანე ჯამბაკურ-ორბელიანს და **დავით მეხსს** მიეკუთვნება. საბუთს აქვს შენიშვნა I, რომელიც გვაუწყებს: „წიგნი ლოცვათა განზრახვათასა... თარგმნილი პეტრეს მიერ მოძღურისა ტფილისელისა იტალიურის ენისგან სომხურად და სომხურისა ენისაგან ვიდრე მესამედ განზრახვამდე... ზედა მეშვიდე იოანე ჯამბაკურიან-ორბელიანისაგან და მისსა ქვემორე, ვიდრე ბოლომდე **მეხსი დავითისაგან**, კვლად ქართველის“.¹⁵

ზემოთდასახელებული პიროვნებების მწიგნობრული საქმიანობა მომდევნო წლებშიც არ წყდება. მათი მორიგი

პროდუქციაა მე-18 საუკუნის „წიგნი ლოცვათა“, „თარგმნილი პეტრეს მიერ მოძღურისა ტვილისელისა იტალიურისა ენისაგან სომხურად და სომხურისა ენისაგან ვიდრე მესამედ განზრახვამდე ქართულსა ხმისა შინა მეშვიდე ითანე ჯამბაკურ-ორბელიანისაგან და მისსა ქუემორე ვიდრე ბოლომდე შესხის დავითისაგან კ დ ქართულად“...¹⁶

წიგნიერი და წიგნის მოყვარული უნდა იყოს მე-18 საუკუნეში მოღვაწე **ივანე მესხი**, რომელიც როცა „ქრისტეს აქეთ ქორონიკონს 1755 წელსა მისსა 17, თვით ბატონი მეფე სოლომონ ამხედრდა, ოდიშს გაუხდა, მრავალნი დარბივა და მრავალი ნაშოვარი წამოიღო მაშინ მისმა ჯარმა. და ეს ლექსიკონი მაშინ იშოვნეს. **ივანე მესხმა** სახელდ“...¹⁷



იმერეთის მეფე
სოლომონ I
 (1735–1784)

ნათელია, რომ **ივანე მესხი** მეფესთან დაახლოებული პირია, იგი მას ბრძოლებშიც ახლავს, ხოლო მისი ნადავლი ოდიშის მთავრის სასახლიდან გატაცებული საბას ქართული ლექსიკონია.

რაც შეეხება **დავით მესხს**, ჩვენთვის მისი ბიოგრაფია უცნობია. საბუთზე გაკეთებული მინაწერებით ცნობილი ხდება, რომ ის არის ახალციხიდან თბილისში გადასული მწიგნობარი, რომელსაც ერთნაირად ეხერხება წიგნების გადაწერა და ასევე მათი სომხურიდან ქართულად თარგმნა. იგი დაახლოებით

1720-1739 წლების ახლო ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

გამოხდა მცირე დრო და ქართლ-კახეთში ასპარეზზე მართლაც გამოჩნდა მესხიშვილის ორი ოჯახი. მათი გვარსახელები შეტანილია თავად-აზნაურთა სიებში, რომლე-

ბიც თან დაერთო გიორგიევსკის ტრაქტატს. ესენი არიან: დეკანოზი დავით გაბრიელის ძე მესხიშვილი, მისი ვაჟები: ნიკოლოზი, ანდრია, დიმიტრი და ქალიშვილი ბარბარე და იოსებ აბრამის ძე და მისი ცოლი მარია.¹⁸

როგორც ჩანს, იმერეთში მესხებმა იმთავითვე შეინარჩუნეს აზნაურის წოდება. მათი აღზევება ამ მხარეში იწყება ჯერ კიდევ სოლომონ I-ის მეფობის დროს. სამეფო კარისაგან გამდგარი თავადაზნაურობის შემორიგების ან დამორჩილებისა და საერთოდ შინაარეულობების დასაძლევად მეფემ საქართველოს ისტორიაში პირველად შემოიღო სამეფო ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცების დამხმარე ორგანიზაცია, რომელსაც „ფიცის კაცნი“ უწოდა. ამ გაერთიანებაში შედიოდნენ იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლები, მათ შორის: აზნაური მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, ქორქაშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები. „ფიცის კაცნი“ თავისი ყმა-გლეხებიანად, სასულიერო პირებთან ერთად, ყოველი წლის 15 მაისს სოფელ ლეკერწას იკრიბებოდნენ და ფიცს სდებდნენ, რომ „მეფის ერთგულნი იქნებოდნენ.“¹⁹



იმერეთის მეფე
სოლომონ II
(1773–1815)

სოლომონ მეორემ კიდევ უფრო გააფართოვა და გაზარდა „ფიცის კაცთა“ შემადგენლობა. მათ შორის რამდენიმე მესხსაც შეეხვედით. ესენი არიან: აზნაური ბიჭია მესხი, მეფის კარის

დიაკვანი იესე მესხი, აზნაური ბერი მესხი და აზნაური ფირან მესხი.²⁰

იმერეთის სამეფოს ისტორიულ დოკუმენტებში მრავალგზის დასახელებულია **მესხის** გვარი. ისინი სოლომონ I-ის კარზე საკმაოდ დიდი ნდობით სარგებლობენ და მრავალ მნიშვნელოვან დოკუმენტს აწერენ ხელს.

1753 წლის 28 ივლისის სოლომონ დიდის წყალობის წიგნში, რომელიც გაცემულია ოქროპირ კუპატაძეზე, საუბარია **ამირან მესხზე**, როგორც ამ წყალობის წიგნის შედგენის ერთ-ერთ მოწამეზე.

ორი წლის შემდეგ, 1755 წელს შედგენილია საბუთი, ასევე სოლომონ მეფის (დიდის) წყალობის წიგნი სიმონ წერეთლისადმი, რომლითაც ირკვევა, რომ ზემოთნახსენები **ამირან მესხი** არის დედოფლის სახუცესი და ამ დოკუმენტს ხელს აწერს, როგორც მოწამე.

როგორც ჩანს, ასეთ სანდო პიროვნებებად სხვა მესხებიც ითვლებოდნენ. მეფის მიერ 1758 წლის 4 ივლისს მიქელ ქუთათელაძეზე გაცემულ წყალობის წიგნზე არის მესხთა გვარის ორი წარმომადგენლის: **ამირან და თამაზა მესხის** ხელმოწერები. სხვათაშორის **თამაზა მესხი** ასეთ დოკუმენტს, რომელიც გაცემულია ნაფიჩავაძეზე, უფრო ადრე 1754 წლის 15 ოქტომბერსაც აწერს ხელს.

1764 წლის 15 აგვისტოს სოლომონ მეორემ წყალობის წიგნი თვით **ამირან და პაატელა მესხებს** გასცა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მეფემ, დედოფალმა მარიაჰმა და მეფისწულმა აღექსანდრემ ერთგული სამსახურისათვის ამირან და პაატელა დავითისძე მესხებს მოუხსნა საური. ამჯერად მოწამეები არიან: **პაატა მესხი**, ქაიხოსრო აბაშიძე, ნიკოლოზ წერეთელი, სვიმონ მღვდელი (წერეთელი), გიორგი აბდუშელიშვილი, დავით ჩხეიძე, ბერი ბარათაშვილი, დავით აბაშიძე. საბუთი შეუდგენია ჩხარის დეკანოზის შვილს, მღვდელს სიმონს.²¹

1759 წელს სოლომონ I-მა ახალციხის ფაშას შეუთვალა, რომ ამიერიდან ტყვეების გაყიდვა იმერეთში იკრძალებოდა. ასეთი მომგებიანი შემოსავლის აკრძალვა ფაშას არ ეჭაშნიკა და იმერლებს აცნობა: „ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო“. ამ ერთმა ფრაზამ დიდი აღმწოთება გამოიწვია იმერეთის თავადაზნაურობაში. ფაშის პასუხს მათ „საშინელი და საზარავი“ უწოდეს და ტყვეების გაყიდვის აკრძალვის თაობაზე მეფეს გუჯარი მიართვეს, რომელშიც ნათქვამი იყო: „სანამ სული გვედგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქმნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ... ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ და ამ საქმეზე ჩვენი თავი არ დავიშუროთ... და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან იქნეს.“ გუჯარს ხელს აწერენ: წერეთელი, მიქელაძე, აბაშიძე, ნიჟარაძე, აგიასშვილი, **მესხი**, ავალიანი, იოსელიანი, ჩიქოვანი და სხვ. დიდ თავადებთან ერთად ამ მნიშვნელოვან გუჯირზე მესხთა ხელმოწერა მათს მაღალ ავტორიტეტზე და მეფესთან დაახლოებაზე უნდა მიგვითითებდეს.

ყმა-გლეხების და მათი ოჯახის წევრების გაყიდვა თვით იმერელ თავადაზნაურობასაც ასდიოდა ხელზე. ამ გუჯარზე მათი ხელმოწერა კი ნიშნავდა ამ საშინელი ცოდვის ჩადენაზე ხელის აღებას. ამგვარად ამ გუჯარს ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა.

1766 წელს სოლომონ მეფის მიერ როსაფ მაჭავარიანზე გაცემული წყალობის წიგნის მოწამეთა შორისაა **თამაზა მესხი**, ხოლო მარიამ ჯაფარიძის ქალის ასეთივე საბუთის მოწმე და გამრიგე არიან **ამირან და თამაზა მესხები**.

1752-1768 წლებში გიორგი ბატონიშვილის მიერ გაფორმებულა ე. წ. „იმედის წიგნი“, რომელიც ეკუთვნის **დავით მესხს**. ბატონიშვილი დავითს გარანტიას აძლევს, რომ მეფე სოლომონისაგან მას და მის შვილს არ ემუქრებათ არც სიკვდილი, არც დაჭერა და არც გადარიბება.

მოწამეები არიან: წერეთელი ქაიხოსრო, წულუკიძე ბერი და **თამაზა მესხი**. საბუთი დავით მდივანს შეუდგენია.

სოლომონ მეფე უყურადღებოდ არც **ამირან მესხს** ტოვებს და მას 1754-1770 წ.წ. აძლევს წყალობის წიგნს. ამირანს უშვილებია **დავით მესხის** შვილი პატელა, რაც მეფეს საბუთით დაუდასტურებია.

ნიკოლოზ წერეთელზე სოლომონ დიდის მიერ გაცემულ წყალობის წიგნის (1760-ანი წლები) მოწამედ დასახელებულია **თამაზა მესხი**.²²

* * *

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის, კერძოდ ანჩისხატის აღწერისას ამბობს: „არს კუალად ანჩისხატი დიდი, უგუმბათო, კათალიკოზისა; შემუსვრილი. აღაშენა კათალიკოზმან დომეტიმ, ძემან ქაიხოსროსაგან“...

ამ ფრაზას H-ფონდის №934 ხელნაწერი შემდეგნაირად აზუსტებს: „აქა ანჩისხატსა შინა სცხოვრობს აზნაური, რამდენთამე ხანთა უწინარეს იმერეთიდან გარდმოსული, **გვარად მესხი** კეთილშობილი, და აწ უწოდებენ **ალექსისძედ**. არს ჩამომავლობით მეცნიერი და აქვსთ დაგვარებით შვილთა მწერლობათა შემძლებლობანი, რომელთა სწორი არა იპოების ქართულებრ და ჩინებულ არიან.“ 1815 წ.

ამავე ადგილას არის კიდევ ერთი დამატება, შ-ფონდის №4990 ხელნაწერიდან: „ძემან ქაიხოსროსამან და აწ განაახლა და განაშენა, განლესით, კრამიტის დახურვით და კანკელით, დეკანოზმან დიმიტრიმ ანჩისხატისამან, ალექსიძემ წელსა 1813.“²³

ამგვარად მეორე ხელნაწერის გაცნობით ნათელი ხდება, რომ იმერელი **აზნაური მესხი** არის ჩამომავლობით მეცნიერი, კეთილშობილი, მწიგნობარი, იგივე დეკანოზი დიმი-



ანჩისხატი თბილისში.

1813 წლის განახლა დეკანოზმა დიმიტრი მესხმა-ალექსიძემ.

ტრი ალექსიძე, რომელსაც ანჩისხატის განახლებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს **მესხი, იგივე ალექსიძე** შესაძლოა იყოს ალექსი-მესხიშვილების გვარის მამამთავარი, მაგრამ გვარის ასეთი გაორმაგება, როგორც ჩანს, ცოტა ადრე მესხი-მესხიშვილთა გვარის ქართლ-კახეთში აღზევების შემდეგ, მე-18 საუკუნის II ნახევარში მოხდა. მე-18 საუკუნის მოღვაწე გრიგოლ მესხიშვილი მხატვარი იყო. მისი ძე ალექსი კი დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა ერეკლე II-ის კარზე. სწორედ დამსახურებების გამო მეფემ მის შთამომავლობას გვარი ალექსიშვილი უბოძა; ამ გვარის შვილი იყო სახელოვანი პოეტი, ლექსიკო-

გრაფი, კალიგრაფი და მთარგმნელი, დავით რექტორი (1745-1824). დავით ალექსი-მესხიშვილი 1764-65 წ.წ. სწავლობდა თბილისის სემინარიაში, შემდეგ მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და იგი თელავის სემინარიის რექტორად დანიშნეს. სწორედ აქედან წარმოსდგება მისი მეტსახელი დავით რექტორი.

სემინარიაში დავით რექტორი სწავლობდა გრამატიკას, თეორიულ ფიზიკას, ეთიკას. აქ მან დააარსა ლიტერატურული წრე. დ. რექტორი ავტორია რამდენიმე სახელმძღვანელოსი („არითმეტიკა“, „სწავლანი ოთხნაწილედნი“). მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის“; მან სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ დაურთო განმარტება-კომენტარები, საკუთარი ხელით შეადგინა (იყო შესანიშნავი კალიგრაფი) ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია. მისი პოეზიიდან ლექსების ერთი ნაწილი სატრფიალოა, იგი ამ საქმეში ბესიკს ბაძავს. ლექსთა მეორე ციკლი სახოტბოა და მიძღვნილია თამარ მეფეზე, ერეკლე მეორეზე, ლევან ბატონიშვილზე, გიორგი XII-ზე და სხვ.

მუსხთა გვარის წოდებრიობა

როგორც ირკვევა იმერეთში ჩასახლებულ **მუსხთა** ყველა ოჯახმა ვერ შეინარჩუნა აზნაურის წოდება და ზოგი მათგანი საბატონო გლეხამდე დაკნინდა. იმერეთის ისტორიის შესანიშნავმა მცოდნემ და მკვლევარმა მერაბ კეჭევიძემ შეკრიბა 1839-1843 წლებში აღსარების მოქმელთა სიები, რომელშიც შეტანილია მაშინდელი იმერეთის ყველა გვარი, მათ შორის მუსხი. ყველა მათგანს სოფლების მიხედვით მითითებული აქვს წოდება: სასულიერო, აზნაური, გლეხი და ა. შ.

ეს სიები შედგენილია რუსთა ხელისუფლების მიერ იმერეთში თავადაზნაურების წოდების მინიჭებამდე 7-10 წლით ადრე, ამიტომ ვფიქრობთ მკითხველისათვის საინტერესო იქნება მისი გაცნობა.

მუსხები იმერეთში (სოფლები, წოდებები)

ახალბედისეული

აზნაური

ბზვანი

საბატონო გლეხი

გეგუთი

სახელმწიფო აზნაური

გვაშტიბი

აზნაური

ღუნთა

საბატონო გლეხი

თერჯოლა

თავად წულუკიძის სათავადო აზნაური
თავად იაშვილის საბატონო გლეხი

ილემი I

საბატონო გლეხი

ობჩა

სახელმწიფო გლეხი

რიონი

სასულიერონი
სახელმწიფო აზნაური

მესხის საბატონო გლეხები:

ბაქრაძე, გოგლიჩაძე, კეზევაძე, მაჩალაძე, მინანაშვილი,
მხეცაძე, ტურაბელიძე,
ხურციძე, ჯღამაძე, შინამოსამსახურე მეტრეველი.

საირხე

სასულიერონი
საბატონო გლეხი

საყულია

სახელმწიფო აზნაური
მესხის შინამოსამსახურე ღომიძე

სვირი

სახელმწიფო გლეხი

სიმონეთი

სასულიერონი
სახელმწიფო აზნაური
საეკლესიო აზნაური

მესხის საბატონო გლეხები:

მორჩაძე, რამინიშვილი, შანიძე, ჯღამაძე
ღვინფუაძის საბატონო გლეხი მესხი

ფერსათი

აზნაური

მესხის შინამოსამსახურე გაჩუდურეიშვილი

ღარბევი

საბატონო გლეხი

ღორეშა

საბატონო გლეხი

ჩხარი

სახელმწიფო აზნაური

მესხის საბატონო გლეხები: ბუცხრიკიძე, ვერულაშვილი,
რობაქიძე, შეყრილაძე

ცხუნკური

სათავადო აზნაური

სახელმწიფო გლეხი

საბატონო გლეხი

ჭალატყე

მერკვილაძის საბატონო გლეხი²⁴

**იმერეთის თავადაზნაურთა ოჯახები
(მესხები)**

საქართველოში ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებას აღარ აშინებდა წარჩინებული გვარების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა, ამიტომ თავისი ინტერესებისათვის მათს გამოსაყენებლად შეეცადა დაეცვა მათი პრივილეგიები (ამას თვით თავადაზნაურობაც მოითხოვდა). იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით თბილისსა და ქუთაისში 1846 წლის 30 მარტს შეიქმნა თავადაზნაურობის წოდების დამდგენი დროებითი კომისიები. ამ კომისიებმა მუშაობა 1849 წელს დაასრულეს. 1850 წლის

6 დეკემბერს ნიკოლოზ პირველმა დაამტკიცა ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურიის თავადაზნაურთა სიები. იმერეთსა და გურიაში თავადაზნაურთა საკრებულოებიც შეიქმნა.

ფეოქრობთ მკითხველისათვის საინტერესო იქნება 1850 წლის მდგომარეობით მესხთა გვარის აზნაურთა რამდენმა ოჯახმა მიიღო ეს წოდება. სია ჩვენთვის საინტერესოა იმიტომაც, რომ მასში შეტანილია ივანე მესხის მამის სიმონის ოჯახი (რიგითი №1236) და იმ დროისათვის ოჯახის მთელი შემადგენლობა: თვით სიმონის მეუღლე მაგდალინა, ვაჟიშვილი სერგეი, ქალიშვილი პელაგია და სიმონის ძმა ვასილი.

აზნაური მესხები

- | | |
|--|--|
| <p>1228.* გუბერნიის მდივანი
სპირიდონ სეხნიას ძე
მისი ცოლი ვარვარა
მათი შვილი სიმონი
ქალიშვილები: ანა
ნატალია
სიმონის ცოლი მაია
მათი ქალიშვილი ევგენია</p> | <p>1231. სიმონ იესეს ძე
მისი ცოლი სალომე
მათი ვაჟიშვილი იასე
მისი ცოლი როდამი
მათი ქალიშვილი ალექსანდრა
სიმონიეს ქალიშვილები:
მართა,
რუსუდანი,
ალათი,
კესარია
ელისაბედი</p> |
| <p>1229. ივანე ბეჟანის ძე
მისი ცოლი ელისაბედი
მათი ვაჟიშვილი გიორგი</p> | <p>1232. ოტია იოთამის ძე
მისი ცოლი მელანია
მათი ვაჟიშვილები:
გიორგი
ვასილი</p> |
| <p>1230. ალმასხან ივანეს ძე
მისი ცოლი ელისაბედი
ალმასხანის ძმა მოსე</p> | |

* 1850 წელს შედგენილი სიის რიგითი ნომერი. რ. ს.

233. **ლაზარე ზაალის ძე**

მისი ძმები: ივანე
სიმონი
დედა სოფიო

1234. **მალხაზ დავითის ძე**

მისი ცოლი სალომე
მათი ვაჟიშვილები:
კონსტანტინე
ივანე
ნიკოლოზი
ოსეები

ქალიშვილი გულქანი

1235. **მღვდელი იასე პაატას ძე**

მისი ვაჟიშვილები:
დავითი
სიმონი
ანტონი
სპირიდონი
დიმიტრი
ფარნაოზი

ქალიშვილები:

თათიო
მატრონა

სპირიდონის ცოლი ტატიანა
მათი ვაჟიშვილი ისმაილი

1236. **სიმონ ივანეს ძე**

მისი ცოლი მაგდალინა
მათი ვაჟიშვილი სერგეი
ქალიშვილი პელაგია
სიმონის ძმა ვასილი

1237. **იასე ფირანის ძე**

მისი ძმა დავითი

1238. **სიმონ იოთამის ძე**

მისი ცოლი პელაგია
მათი ვაჟიშვილები:

იასე
ლევანი

ქალიშვილები:

მაგდანა
მატრონა
ანა

1239. **ფირან მიხეილის ძე**

მისი ცოლი ელისაბედი
მათი ვაჟიშვილები:

თეიმურაზი
მიზარბეგი
ბაქარი
ტრიფონი

1240. მღვდელი

გრიგოლ მიხეილის ძე

მისი ცოლი მაკა
მათი ვაჟიშვილები:

ლევანი
ირაკლი

ქალიშვილები:

ევდოკია
ცუცია

1241. **ლევან ოტიას ძის ქვრივი**

რუსუდანი

მისი ვაჟიშვილები:

სამსონი
მიხეილი

- ქალიშვილები:
 მაია
 მაგდანა
 თეკლა
1242. **ბაკა ოტიას ძე**
მისი ცოლი მზეხათუნა
მათი ვაჟიშვილები:
 იოსები
 დავითი
 ნიკოლოზი
ქალიშვილები:
 ივლიტე
 ნატალია
1243. **ამირან ივანეს ძე**
მისი ცოლი სალომე
მათი ვაჟიშვილები:
 კონსტანტინე
 ალექსანდრე
 ალმასხანი
 ისაკი
ქალიშვილი მართა
1244. **ივანე ხოსიას ძე**
მისი ცოლი რუსუდანი
მათი ვაჟიშვილები:
 სამსონი
 ბერი
 დავითი
ქალიშვილები:
 ნინო
 ირინე
1245. პოდპორუნიკი
თამაზ ლევანის ძე
მისი ცოლი რუსუდანი
მათი ვაჟიშვილი ანტონი
ქალიშვილი მატრონა
1246. **პაატა დავითის ძე**
მისი ძმები:
 კოსტა
 გრიგოლი
მათი დები:
 სურათა
 მაკრინე
1247. **ბეკო ივანეს ძე**
მისი ცოლი მელანია
მათი ვაჟიშვილები:
 ივანე
 სამსონი
1248. **მურზაყან ბეჟანის ძე**
მისი ცოლი თათია
მათი ვაჟიშვილები:
 გარსევანი
 ტარიელი
 ნიკოლოზი
გარსევანის ცოლი
 ელისაბედი
ვაჟიშვილი ოტია
ქალიშვილი აღათია²⁵



ნაწილი მეორე

ივანე მესხის ოჯახი

ზემოთ ვთქვით, რომ იმერეთში მცხოვრებ მესხთა ნაწილმა დაკარგა აზნაურის ტიტული, ზოგი სასულიერო სფეროში გადავიდა, ხოლო ზოგი საბატონო გლეხად იქცა. მესხთა ნაწილმა შეინარჩუნა აზნაურის წოდება. მათ შორის იყო ივანე მესხის ბაბუა ივანე და მამა სიმონი.

სიმონ მესხი საკმაოდ განათლებული და გონება-მახვილი კაცი იყო. იგი ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში საქმის მწარმოებლად და თარჯიმნად მუშაობდა. ღარიბი აზნაური და დაბალი ჩინის მოხელე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მრავალ თანამემამულეს ეხმარებოდა, რაც ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის დროს ერთობ სახიფათო იყო.

მშობლები

მამის, სიმონის ბიოგრაფია საზოგადოებისათვის ცნობილია მისივე „ძველი, გაცვეთას გადარჩენილი დავთრიდან“, სადაც იგი წერს: „როგორც საეკლესიო საბუთებიდან სჩანს, მე დავიბადე 1820 წელს. ცხრა წლისა დედ-მამამ მიმაბარა ნათლიაჩემს, მღვდელს დავით ბაქრაძეს წიგნის სასწავლებლად. რადგან დედ-მამას სურდათ ჩემი სამღვდლოება, მასთან დავყავი ოთხი წელი, ვისწავლე სამღვთო წერილი. შემდეგ განსვენებულმა ბიძაჩემმა, დეკანოზმა იესე ბაქრაძემ წამიყვანა ქუთაისს და მიმცა სასულიერო სასწავლებელში. სამ წელს ვიმყოფებოდი შიგ. მაგრამ ბევრი ვერც რა ვისწავლე და მესამე კლასიდან გამოვედი და შევედი სამსახურში. შემდეგ ამისა ჩემი სამსახურის ცხოვრება იხილება ჩემი ნამსახურეობის სიიდან. 1840 წელს ჯვარი დავიწერე ანდრია მარჯანიშვილის ასულზე მაგდანაზე.“²⁶ მაგდანა კოტე მარჯანიშვილის მამიდა გახლდათ.

სიმონმა სამსახური ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში გადამწერის თანამდებობით დაიწყო, კარგად

შეისწავლა რუსული ენა და საქმესაც ჩინებულად უძღვე-
ბოდა. ხელფასი ძალზე მცირე, თვეში რვა მანეთი ჰქონდა
და ამით ძალზე დიდი ოჯახის შენახვა შეუძლებელი იყო,
მაგრამ თხოვნების, კასაცია-აპელაციების დაწერით დამატე-
ბით ანაზღაურებას დებულობდა და კარგი შემოსავალიც
ჰქონდა. ამიტომ ამ საქმეს დიდის ყურადღებით ასრულებ-
და, საჩივრის ქაღალდების წერაში ათენ-აღამებდა, ზოგჯერ
შავი საბუთის გადასაწერად შვილებსაც იხმარებდა.

ოჯახში სიმონი ძალზე მშვიდი კაცი ყოფილა, ბავშვებს
იშვიათად გაუწყვრებოდა და მეუღლესაც ხშირად საყვედუ-
რობდა ბავშვების მიმართ სისასტიკის გამო.

სიმონიც მორწმუნე იყო, მაგრამ არა ფანატიკოსი, თუმ-
ცა უფროსი ქალიშვილის პელაგიას გარდაცვალების შემ-
დეგ (რომელიც გამორჩეულად უყვარდა) ლოცვას მოუკლო
და აკრძალულ წიგნებს მიეტანა, რომლებითაც მას ვაჟები
გიორგი, ივანე და კოტე ამარაგებდნენ.

სიმონი მოესწრო უფროსი ვაჟის გიორგის გარდაცვალე-
ბასაც. გიორგის ქვრივი და ოთხი მცირეწლოვანი შვილი,
ვაჟი ანდრია და სამი ქალიშვილი, სიმონის მეურვეობის
ქვეშ დარჩნენ. ბაბუამ ყველა მათგანს დაამთავრებინა საშუ-
ალო სასწავლებელი, რის შემდეგ ანდრია რკინიგზის უწ-
ყებაში განაწესეს. ქალები კი აქტიურად მონაწილეობდნენ
ქუთაისის ქართულ თეატრში. საყურადღებოა, რომ სახ-
ელოვანი ქართველი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე გიორ-
გის ქალის მარიამის ქალიშვილი იყო.

სიმონი და მისი ოჯახი შეტანილია 1850 წელს შედ-
გენილ იმერეთის თავადაზნაურთა ოჯახების სიაში. აქ
ნათქვამია, რომ სიმონ ივანეს ძე მესხს ჰყავს მეუღლე მაგ-
დალინა და ორი შვილი: სერგეი და პელაგია. როგორც
ცნობილია სიმონის უფროსი ვაჟი იყო გიორგი, რომელიც
დაბადებულია 1841 წელს. ჩვენთვის უცნობია ამ სიაში რა-
ტომ არაა გიორგი როცა მასზე უმცროსები სერგეი (დაბ.
1845 წ.) და პელაგია (1842 წ.) ამ დოკუმენტში ირიცხებიან.

ეფემია მესხი იგონებს მამის გარდაცვალებას და წერს, რომ იგი 1877 წელს ყელჭირვებით გარდაიცვალაო. ხუნაგი ჩვეულებრივ ბავშვებს ემართებათ, მაგრამ იშვიათად უფროსებიც ავადდებიან, თანაც ძალზე მძიმედ. როგორც ჩანს, სიმონ მესხი ხანდაზმულთათვის ამ იშვიათმა სენმა იმსხვერპლა.

სიმონის მეუღლე ქალბატონი მაგდანა (რუსულ დოკუმენტებში მაგდალინა), მრავალი შვილის დედა, საკმაოდ მკაცრი და შვილებისადმი მომთხოვნი ქალი ყოფილა. 13 შვილს* მოგვიანებით შვილიშვილებიც დაემატა და ოჯახში მთელმა ჯარმა მოიყარა თავი. ამიტომ ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახში სიმკაცრისა და ზოგჯერ პატარა „წათავაზების“ გარეშე საქმე ვერ აეწყობოდა.

ამ სიმკაცრესთან ერთად მაგდანა ძალზე ღვთის მადრებელი და მლოცველი ქალი ყოფილა. შვილებისათვის თავგადადებული დედა მთელს სიცოცხლეს მათზე ზრუნვაში ატარებდა. მარტო ისიც რად ღირს, რომ ცამეტი შვილიდან მხოლოდ სამს თუ ოთხს ჰყავდა ძიძა, დანარჩენი 9-10 ბავშვი მაგდანამ სულ საკუთარი ძუძუთი გაზარდა.

ბევრი შვილი ბევრი დარდიო და მაგდანასაც სიცოცხლე ჩაუმწარა შვილების სიკვდილმა. გიორგი და პელაგია წყალმანკს გადაჰყვნენ (სხვათაშორის თვით მაგდანაც წყალმანკით აღესრულა); დედა სერგეის სიკვდილსაც მოესწრო.

მაგდანა მიეკუთვნებოდა ქართველ ქალთა იმ რიგს, რომელთაც „ანბანზე“ იცოდნენ „ვეფხისტყაოსანი“. მან რუსთაველის სიყვარული თავის ქალიშვილს ანასაც გადასცა. იმ დროს კი ეს გატაცება ქართულის მცოდნეობის ეტალონადაც ითვლებოდა.

მაგდანას დაბადება-გარდაცვალების თარიღები ჩვენთვის უცნობია.

* დავით მესხი ამბობს, რომ სულ 18 უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ხუთი ბავშვი ჩვილობის ასაკში გარდაიცვალნენო.

და-ძმები

როგორც შესავალში აღვნიშნეთ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი სერგეი, კოტე, დავით, ეფემია და ივანე მესხების ბიოგრაფიები. ეს გასაგებიცაა, მათ მართლაც ღირსეული კვალი დატოვეს ქართული კულტურის, განათლებისა და საზოგადოებრივი განვითარების სხვა სფეროებში.

ჩვენ მიზნად დავისახეთ მკითხველისათვის 13-ვე და-ძმის შესახებ შექმნილი დაგვარად მიგვეწოდებინა მოკლე ბიოგრაფიები. ამაში ძალზე დაგვეხმარნენ დავით და ეფემია მესხების მოგონებები. ეს წიგნი ივანე მესხს ეძღვნება. ამიტომ მის შესახებ ცალკედ და საკმაოდ ვრცლად ვისაუბრებთ, ხოლო დანარჩენი 12 და-ძმის ბიოგრაფიას მკითხველს ქრონოლოგიურად, უფროს-უმცროსობის მიხედვით ვაწვდით.

გიორგი

ოჯახის პირველი ვაჟი გიორგი 1841 წ. დაიბადა ს. რიონში. გიორგიმ ქუთაისის გიმნაზია „მოწონებით“ დაამთავრა. იმ დროს უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღება მხოლოდ მცირეთა ხვედრი იყო, მაგრამ სიმონი სიძნელეებს არ შეეპუა და გიორგის პეტერბურგისაკენ დაულოცა გზა. დედა მაგდანა ამას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სიმონმა თავისი გაიტანა. გიორგი რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრა, ჩაირიცხა კიდევ უნივერსიტეტში, მაგრამ პეტერბურგში არეულობა დაიწყო და თითქმის ყველა იქაურმა სტუდენტმა მოსკოვის უნივერსიტეტს შეაფარა თავი. 6 წლის შემდეგ უნივერსიტეტდამთავრებული გიორგი ქუთაისში დაბრუნდა. აქ ერთხანს გიმნაზიაში ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიდა, მაგრამ სასწავლებელში არსებულ რეჟიმს ვერ შეეგუა, პედაგოგობას თავი დაანება და საჩხერის მაზრაში მომრიგებელ შუამავლად დაიწყო მუშაობა..

გიორგის ცოლად პყავდა ქუთაისის პირველდაწყებითი ორკლასიანი სასწავლებლის გამგის, ანდრია მრეველიშვილის ასული ანა. მასთან შეეძინა ერთი ვაჟი და სამი ქალი.

გიორგი ფიზიკურად ძალიან მარჯვე, პატარა ტანის, მაგრამ ლამაზი და შნოიანი კაცი ყოფილა. მისი მომრევიც არავინ იყო, წერს ძმა დავითი, მაგრამ პეტერბურგში არეულობის და მოსკოვში ლტოლვილობის დროს ბევრი გზა ფეხით გაუვლია, რათა არ დაეპატიმრებინათ, რამაც შეარყია მისი ჯანმრთელობა.

მოსკოვში უკვე ავადმყოფი სწავლობდა. დაეწყო გულის უკმარისობა, ამას წყალმანკიც დაერთო და სრულიად ახალგაზრდა, შუა ასაკს მიუღწეველი ქუთაისში გარდაიცვალა. დაკრძალეს ს. რიონში.

პელაგია

პელაგია სიმონისა და მაგდანას მეორე შვილი იყო. იგი 1842 წელს დაიბადა სოფელ რიონში. მან ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი დაამთავრა. პელაგია გამოირჩეოდა ჭკუა-გონებით, წიგნიერებით, სიღარბაისლით, გარეგნული სილამაზით და ქცევა-მანერებით. იგი ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს და ჩიხტიკოპს ატარებდა. შესანიშნავად იცოდა რუსული ენა, გამოირჩეოდა ტკბილი და მიმზიდველი საუბრით. ცოლად გაჰყვა მომრიგებელ შუამავალს ლუკა ავალიანს, მაგრამ მათ მემკვიდრე არ შეეძინათ.

უფროსი ძმის მსგავსად პელაგიასაც წყალმანკი შეეყარა, მეუღლემ სამკურნალოდ პეტერბურგში წაიყვანა, სადაც ავადმყოფს ოპერაცია სახელგანთქმულმა ექიმმა, სამეფო კარის დასტაქარმა ნიკოლოზ სკლიფოსოვსკიმ (1836-1909) გაუკეთა, მდგომარეობა გაუმჯობესდა და სახლში დაბრუნდა, მაგრამ პელაგიას წყალმანკი კვლავ გაუმეორდა, რასაც ემსხვერპლა კიდევ.

სერგეი

ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 14 წლის განმავლობაში გაზეთ „დროების“ რედაქტორი, თერგდალეულთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი დაიბადა 1845 წლის 12 ოქტომბერს (ძვ. სტ.) იმერეთის სოფელ რიონში (ახლანდელი წყალტუბოს რ.)

სიმონის სხვა შვილების მსგავსად სერგეი პატრიოტული სულისკვეთებით გააღენთილ, ეროვნული თვითმყობადობისათვის მებრძოლ მამულიშვილად მოგვევლინა.

1856-1863 წ.წ. სერგეი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნების-მეტყველო ფაკულტეტზე.

სტუდენტობის დროს სერგეი მესხი აქტიურად მონაწილეობდა ქართველ სტუდენტთა და კავკასიელთა არალეგალური წრეების საქმიანობაში. იყო ამ წრეების ხელმძღვანელი, კომიტეტის წევრი. პეტერბურგში ს. მესხის მსოფლმხედველობა რუს დემოკრატთა იდეებით ჩამოყალიბდა.

1867 წელს ს. მესხი ქუთაისს დაბრუნდა, სადაც დანიშნეს სახელმწიფო ქონებათა გამგებლობის მდივნად. 1868 წელს ის ახლადდარსებული გაზეთის „დროების“ რედაქტორად მიიწვიეს, რაც ახალგაზრდა მოღვაწისათვის იყო ჭეშმარიტი გამოცდა – დარჩებოდა ჩინოვნიკის მაღალ თანამდებობაზე და კარგ ანაზღაურებაზე, თუ გადა-



სერგეი მესხი
(1845–1883)

ვიდოდა რედაქტორის მძიმე, დაუფასებელ, სარისკო და მთაგრობის მხრიდან ყოველდღიური თვალთვალის ქვეშ მყოფ და შედარებით დაბალ ანაზღაურებაზე, მაგრამ საკუთარი ერისა და მამულისათვის სარგებლობისმომტან თანამდებობაზე. სერგეი მესხმა მეორე გზა აირჩია და მალე გაზეთი ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინების კერად გადააქცია. მისი პირადი ინიციატივით გაზეთი ინფორმაციებს ღებულობდა რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან, სისტემატიურად აშუქებდა საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს. ს. მესხი არ ღალატობდა ქართველი სამოციანელების ტრადიციებს და ყოველმხრივ ცდილობდა გაზეთი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა, ამავ დროს თავგამოდებით იცავდა რეალიზმს, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ძირითად და სასარგებლო მეთოდს.

1873-1874 წ.წ. ს. მესხი საფრანგეთში იყო. აქ ის ეცნობოდა ფრანგულ პრესას, ლიტერატურას, პროგრესულ



ეკატერინე (კეკე)
მელიქიშვილი
(1854-1928)

მოღვაწეებს, აქვე შეხვედრები ჰქონდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფთან, მათ შორის ეკატერინე გრიგოლის ასულ მელიქიშვილიან (1854-1928 წ.წ.), რომელთანაც სამშობლოში დაბრუნებისთანავე იქორწინა. კეკე მისი ცხოვრებისა და საქმიანობის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

სერგეი მესხი „ახალი ახალ-გაზრდობის“ ლიტერატურული ჯგუფის წევრი იყო, აქტიურად მონაწილეობდა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის გამართულ ბრძოლაში.

ს. მესხის წერილებში ასახულია ქართული ლიტერატურის იმდროინდელი მდგომარეობა, ავტორი ეხებოდა კრიტიკის თეორიასა და პრაქტიკას, ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურულ ენას, თეატრსა და დრამატურგიას. მან გრცელი წერილები მიუძღვნა გ. ერისთავის, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. ფურცელაძის, ა. წერეთლის, გ. ვოლსკის, გ. სუნდუკიანის და სხვათა შემოქმედებას, თარგმნა ვ. ჰიუგოს, ა. დოდეს და სხვათა ნაწარმოებები. ს. მესხის კალამს ეკუთვნის ორიგინალური მოთხრობა „ორი სიყვარული“ და პიესა „ხუმრობა“.

ჩვენ არსად შეგვხვედრია ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი სერგეი მესხი ლექსებსაც წერდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1862 წლის 8 ივლისს არის შედგენილი, მოტანილია ს. მესხის ლექსის რამდენიმე ტაეპი. მკვლევართა აზრით ლექსი აკაკი წერეთლისადმი არის მიძღვნილი.

ამას რას ვხედავ ჩემსა მამულში,
სადაც ველოდი თავისუფლებას?
ა...ი წ...დმი – სად არის ღმერთი ამ ქვეყანაში?
სად არს გარჩევა კარგს და გლახაში?²⁷

ს. მესხის პუბლიცისტიკა, კრიტიკა და ბიოგრაფიული წერილები შორეული მომავლის შემოქმედებაა. კითხულობ ამ შორსმჭვრეტელურ წერილებსა და გეჩვენება, რომ ისინი დღეს, ჩვენს თვალწინ დაიწერა, იმდენად შთამაგონებელი და ჭკუის მასწავლებელია ჩვენი თაობისათვის.

ს. მესხმა „დროების“ რედაქტორად შეუცვლელად იმუშავა 14 წელი, მაგრამ მის ორგანიზმს მალე დააჩნდა დაძაბული შრომის მძიმე კვალი, რის გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა საყვარელი საქმე. გულით დაავადებულს, გაუჩნდა საბედისწერო გართულება – ანევრიზმა და

1883 წლის 21 ივლისს (ძვ. სტ.), აბასთუმანში ყოფნისას, მეუღლისა და ძმის, დავითის თვალწინ მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალეს მშობლიურ სოფელ რიონში, სადაც მისი ძეგლია აღმართული.

ანა

სიმონის და მაგდანას მეხუთე შვილი ანა 1851 წელს დაიბადა ს. რიონში. მას განათლება არ ჰქონდა, მამა სასწავლებელში აპირებდა მის გაგზავნას, მაგრამ უფროსმა ქალიშვილმა პელაგიამ დაუშალა და მისი აღზრდა თვითონ იკისრა. შესანიშნავად შეისწავლა ქართული გრამატიკა და რუსული ენა. ამ საქმეში პელაგიას დედაც შეელოდა. იმ დროს ქართულის ცოდნის საზომად „ვეფხისტყაოსანი“ ითვლებოდა. მაგდანამ ზეპირად იცოდა ეს შედევერი და ანასაც ისე ღრმად შეასწავლა, რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაშიც კი შეიყვანეს. გიორგი ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის წინ ანამ რამდენიმე დამაჯერებელი და სწორი შენიშვნა მიაწოდა კომისიას, როგორც მისმა წევრმა. საერთოდ ანა უადრესად დარბაისელი, გონიერი, დინჯი და თავშეკაცებული მანდილოსანი იყო.

ანა მესხი, როგორც ჩანს თავისი და-ძმების მიბაძვით, ჯერ კიდევ ბავშვობაში თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობს. პირველად ამ როლში იგი გამოვიდა 1878 წელს. ანა თავის ძმასთან, კოტესთან და ეფემია კლდიაშვილთან ერთად მონაწილეობს ა. ოსტროვსკის ხუთმოქმედებიან კომედიაში, „შემოსავლიანი ადგილი“. ამაზე იუწყება „დროება“. საყურადღებოა, რომ წერილის ავტორი ვინმე „მაყურებელთაგანი“ სპექტაკლზე თავის მოსახრებებს რეცენზიის სახით აქვეყნებს.

1880 წელს ანა მესხი ქუთაისის მსახიობთა ჯგუფში (ტრუპა) შედის და რამდენიმე სპექტაკლში მონაწილეობს. ესენია საკმაოდ ცნობილი პიესები: „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“, „მზის დაბნელება“, „სიყვარული მეკურნალობს“, „ყვავი ფარშევანგის ფრთებით“ და სხვ. ამ სპექტაკლში ანას პარტნიორები არიან ეფრო კლდიაშვილი, მრეკლიშვილი, მარიამ განგესოვი და სხვ.

1880 წლის მაისში ქუთაისის თეატრის მოყვარულებს დაუდგამთ გიორგი წერეთლის დრამა „ოჯახის ასული“, აგრეთვე ივანე მესხის (ანას ძმის) ვოდევილი „ჰერკულესი“. ორივე სპექტაკლში ანა მონაწილეობს ეფრო კლდიაშვილთან, ო. აბაშიძესთან, მარიამ განგესოვთან და სხვებთან ერთად.

როგორც ჩანს, ანა მესხმა 1882 წლიდან მიატოვა სცენა. ამის მიზეზი ჩვენთვის უცნობია. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში იგი აქვეყნებს წერილს რედაქტორის სახელზე, სადაც საუბარია ქუთაისის დრამატული დასის მიერ მიბარებულ ტანისამოსზე.²⁸

ამის შემდეგ ანა მესხის თეატრალურ მოღვაწეობაზე ქართულ პრესაში არავითარი ცნობა არაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი შესაძლოა ოჯახს მოეკიდა, ან რაღაც სხვა მიზეზით სცენას ჩამოშორდა. ამის შემდეგ ანა მესხი მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. 1883 წელს მას უთარგმნია და გამოუქვეყნებია ეტი პირსის რომანი, „არა, არ არის დანაშაული“, რომელიც ქუთაისის ჟურნალ „ქართულ ბიბლიოთეკაში“ გამოუქვეყნებია.²⁹

ამ ჟურნალში ანასთან ერთად მთარგმნელებად თანამშრომლობდნენ რედაქტორი ეკ. ლორთქიფანიძე, ან. თუმანიშვილი, ა. ბაქრაძე და სხვები. ისინი უცხოელ კლასიკოსთა (ვ. ჰიუგო, ჰ. სენკევიჩი, მოლიერი და სხვ.) ნაწარმოებების გარდა ქართველ მწერალთა მოთხრობებსაც უცხო ენაზე თარგმნიდნენ. (ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები, დიმი-

ტრი ყიფიანის მოთხრობა „ქალი“ და სხვ). სულ 1883 წ. გამოვიდა „ქართული ბიბლიოთეკის“ 12 ნომერი, ხოლო 1884 წელს – ერთი ნომერი.³⁰

ამ ჟურნალების გაცნობით შესაძლოა კიდევ აღმოჩნდეს ანა მესხის თარგმანი და მისი შემოქმედებითი არსენალი ახალი ნაწარმოებებით შეივსოს.

როგორც ჩანს, ანა მესხი თეატრს მთლიანად არ ჩამოშორებია. ამაზე მეტყველებს გაზეთ „ივერიის“ ერთი ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ ანა მესხმა თარგმნა ვ. მელიჩკოს თხზულება „პირველი ბუზი“, რომელიც შემდეგ ორმოქმედებიან კომედიად გადმოაკეთა ვალერიან გუნიაშვილმა და სახელად უწოდა „გამარჯვებულებს არ სჯიან“. იგი თეატრში 1898 წლის 6 დეკემბერს დაიდგა კიდევ. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ეფემია მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალე-



ქუთაისი

რიან გუნია, ვასო აბაშიძე და სხვები. რეცენზენტ ა. ნიკიტინს რატომღაც პიესის თარგმანი დაუწუნებია.³¹

სხვათაშორის ამ პიესას და მის თარგმანს თავის რეცენზიაში ეხება აგრეთვე მიხეილ ნასიძე, მაგრამ თარგმანის უვარგისობაზე არაფერს ამბობს,³² რაც იმაზე მეტყველებს, რომ შესაძლოა ა. ნიკიტინის უარყოფითი შეფასება მიკერძოებული, ან მისი დაბალი გემოვნების შედეგია.

ანა მესხის გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის უცნობია.

მიხეილი

მექქსე შვილი მიხეილი 1853 წელს დაიბადა ქუთაისში.* იგი ბავშვობიდან მოავადმყოფე, სუსტი ბიჭი ყოფილა. მიუხედავად ამისა დაამთავრა ქუთაისის ანდრია მრეწველიშვილის 2-კლასიანი სკოლა. თუმცა მას შემდეგ არსად უსწავლია, მაგრამ რაც მაშინ ისწავლა, მაგალითად პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებს, თურმე მოხუცებულობაშიც კარგად იმეორებდა.

მიხას ძიძა სოფიო იყო და იგი მესხების ოჯახს შეაბერდა, მიხას შემდეგ დაბადებულ შვილებსაც გადიობას უწევდა და მათ სიკვდილამდე აღარ მოშორებია. მისი გაზრდილი მიხაც უპირატესად სოფელში თავის გამზრდელთან ერთად ცხოვრობდა. თავისი შესაძლებლობით მუშაობაც არ ეზარებოდა და მსუბუქი საქმეებით იყო დაკავებული.

*1852 წელს სიმონ მესხი მთელი ოჯახით ქუთაისში, „სილაზე“ გადავიდა საცხოვრებლად. ამის შემდეგ მისი ყველა შვილი აქ დაიბადა. რ. ს.

ნესტორი

მესხთა ოჯახის მეშვიდე შვილი ნესტორი იყო. იგი 1856 წელს დაიბადა ქუთაისში. ნესტორი მასწავლებლობდა კახეთში, კერძოდ ყვარელში. დავით მესხის თქმით ნესტორი „შნოიანი, მოხდენილი ახალგაზრდა, კარგი მოლაპარაკე, მოსიმღერე, მომღხენი, მაცეკვარი ყოფილა. ამასაც ნიჭი უნდა. რა ნადიმსაც უნდა დასწრებოდა, შნო და ლაზათი შეჰქონდა. შუა ხნოვანებისა იყო, რომ თბილისში, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.“³³

სხვა რაიმე ცნობა ნესტორ მესხის შესახებ არ გაგვაჩნია. არ ვიცით მისი გარდაცვალების თარიღიც.

კოტე (იაკობი)



კოტე მესხი
(1857–1914)

ქართული სასცენო ხელოვნების ერთი დიდი მოამაგე, უნიჭიერესი აქტიორი და რეჟისორია. იგი 1857 წელს დაიბადა ქუთაისში. 17 წლის ჭაბუკი მონაწილეობდა ქუთაისის სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. აქ გამოვლენილი სამსახიობო ნიჭი მალე ცნობილი გახდა თეატრალურ წრეებში და იგი 1879 წელს თბილისის მუდმივ პროფესიულ დასში მიიწვიეს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ კოტე ქუთაისში დაბრუნდა, სადაც ეფრო კლდიაშვილი და ანტონ ლორთქი-

ფანიძე საფუძველს უყრიდნენ მუდმივ თეატრალურ დასს. ამ საქმეში კოტეც აქტიურად ჩაება, მაგრამ მისი სამსახიობო ოცნება ამჯერად ვერ აისრულა.

კოტე მესხი ერთხანს ბუღალტრობას აპირებდა და ამ დარგის შესასწავლად ოდესაში გაემგზავრა, მაგრამ აზრი შეიცვალა და კვლავ თეატრალურ ხელოვნებას ეზიარა. იგი ფოთიდან პარიზს წავიდა, სადაც ხუთი თვე დარჩა. პარიზიდან კოტემ ჩამოიტანა პიესები, რომელმაც გაამდიდრა ქართული თეატრების რეპერტუარი.

1885 წელს კოტე მესხმა ქუთაისში დააარსა პროფესიული თეატრი, რომელსაც იგი თითქმის ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. აქ მან თავი მოუყარა ნიჭიერ ძალებს: ეფემია მესხი, დესპინე ივანიძე, ნუცა ჩხეიძე, დავით ჩარკვიანი, შალვა დადიანი, კოტე მარჯანიშვილი და სხვ. ამ დროს ქუთაისს არ გააჩნდა თეატრის შენობა. კოტე მესხმა ამისათვის შეარჩია 1888 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ის სტუმრობის დროს საგანგებოდ აგებული შენობა, რომელიც თეატრად გადააკეთეს.

სამწუხაროდ ეს შენობა 1894 წელს ხანძარმა იმსხვერპლა, რამაც დიდი წუხილი და დაბნეულობა გამოიწვია. მისი აღდგენა კოტემ ვერ მოახერხა, რის გამო იძულებული გახდა ოჯახით თბილისში გადასულიყო. აქ იგი დრამატულ თეატრში მუშაობდა რეჟისორად და მსახიობად. მოკლე დროში კოტემ მრავალი საგმირო როლი განასახიერა: ლევან ხიმშიაშვილი („სამშობლო“), გოჩა („თამარ ცბიერი“), ანანია („დალატი“), არბენინი („მასკარადი“), ჩაცკი („ვაი ჭკუისაგან“), ოტელო („ოტელო“) და სხვ.

ორი წლის შემდეგ კოტე მესხი ქუთაისში დაბრუნდა. იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში მისივე თაოსნობით შექმნილ თეატრალურ დასს და იგი ახალი ნიჭიერი ძალებით შეავსო.

კოტე მესხს თანამედროვენი დიდი მოწიწებით სცემდნენ პატივს არამარტო როგორც უნიჭიერეს მსახიობს, არამედ ხელოვან ორატორსაც. მისი სიტყვები ქუთაისში და მოსკოვში ქართული მჭერმეტყველების ნიმუშებად დარჩა.

კოტე მესხმა თავი ისახელა თარგმანშიც. მან თარგმნა და ქართულად აამეტყველა ნ. გოგოლის, უ. შექსპირის, ა. დიუმას, ვ. სარდუს და სხვათა კლასიკური დრამატული ნაწარმოებები, რომლებიც ქართული სცენებიდან არ ჩამოდიოდა.

საქართველოს თეატრის ისტორიაში კოტე მესხი ითვლება თეატრის ამაღორძინებელ-გარდამქმნელად, განმაახლებლად და განმავითარებელ მოღვაწედ, აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ.

კოტე მესხი გარდაიცვალა 1914 წელს, თბილისში.

დავითი



დავით მესხი
(1860–1943)

დავითი სიმონ მესხსა და მაგდანა მარჯანიშვილის მე-9 შვილი იყო. იგი 1860 წელს დაიბადა ქუთაისში. ქართველი საზოგადოებრიობა დავით მესხს იცნობს, როგორც მწერალს, მთარგმნელს, დრამატურგს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს.

დავითმა განათლება ქუთაისში, მრევლიშვილის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. აქ იგი თანამშრომლობდა უმცროსკლასელთა

ხელნაწერ გაზეთში. ამაში იმდენად გაიწაფა, რომ პატარ-პატარა წერილებს გაზეთ „დროებასაც“ უგზავნიდა.

ხელნაწერი გაზეთით დავითის გატაცება საბედისწერო აღმოჩნდა, მას გადაეკიდა ლათინური ენის რეაქციონერი მასწავლებელი, რის გამო იძულებული გახდა გიმნაზია მიეტოვებინა. იგი სახლში სოფელ რიონში დაბრუნდა, მაგრამ სათანადო განათლება არ ჰქონდა და მეურნეობასაც ვერ დაუდო გული.

1880 წელს დავითი თბილისში გადავიდა და გაზეთ „დროებაში“, თავის უფროს ძმასთან სერგეისთან კორექტორად დაიწყო მუშაობა. აქ იგი დაუახლოვდა დიდ ბელეტრისტს ალექსანდრე ყაზბეგს, აგრეთვე დავით კეზელს (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილს, ილია ხონელს (ბახტაძე). ეს მისთვის შესანიშნავი სკოლა იყო და ოციოდე წლის ჭაბუკმა პირველი ფელეტონებიც მოამზადა („ცივი ამბები“). ისინი ცივი-ს ფსევდონიმით იბეჭდებოდა.

გაზეთის რედაქციაში მუშაობასთან ერთად დავითმა მეორე მნიშვნელოვანი დარგიც აირჩია, თარგმნა და გამომოქართულა დრამატული პიესები: „სიკოია დენშიკი“, „სუსტი მხარე“, „მედვა“, კომედია „გემრიელი ღუკმა“ და სხვ.

1883 წელს ჯანმრთელობაშერყეული მესხი რედაქციიდან წავიდა და უკანასკნელი დღეები მშობლიურ სოფელ რიონში გაატარა. დავითმაც მიატოვა „დროება“ და ძმას სიკვდილამდე არ მოშორებია. გაზეთს ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა. მან არაერთხელ თხოვა დავითს დაბრუნებულიყო რედაქციაში. დავითი დაყვა მაჩაბლის კეთილ ნებას და დაბრუნდა თბილისში, სადაც გაზეთის გაუქმებამდე (1885 წ.) დარჩა.

ამის შემდეგ დავით მესხი თანამშრომლობდა მრავალ ქართულ ჟურნალსა და გაზეთში („თეატრი და ცხოვრება“, „ნიშადური“, „პატარა გაზეთი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „თემი“ და სხვ.)

იგი ბეჭდავდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ლექსებს, მოთხრობებს, იუმორისტულ ფელეტონებს, პუბლიცისტურ

წერილებს, რომელთაც აქვეყნებდა კვირიკე-ს, სამშაბათე-
ლა-ს, დათიკო-ს, ცივი-ს და სხვა ფსევდონიმებით.

თავისი და-ძმის ეფემიას და კოტეს გავლენით, დავითმა
თეატრიც შეიყვარა. აქ იგი მოგვევლინა, როგორც დეკორა-
ტორი, ბუტაფორი და მსახიობი. მალე სცენაზე მისი საკ-
მაოდ ცნობილი პიესებიც გამოჩნდა.

დავით მესხი გარდაიცვალა 1943 წელს, დაკრძალულია
სოფელ რიონში უფროსი ძმის გვერდით.

ეფემია

სიმონ მესხის მეათე შვილი ეფემია ქართველ ქალთა-
გან ერთ-ერთი პირველი მსახიობი იყო, ვინც დიდი ღვაწ-
ლი დასდო ქართულ სასცენო ხელოვნებას და საფუძველი
განუმტკიცა სამსახიობო შემოქმედებას. გივი მეფისაშვი-
ლის ფრთიანი ფრაზით, ეფემია მესხი „ისეთივე დიდმნიშ-
ვნელოვანი მოღვაწეა თავისი შემოქმედებით და საზოგა-
დოებრივი საქმიანობით, როგორც რომელიმე მეცნიერი,
მწერალი, რომელიც გარკვეულ კვალს აჩენს ქვეყნის
საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას.“³⁴

მართლაც, ეფემია მესხმა მთელი თავისი სიცოცხლე
თეატრალურ ხელოვნებას მოახმარა, მეტეორივით გაიელ-
ვა ქართულ სცენაზე და ისეთი ნათელი კვალი დატოვა,
რომ ქართულმა კულტურამ იგი თავისი ჭეშმარიტი ვარ-
სკვლავების: ნატო გაბუნias, მარიამ საფაროვას, ვასო აბა-
შიძის, ლადო მესხიშვილის, ნინო ჩხეიძის, კოტე ყიფიანის,
კოტე მესხის გვერდით დააყენა.

ეფემია 1862 წლის 11 ივლისს დაიბადა ქუთაისში.
ბავშვობიდანვე ცელქი გოგონა დიდ ინტერესს იჩენდა ხე-
ლოვნებისადმი. მის თანატოლებთან ერთად უფროსმა ძმამ
დავითმა სპექტაკლებიც კი მოამზადა. 15 წლის ეფემიამ
ითამაშა აკაკი წერეთლის ვოდვეილ „ბუტიაობა“-ში და რუ-

სულ საბავშვო პიესა „ჭიქა წყალში.“ ეს იყო 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ საბავშვო წარმოდგენებიდან შემოსული 7 მანეთი და 40 კაპიკი სპექტაკლის მონაწილეებმა ქართველ მეომრებს გაუგზავნეს.

ეფემია ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მე-4 კლასში სწავლობდა, როცა მამა სიმონ მესხი გარდაიცვალა (1877 წ.). ამან ძალზე იმოქმედა მგრძნობიარე გოგონაზე, ამიტომ უფროსმა ძმამ სერგეიმ ეფემია თბილისში წაიყვანა გიმნაზიაში სწავლის გასაგრძელებლად. სერგეი „დროების“ რედაქტორი იყო, რედაქციაც ბინაზე ჰქონდა, ამიტომ მის ოჯახში თავს იყრიდნენ იმდროინდელი საქართველოს ბუმბერაზი ადამიანები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მანაბელი, რაფიელ ერისთავი, იონა მეუნარგია. ასეთი ინტელექტუალური ძალის გარემოცვაში ყოფნა ეფემიასათვის უდიდეს შთაგონებად და მომავლის სტიმულად იქცა. გოგონა ლიტერატურით დაინტერესდა, რუსულად თარგმნა ფელეტონი, რომელიც ძმამ თავის გაზეთში დაბეჭდა. ეფემიამ მუსიკაშიც კარგი ნიჭი გამოავლინა, ხოლო პირველი თეატრალური ნათლობა თბილისში მიიღო. „პარიზელ ბიჭში“ შეასრულა ლუიზას როლი (1882 წ.).

1882 წელს ეფემია ქუთაისში დაბრუნდა, მაგრამ გიმნაზიაში სწავლა აღარ გაუგრძელებია. ძმის, სახელოვანი მსახიობის კოტეს ხელშეწყობით ეფემიამ ამის შემდეგ მთელი ცხოვრება თეატრს მიუძღვნა.

სწორედ 1882 წელს სერგეი მესხი მძიმედ დაავადდა, რედაქცია



ეფემია მესხი
(1862–1941)

მიატოვა და მშობლიურ სოფელს რიონს მიაშურა. ეფემია რძალთან კეკე მელიქიშვილთან ერთად სერგეის სიკვდილამდე (1883 წ.) აღარ მოშორებია.

1885 წელს კოტე მესხმა სცენის მოყვარე ახალგაზრდებისაგან ქუთაისში შეადგინა ქართული თეატრალური დასი, რომელშიც გაერთიანდა ეფემია; ამ დასში იგი 1894 წლამდე დარჩა.

1898 წელს ეფემია ცოლად გაჰყვა ივანე გეჰნერს, რომელიც ბაქოში მოღვაწეობდა. საბედნიეროდ ბაქოშიც შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე, სადაც მუშაობდა ეფემიას დისშვილი ნინო გამრეკელი. მათ სხვა ენთუზიასტებთან ერთად დააარსეს ბაქოს ქართული თეატრი. ეფემია დროდადრო თბილისში ჩამოდიოდა და ასრულებდა კომედიურ და დრამატულ როლებს: ქეთევან დედოფალი (ა. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“, ტურფა (ა. წერეთლის „პატარა კახი“, ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), დედა (ი. ჭავჭავაძის „დედა-შვილი“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ოფელია (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), მარგარიტა (ა. დიუმას „მარგარიტა გოტია“ და სხვ.).

1922 წელს ეფემია მესხს მოღვაწეობის 40 წლის თავთან დაკავშირებით იუბილე გადაუხადეს და საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს.

ეფემია მესხი გარდაიცვალა 1941 წელს ქუთაისში.

მარიამი

სიმონისა და მაგდანას მეთერთმეტე შვილი მარიამი 1864 წელს ქუთაისში დაიბადა. როგორც მისი ძმა დავითი ამბობს: „მიხას შემდეგ საკვირველი ბედი დაგვეწერა მის მიმყოფ ძმებსა და დებს. გიმნაზიის მეოთხე-მეექვსე კლასებს ვერც ერთი ვერ გადავცილდით. ეს ხიფათი

თავს დაგვატყდა ერთნაირად შვიდს და-ძმას. უმაღლესი სწავლა არცერთს არ მიგვიღია.“ თუმცა ამ სიტყვების შემდეგ ავტორი გუგლიად იმასაც ამბობს, რომ: „უნიჭო ხალხი არ ვიყავით, არც სულ ფონგაუსველელი დავრჩენილვართ და საზოგადოებრივ სარბიელს ჩვენი წვლილი შევძინეთ“-ო.³⁵

ამ შვიდეულს მიეკუთვნება მარიამიც. ახალგაზრდობაში, როცა ბავშვები წარმოდგენებს და სცენისმოყვარეთა წრეც შექმნეს, მარიამიც მთელი გატაცებით მონაწილეობდა ამ წრეში. მაგრამ იგი ადრე გათხოვდა, ცოლად გაჰყვა ალექსანდრე გამრეკელს, შვილებიც გაუჩნდა და ეს ბავშვური გატაცებაც დავიწყებას მიეცა.

მარიამს და ალექსანდრეს სამი შვილი შეეძინათ. ნიკო (1884-1968), რომელმაც ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი დაამთავრა (1910 წ.), დახელოვნდა პარიზში სახელგანთქმულ ვიდალთან, ისმენდა ბაბინსკის, მარია სკლადოვსკაია-კიურის და სხვათა ლექციებს და დიდხანს იყო ჯანდაცვის სამინისტროს IV სამმართველოს კონსულტანტი.

მარიამის ქალიშვილები ნინო (პირველი ქართველი რეჟისორი ქალი, 1882-1935) და ბაბო გამრეკლები დიდხანს იღვწოდნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ნინო რეჟისორად, ხოლო ბაბო მსახიობად.

კონსტანტინე

მეთორმეტე შვილი კონსტანტინე (კოწია) 1867 წელს დაიბადა ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც საშუალო ცოდნა მიიღო, მაგრამ ძალზე ემარჯვებოდა წერა, როგორც ქართულად, ისე რუსულად. იგი ბაქოში ცხოვრობდა და როტშილდის ნავთობის წარმოებაში კარგი თანამდებობა ჰქონდა.

სამწუხაროდ კოწიას ნებისყოფა დაღატობდა, ჩვეულებრივი ქეიფი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, მიეძალა ღვინოს და ფიზიკურად ისედაც სუსტი, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

ნინო (ნუცა)

მე-13, თანაც ნაბოლარა ნინო 1869 წელს ქუთაისში დაიბადა. მან აქ ქალთა გიმნაზია დაამთავრა და შეუდგა მასწავლებლის რთულ, მაგრამ უადრესად საპატიო საქმეს ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებელში, რომელიც ხელმოკლე გოგონების სწავლის საუკეთესო კერად გადაიქცა.

სილამაზითა და მოხდენილობით დაჯილდოებული ნინო მესხთა ოჯახის ნამდვილი თვალ-მარგალიტი ყოფილა, იგი ძალზე ახალგაზრდა მოულოდნელად გარდაცვლილა. ამ უბედურებას დიდი გულისტკივილით აღწერს დავით მესხი: „მისმა უდროოდ სიკვდილმა მთელი ოჯახი გააუბედურა. შემზარავი იყო მისი მოწაფეების გულსაკლავი ტირილი და გოდება ნინოს ცხედარზე. ნინო ჩემს მკლავზე გარდაიცვალა და ეს ცოდვა უნდა ვადიარო – ბევრი ჭირის დღე დაადგა ჩვენს ოჯახს, ბევრი კარგები დაკარგეთ, მაგრამ მე პირადად არც ერთის სიკვდილს ისე არ დაუტანჯივარ, როგორც ნუცას სიკვდილმა დამტანჯა.“³⁶



ნახილნი მესამე

ივანე მესხი (ცხოვრება და მოღვაწეობა)

ივანე მესხი ქუთაისელი სიმონ მესხის სახელოვანი ოჯახის წევრია, რომელიც თავის 12 და-ძმასთან ერთად პატრიოტული სულისკვეთებით აღიზარდა. როგორც დავინახეთ, უმრავლესობამ ქართული კულტურის, განათლების და სხვა სფეროებში ღირსეული კვალი დატოვა.



ივანე მესხი
(1849–1931)

ქართული ბიოგრაფიული ლიტერატურა კარგად იცნობდა მესხების ოჯახიდან გამოსულ საზოგადო მოღვაწეებს: სერგის, კოტეს, ეფემიასა და დავით მესხებს, მაგრამ მათ შორის ყოველთვის არ ჩანდა ივანე მესხი. ეს ხარვეზი გამოსწორა და პირველად ივანე მესხის ბიოგრაფია მკითხველებს მიაწოდა ბათუმელმა მკვლევარმა იროდი მაღაზონიამ.³⁷ თუმცა, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, „ამისთანა ერთგული მოყვარეც საჭიროა იქ, სადაც

იგი დავიწყებულია.“ ვრცელი ნაშრომები მიუძღვნა ივანე მესხის შემოქმედებას, განსაკუთრებით ჟურნალისტურს, ალექსანდრე კალანდაკემ.³⁸

ივანე მესხმა ხანგრძლივი, საზოგადო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მუნიციპალური ცხოვრების ისტორიაში. იგი ეკუთვნოდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციის იმ ჯგუფს, რომლის მიზანს სამშობლოსა და ხალხის სასარგებლო სამსახური შეადგენდა.

ივანე მესხმა დიდი ღვაწლი დასდო საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებს ქუთაისსა და ბათუმში. თავისი შრომითა და მოღვაწეობით იგი ხალხში აღვივებდა სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულს და მოუწოდებდა მათ განათლებისაკენ, პროგრესისაკენ.

ივანე მესხმა, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფმა მოღვაწემ ყველაზე ადრე შეიგნო თვითმპყრობელობის პოლიტიკური უნიადაგობა. იგი ცნობილია, როგორც ჟურნალისტი, მასწავლებელი, მუნიციპალური

მოღვაწე და მთარგმნელი, თავის პუბლიცისტურ წერილებსა და სტატიებში იგი დიდი ერუდიციით აღწერს მაშინდელი ეპოქის სინამდვილეს. დაუნდობლად ჰკიცხავს ყოველგვარ გამოვლინებას, რომელიც აფერხებდა სამშობლოს წინსვლასა და პროგრესს.

ივანე მესხი მე-19 საუკუნის ბოლო მესამედისა და მე-20 საუკუნის პირველი მესამედის მოღვაწეა. იგი დაიბადა 1849 წელს, სოფელ რიონში, აზნაურის – სიმონ მესხის ოჯახში. როგორც ზემოთ გავეცანით, სიმონ მესხი, საკმაოდ კულტურული და განათლებული კაცი, მრავალრიცხოვანი შვილების პატრონი იყო. უანგარო შრომით სიმონმა რვა ვაჟი და ხუთი ქალი აღზარდა და ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა.

ივანე მესხმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ ის შეიყვანეს ქუთაისის გიმნაზიაში. მასთან ერთად სწავლობდნენ: ლევან ჩაჩუა, დიმიტრი დადიანი, შანშე ჩხეიძე, დავით ჩხოტუა, რომან მაჭავარიანი, ვარლამ ერისთავი, მიხეილ და ივანე გეგიძეები, როსტომ წერეთელი, თომა ჩიკვაძე, გიორგი ჭალადიდელი. ივანეს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა გიორგი მაქსიმესძე ჭალადიდელ-ქოჩაკიძესთან; მასზე მოგონებაც კი დაუწერია.

სტუდენტობის წლები

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1869 წელს, ივანე მესხი შევიდა პეტერბურგის ქირურგიულ აკადემიაში. იგი არც პეტერბურგში იყო უქმად, თავისი ქვეყნის და ხალხის გასაჭირი აქაც ახსოვდა და უფრო დიდ ინტერესს იჩენდა სოციალური უკუღმართობების მიმართ. რუსეთის დედაქალაქში ნანახმა და გაგონილმა ივანეს ნაწერები უფრო მიზანსწრაფული და გაბედული გახადა, უფრო მეტი პროტესტი იგრძნობა მის წერილებში. ამის მაგალითად მოვიტანთ კორესპონდენციას „გეგუთის რკინიგზაზე“, სადაც საუბარია „საწყალ მუშაზე“, რომელსაც აწუხებს სოციალური დევნა, მიწის სიმცირე, უგზობა, შიმშილი, კულტურული ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა და ა. შ. გლეხი გოდებს: „ოდონდაც ცივი წყალი და მჭადი მქონდეს და სხვას არას ვინატრებდიო“, რაც იმდროინდელი ყველა მის ბედში მყოფის ამონაკენესიცაა.³⁹

ივანე მესხი ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. იგი ორი წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ჟურნალისტურ საქმიანობაში. „დროება“-სა და „კრებულში“ აქვეყნებდა წერილებს. 1871 წელს იყო „დროების“ წარმომადგენელი ქუთაისში. „ხელისმოწერა მიიღება ივანე მესხთან... სილაზე“ – ვკითხულობთ „კრებულში“-ს ერთ-ერთ განცხადებაში. 1872 წელს სხვა ქართველებთან ერთად იგი მიემგზავრება ციურისში (შვეიცარიაში). ციურისისაკენ მიმავალი ივანე მესხი ოდესაში გზად ორი დღით გიორგი თუმანიშვილის ბინაში გაჩერებულა. აქ მას თან ახლდნენ ნიკო ნიკოლაძის ძმა ვლადიმერი (1850-1871) და პავლე თუმანიშვილი. ამის შესახებ გიორგი ატყობინებს თავის მამას მიხეილ თუმანიშვილს: „ამ დღეებში (1872 წ. 20 მარტს. რ. ს.), აქ მოვიდნენ: ი. მესხი (ძმა რედაქტორისა), ვლ. ნიკოლაძე (ძმა პუბლიცისტისა) და პავლე თუმანოვი. პირველები

ჩვენსა დადგნენ ორი დღით და გუშინ წავიდნენ ციურისში სასწავლებლად, პავლე თუმანოვიც გუშინ წავიდა ვენაში ორი თვით თავის თვალების მოსარჩენად.⁴⁰

ივანე მესხი შევიდა სამედიცინო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლის ქირის სიძვირის გამო (100 ფრანკი) უნივერსიტეტს თავი გაანება და გადავიდა ციურისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჭაბუკი შვეიცარიაში ყოფნის დროსაც არ იგიწყებს სამშობლოსა და მშობლიურ ენას. ის აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („დროებაში“ და „კრებულში“). ციურისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს ივანემ ხელი მოჰკიდა მწერლობას; სხვა მოწინავე ქართველ სტუდენტებთან ერთად დააარსა ქართველ სტუდენტთა საზოგადოება – „უღელი“, რომლის პასუხისმგებელ მდივნად თვითონ მუშაობდა. ამ საზოგადოების მიზანი იყო თავის ირგვლივ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოკრება და მათზე ზრუნვა, რომ ეს ახალგაზრდობა თავის გზას ბეჯითად დადგომოდა. საზოგადოების წევრებს უნდა ჩაეტარებინათ ლექცია-საუბრები ქართველთა ცხოვრების თემებზე, შეესწავლათ საქართველოს ისტორია, ქართულ ენაზე შეედგინათ და გამოეცათ სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოები. სხვათაშორის, ივანეს მართლაც შეუდგენია არითმეტიკის პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, კარგა მოზრდილი რვეული სახლში ჩამოუტანია, მაგრამ იგი ვერ დაასრულა და ასე დაუმთავრებელი ოჯახში დარჩა.

საზოგადოებაში აქტიური საქმიანობით, ქართველი სტუდენტების დარაზმვით, მათი ერთსულოვნებით ივანე მესხმა დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც შვეიცარიაში, ისე ქართველ საზოგადოებრიობაში. ივანე მესხი იყო მთავარი შუამავალი „უღელის“ წევრთა და ქართულ პრესას შორის, ამიტომ ივანე შვეიცარიაში „საქართველოს ელჩის“ სახელით მონათლეს.

საზოგადოება „უღელის“ დაარსებას პროგრესულ მოფლენად მიიჩნევდნენ. ნ. ნიკოლაძე სტატიაში, „ახალი ახალგაზრდობა,“ ამ საზოგადოების შესახებ წერდა: „ციურიხში აშუამად ათიოდე ჩვენებური ახალგაზრდა სწავლობს... იმათ განუზრახავთ ისეთნაირად წაიყვანონ თავიანთი სწავლა და ისეთგვარად გამოიყენონ ერთურთის ძალა და ცოდნა, რომ ყველა მათგანს შრომა გაუადვილდეს და ნაყოფად ხეირიანი დამზადება და გონების გახსნა დარჩეს.



გიორგი ვერეთელი
საზ-ბა „უღელის“ წევრი
(1842–1900)

ამ მიზნის მისაღწევად ამ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ, უბრაზებოდ, უშფოთოთ, უაყალმაყალოდ, ისეთი ძმური ამხანაგობა ან საზოგადოების შედგენა, რომელშიაც თითოეულ წევრს მოვალეობა ექნება ერთი რომელიმე საგნის შესწავლის და დანარჩენ წევრებს თავისი ცოდნა ამ საგანზე გაუზიაროს.“⁴¹

რომელშიც უნდა აბეჯითებდეს ის მაღალი გრძნობა, რომელიც ამ ორიოდე სიტყვით გამოითქმება: თავისი მშობელი ქვეყნის ბედნიერება და წარმატება.“⁴²

ამ საზოგადოების არსებობას ასევე დადებითად აფასებდა სერგეი მესხი, რომელიც აღნიშნავდა: „... სურთ მხოლოდ შეერთებული სწავლა და შრომა,

„უღელი“ ერთხანს გაზეთ „დროების“ პოლიტიკური და ლიტერატურული გვერდების ძირითადი მკვებავი იყო. ამას თავად გაზეთის რედაქტორი სერგეი მესხი უწყობდა ხელს. მან საზღვარგარეთ მყოფი მთელი ქართველი ახალგაზრდობა გაზეთის თანამშრომლებად გადააქცია. გაზეთს სამშობლოში ილია და აკაკი, ხოლო საზღვარგარეთ ჰყავდა:

„პოლიტიკისათვის – პარიზში პ. იზმაილოვი ან სხვა ვინმე, ამერიკაში – ბეთანიშვილი, გერმანიაში დაღვაჯი ან პეტრე მელიქიშვილი, შვეიცარიაში ივანე მესხი, ბესარიონ ჯაფარიძე და სხვ.“⁴³

ციურისში ყოფნის დროს ივ. მესხმა დაწერა რამდენიმე პედაგოგიური ხასიათის წერილი, აგრეთვე თარგმნა ნ. გოგოლის „შინელი“, რომელიც 1871 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „კრებულში.“ მან საზღვარგარეთ წასვლამდე თარგმნა ნ. დობროლიუბოვისა და ნ. ნეკრასოვის რჩეული ნაწერები, რომლებსაც 1868-1869 წლებში გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებდა. ივანე მესხმა გაიზიარა რუსი დემოკრატების პროგრესული თვალსაზრისი და თანამემამულეებს შორის მათი იდეების გავრცელების მიზნით თარგმნა ნ. დობროლიუბოვის „ამ დროის სიმღერა“, „კრიტიკელი დედაკაცი მორეაში“, ნ. ნეკრასოვის „კარგი ხნის კაცი“ და სხვ.



ივანე მესხი –
სტუდენტი

ივანე მესხი ციურისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდშივე ეწაფებოდა, როგორც ქართველ, ისე რუს კლასიკოსთა ნაშრომებს, გაეცნო გამოჩენილი შვეიცარიელი პედაგოგის იოჰან-ჰენრიხ პესტალოცის პედაგოგიურ მოძღვრებას, კარგად შეისწავლა განათლებისა და სწავლა-აღზრდის საქმე, რომლის საფუძველზე დაწერა საკმაოდ მოზრდილი შრომა „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში.“

ეს ნაშრომი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. მისი მომზადება პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტ ივანე მესხს არ გას-

ჭირვებია, რადგანაც მას ისედაც უხდებოდა იმ დროისათვის მოწინავე პედაგოგების ლექციების მოსმენა და ამ დარგში არსებული აღიარებული ლიტერატურის დამუშავება.

როგორც ცნობილია, მაშინ უცხოეთში სტუდენტების სწავლა-აღზრდას ჩვენში ამრეზით და უნდობლად უცქეროდნენ. ამ მავნე მოსაზრების საპირისპიროდ ივანე მესხი საგანგებოდ განიხილავს ბავშვებისა და მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულებას. იგი აპროტესტებს ჩვენში შემორჩენილ „ლინეიკისა“ და როზგის წესებს და იწონებს ევროპულ მეთოდებს: „იმისთანა ქვეყანაში და იმისთანა სასწავლებლებში, სადაც მასწავლებლები მათი ბავშვების ამხანაგები, მეგობრები და ტკბილი მოსაუბრენი იქნებიან და არა რაღაც დმერთებრივ ბატონები და მბრძანებლები... სადაც ყოველი ორი სიტყვის შემდეგ სამშობლო და მისი სამსახური ისმის.“

ივანე მესხის ამ წერილიდან ცნობილი ხდება, რომ 1872 წელს ციურისში ბეისტის პანსიონში სწავლობდნენ: 12 წლის ნაცვლიშვილი და ნიკოლაძე და 11 წლის ქუთაისელი ნიკიტინი.

ციურისში ყოფნისას ივანე მესხი რაღაც დაავადებამ შეაწუხა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სტუდენტს მძიმე ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა. ამის შესახებ ციურიხიდან თბილისში სერგეი მესხს წერილობით ატყობინებს შვეიცარიაში მყოფი ქართველი, გვარად მორთულაძე.⁴⁴ როგორც ჩანს, ივანეს ავადმყოფობა ამ ოპერაციით დასრულდა, რადგანაც შემდგომში მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი სნეულების შესახებ არავითარი ცნობა არ შეგვხვედრია.

ივანე მესხი გაოცებულია შვეიცარიის ბუნებით, ახალი ტექნიკით, კეთილმოწყობილი სოფლებით და მშვიდი ხალხით, რომელთაც თავისი სიბრძნით მოიპოვეს და შეინარჩუნეს თავისუფლება. მას ძალზე მოსწონს ქვეყნის ბუნებაც, მაგრამ გაკვირვებული კი არ შესცქერის ლამაზ მთებსა და

ველებს, სიამაყით იგონებს თავის საყვარელ მამულს და ამბობს: „ამისთანა თუ არა, ამის მსგავსი მაინც ბევრი რამ მინახავს ჩემს პატარა ღამაზ სამშობლოშიო.“

ამ გამოთქმის გამოძახილი უნდა იყოს 1875 წელს „დროება“-ში გამოქვეყნებული მისი ფელეტონები, საერთო სათაურით, „სამშობლოს სიყვარული“, რომელთაც ეპიგრაფად წინ უძღვის ბი ლენე უბი ატრია – „კარგი არის იქ, სადაც სამშობლოა“.

პედაგოგიური საქმიანობა

ციურიხის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსის დასრულების შემდეგ ივანე მესხი დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მოღვაწეობა საზოგადოებრივ სარბიელზე. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში გაძლიერდა ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

მოწინავე ქართველ ინტელიგენტებთან ერთად ივანე მესხი თავგამოდებით მოითხოვდა სასკოლო მუშაობის გარდაქმნას და სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას. ამ მიზნით ივ. მესხმა ქუთაისში, აღ. ჭიჭინაძესთან ერთად, დააარსა შვეიცარიული ტიპის პირველი დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც მთავრობამ მალე დახურა, მაგრამ ორი თვის შემდეგ, 1875 წლის 25 აგვისტოს, ივანესავე თაოსნობით გაიხსნა პანსიონი – შევირდების სადგომი, რომელსაც უნდა შეესრულებინა შემდეგი ამოცანები:



ივანე მესხი –
პედაგოგი

„ა) იყოლიოს მოსწავლე ყმაწვილები სუფთად, წმინდად და საზრდოს მხრივ სამყოფად;

ბ) ამეორებინოს, ანუ მოამზადოს, ამისთანა ყმაწვილები საგნებისა და ენების გაკვეთილებში, რომელთაც მათ ასწავლიან სასწავლებელში.

გ) იხმაროს ყოველგვარი საშუალება მოსწავლე ყმაწვილების გონებისა და ზნეობის გაუმჯობესებისათვის;

დ) დაეხმაროს იმათს ფიზიკურ სიმრთელეს, რადგან მეცნიერების სიტყვით, გონებითი სიძლიერე მოსწავლე ყმაწვილებისა შეუძლებელია თუ კი ფიზიკურად სუსტი ან ავადმყოფი არის.“⁴⁵

სამწუხაროდ ივანე მესხს დიდხანს არ დასცალდა პანსიონის მართვა.

მას, როგორც არასაიმედო პიროვნებას, მთავრობამ აუკრძალა ეს საქმე.

ამის შესახებ ცნობას ვხვდებით სერგეი მესხის კერძო წერილში:

„ივანეს პანსიონი დაუკეტეს. თურმე მესამე განყოფილების სიაში ყოფილა ივანე ჩაწერილი, როგორც



ალექსი ჭიჭინაძე
(1851–1917)

არასაიმედო კაცი და აქაურ ჟანდარმებს მოუთხოვნიათ ნევროვისათვის (განათლების მხრუნველი. რ. ს.), რომ არამც და არამც იმას პანსიონის გახსნის უფლება არ მისცეთო. მართლაც, ამ ერთი თვის წინათ პოლიციამ მიწერილობა წარუდგინა და მოსთხოვა, რომ პანსიონი და შკოლა დაკეტეთო. ეხლა ერთმა იმის ამხანაგმა, აღექსი ჭიჭინაძემ ითხოვა ამ პანსიონის გახსნა და (როგორც „დროებიდამ“

შეიტყობ) კიდევ მისცეს ნებართვა, მაგრამ იმ პირობით, რომ ივანე მესხმა ამ შკოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს“ (12 იანვარი, 1876 წ.).

ეს ხელისუფლების მხრიდან დევნასაც ნიშნავდა, რის გამო ივანე მესხს ძალზე გაუძნელდა სამუშაოს შოვნა. ახლა იგი დიდ დროს ანდომებდა აკრძალული წიგნების კითხვას; კიდევ მეტი, ივანე აქტიურად მონაწილეობდა ნებაყოფლობით ჯგუფში, რომელიც იძენდა რევოლუციური შინაარსის წიგნებს, ხოლო ჯგუფის წევრები ამ წიგნებს თარგმნიდნენ და ფარულად ავრცელებდნენ ხალხში.

ქუთაისის ბანკი, თვითმმართველობა

იმ დროს ასეთი განათლებული, ენების მცოდნე კაცი ყველგან სჭირდებოდათ და ივანე მესხი განწესდა ქუთაისის ბანკში სეკრეტარად;

1882 წელს ივანე მესხის ინიციატივით ქუთაისის ბანკმა საკმაოდ დიდი თანხა გამოუყო საქალაქო სკოლას, რის გამო ვლ. მიქელაძემ საჯაროდ გაილაშქრა ი. მესხის წინააღმდეგ: „რათ უნდა შევეწიოთ იმისთანა სკოლას, რომელშიც თავადაზნაურები არ იზრდებიან?.. რატომ უნდა მივცეთ დახმარება იმისთანას, რომელიც გლეხის შთამომავლობისა არისო.“

ივანე მესხმა ბანკის კრებაზე საკადრისად უპასუხა თავის ოპონენტს, მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. აუცილებელი გახდა საგაზეთო წერილი, სადაც ავტორი ამხელს წინსვლის მოწინააღმდეგე რეტროგრადებს. როგორც ჩანს კონფლიქტი არც საგაზეთო პოლემიკით ამოიწურა და ღამის დუელამდე მივიდა. საბედნიეროდ დუელი არ შედგა, ივანე მესხმა კი თავისი გაიტანა და სკოლამ მიიღო ფულადი დახმარება.⁴⁶

ბანკიდან ივანე მესხი გადაიყვანეს ქუთაისის თვითმმართველობაში მდივნის თანამდებობაზე, საიდანაც აირჩიეს თვითმმართველობის წევრად. ქუთაისში მან დაჰყო 11 წელი. ამასთან ერთად იგი ენერგიულად ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა სკოლების, კულტურული კერების გახსნისა და მათი გამართული მუშაობის საქმეს. ივანე სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში – წერდა დიდაქტიკურ წერილებს, რომლებშიც განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობას.

ბათუმში

1888 წელს ივანე მესხი ბათუმში ახლად დაარსებულ ქალაქის თვითმმართველობის მდივნად გადმოიყვანეს.*

თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების (1878 წ.) შემდეგ ბათუმი ისე არაჩვეულებრივად გაიზარდა, რომ იგი მალე ევროპული ტიპის ქალაქი გახდა. 1888 წლამდე ქალაქს პოლიცია განაგებდა. მაგრამ პორტო-ფრანკოს გაუქმების (1886 წ.) შემდეგ აღებ-მიცემობამ და მიმოსვლამ ბათუმში ისე ფართო ხასიათი მიიღო, მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ თვით მთავრობის ორგანოებმა აღძრეს საკითხი ბათუმში თვითმმართველობის შემოღების შესახებ. ქუთაისის გუბერნატორის, გენერალ გერშელმანის წარდგენით 1888 წელს შემოღებულ იქნა ქალაქის თვითმმართველობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქალაქის მთელ მეურნეობას.

* ბოლო დრომდე უცნობი იყო ი. მესხის ბათუმური მისამართი, სახლი, სადაც მან 35 წელი იცხოვრა. თვით ი. მესხის კერძო წერილებით და იმდროინდელი ბათუმის გზამკვლევებით დავადგინეთ, რომ იგი ცხოვრობდა შერეპეტიევის ქუჩის №19-ში ხუნწარიას კუთვნილ სახლში (ამჟამინდელი ლუკა ასათიანის ქ. №19). აქ ახლაც კერძო სახლი დგას. რ. ს.



ბათუმის პორტი და სანაპირო. 1883 წ.

საყურადღებოა, რომ ივანე მესხი ქალაქ ბათუმის სათათბიროს განსაკუთრებული დადგენილებით 1894 წლიდან ასრულებდა ქალაქის თვითმმართველობის მდივნის მოვალეობასაც. მისი ამ თანამდებობაზე შეთავსებით დანიშვნა გაფორმდა ლუკა ასათიანის ბათუმში ჩამოსვლამდე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ივანე მესხის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას რუსი ჩინოვნიკებიც აღიარებდნენ.

ივანე მესხის ჩამოსვლით ნამდვილად გაუმართლა ბათუმის ქართულ სკოლას, ჯერ ერთი, აქ მასწავლებლებად შესანიშნავმა პედაგოგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მოიყარეს თავი:



გრიგოლ ვოლსკი
(1859–1909)

ისიდორე რამიშვილი, ივანე გოგოლაშვილი, ანასტასია ლომინაძე, მემედ-ბეგ აბაშიძე. უფრო მეტიც, ამ სკოლის მზრუნველთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო გრ. ვოლსკი, ხოლო წევრებად: დავით კლდიაშვილი, ნიკოლოზ საბაშვილი, ივანე მესხი და ექვთიმე ბერძენიშვილი.

საყურადღებოა, რომ ძირითად თანამდებობებზე (იყო სა-თათბიროს და თვითმმართველობის მდივანი) გადატვირთვის გამო ივანე მესხი ყველა სხვა დავალებებზე უარს აცხადებდა. ერთად-ერთი ბათუმის ქართული სკოლის მზრუნველობას იგი სიამოვნებით დათანხმდა და მართლაც დიდი ამაგი დასდო ამ სკოლის გამართულ საქმიანობას.

პირველი არჩევნების შემდეგ ხმოსნებად უმთავრესად გავიდნენ რუსები, სომხები და ბერძნები. არჩეულ ხმოსანთა შორის ქართველობა ძალზე ცოტა იყო. ქალაქის გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ მხოლოდ არაქართველები, რაც ქალაქის ინტერესებისა და მისი მომავლისათვის არ იყო სასურველი.



გრიგოლ ვოლსკის სახლი ბათუმში,
ქართველ მოღვაწეთა შეკრების ადგილი. დაინგრა 2003 წ.

საყოველთაოდ ცნობილი იყო მთავრობის რუსიფიკა-ტორული პოლიტიკა, რომელიც ყოველივე ეროვნულს და პოლიტიკურს ძირშივე ახშობდა. არაქართველებისაგან შემდგარი ქალაქის გამგეობა გასაგები მიზეზების გამო არ ზრუნავდა ქართული კულტურის განვითარებისათვის, ის ხელს უშლიდა ქართული სკოლების გახსნას, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ქართული წერა-კითხვის გავრცელებას და ა. შ. ამიტომ გამგეობაში საჭირო იყო ისეთი ქართველი, რომელიც ჭეშმარიტი მამულიშვილის სიმაღლეზე აღმონდებოდა.

ქალაქის მდივანი

ასეთი ქართველი მოამაგე აღმოჩნდა ივანე მესხი, მესხთა პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც მანამდე, როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისში მუშაობდა და როგორც ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წევრს, სათანადო გამოცდილება ჰქონდა. ბათუმის



ბათუმის სათათბიროს შენობა.
(მშენებლობა დასრულდა 1902 წ.)



ივანე მესხი

თვითმმართველობის შექმნის თანავე ივანე მესხი დანიშნეს ქ. ბათუმის გამგეობის მდივნად (городской секретарь). მწერალ დავით კლდიაშვილის დახასიათებით იგი იყო „მოხერხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მომქმედი – იგი სული და გული შეიქნა ახლად შემოდებულ თვითმმართველობისა.“⁴⁷ სწორედ აქედან იწყება ივანე მესხის მოღვაწეობის ბათუმის პერიოდი, რომელმაც სახელი და დიდება მოუტანა მას.

* * *

მკითხველისათვის საინტერესოა, რა მოვალეობების შესრულება ეკისრებოდა ქალაქის მდივანს. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დებულება, რომელიც, ჩვენი აზრით, თვით ივანე მესხის ხელით უნდა იყოს შედგენილი.

ქალაქის მდივნის მოვალეობას შეადგენს:

1. საქალაქო და სახელმწიფო დუმის არჩევნების მომზადება, აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრივი სათათბიროს თანამდებობრივი პირების სამსახურებრივი სიების შედგენა;
2. ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის სახელით პროექტების, შუამდგომლობების და თხოვნების შედგენა;
3. ქალაქისათვის თანამდებობრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე პირადი მიწერ-მოწერის მომზადება;
4. ქალაქის მდივანს, აგრეთვე თვითმმართველობის

მდივანს კანცელარიის საერთო ხელმძღვანელობის და საქმისწარმოებაზე მეთვალყურეობის გარდა, ეკისრება:

1. შესაბამისი მაგიდებისა და განყოფილებების მიხედვით სათათბიროს ან თვითმმართველობის სახელზე შემოსული სხვადასხვა დოკუმენტის განაწილება თვითმმართველობის მორიგე წევრის მიერ მიღებისა და ქალაქისთავის მიერ განხილვის შემდეგ;

2. ქალაქისთავის ან თვითმმართველობის წევრების რეზოლუციებზე, აგრეთვე თვითმმართველობისა და სათათბიროს დადგენილებების ზუსტად შესრულებაზე მეთვალყურეობის დაწესება;

შენიშვნა: სათათბიროს მიერ მოსმენილ საკითხებზე, მათი კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, ქალაქის მდივანი დოკუმენტებს გადასცემს შესაბამის საქმისმწარმოებლებს შესასრულებლად.

3. თვითმმართველობის მოღვაწეობის თვიური და წლიური ანგარიშების შედგენა, ქალაქის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, რომლებსაც წარუდგენენ მდივანს შესაბამისი დარგის გამგეები. თვითმმართველობის მდივანს ევალება მეთვალყურეობა ანგარიშის მასალების დროულად მიღებაზე;

4. ქალაქის არჩევნების (ხმოსნები) ჩატარება და ბუღალტერთან ერთად საარჩევნო სიების შედგენა;

5. ქალაქისთავის ან თვითმმართველობის მიერ დანიშნული რევიზიების ჩატარება;

6. ქალაქის თვითმმართველობის ბიბლიოთეკის მართვა;

7. ქალაქის მმართველობის ქვემდებარე დაწესებულებებზე ქალაქისთავის მიერ მიცემული ადმინისტრაციული განკარგულებების შესრულებაზე მეთვალყურეობა.⁴⁸ (რუსულიდან თარგმანი ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის).

როგორც ვხედავთ, ქალაქის მდივანს ქალაქისთავზე არანაკლებ რთული მოვალეობები ეკისრებოდა.

* * *

მალე ბათუმში ჩავიდა რკინიგზის მოსამსახურე, ექიმი გრიგოლ ვოლსკი, მწერლობაში უმწიფარიძის ფსევდონიმით ცნობილი. ისე, როგორც ივ. მესხი, გრ. ვოლსკიც ენერგიული ადამიანი აღმოჩნდა. მას მხურვალედ უყვარდა ქართველობა (მისი დედა ბოდოკიას ქალი იყო)* და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ქართველი მშრომელების აუტანელი მდგომარეობის შემსუბუქებაში. ამ მიზნით გრ. ვოლსკიმ და ივ. მესხმა დიდი ვაი-ვაგლახით შესძლეს თითქმის მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო **საკრედიტო საზოგადოების** გახსნა ბათუმში.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება მას მტრობდა, საკრედიტო საზოგადოებამ პირველ წარმატებებს მიაღწია – მან საზოგადოების თვალში ნდობა დაიმსახურა და შეძლებისდაგვარად კრედიტსაც აწვდიდა მოსახლეობას.

ივანე მესხი ბათუმში 35 წელს დარჩა და ეს წლები უნაყოფოდ არ გაუტარებია. საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში დატოვა მან თავისი კვალი. მაგრამ მთავარი იყო ბათუმის ახლად დაარსებული **თვითმმართველობის შექმნა-ჩამოყალიბება**, საქალაქო დებულების შედგენაშიც ივანე აქტიურად მონაწილეობდა. ეს საქმე მას კარგად ეხერხებოდა, რადგან მას ქუთაისის თვითმმართველობაში მუშაობის 11 წლის გამოცდილება ჰქონდა.

ქალაქ ბათუმში მოღვაწეობის განმავლობაში ივანე მესხი განსაკუთრებულ ენერგიით ჩაება საზოგადოებრივი

*გრ. ვოლსკის დედად კეჟერაძეს მიიჩნევდნენ. მოსკოვის ცენტრალური არქივიდან მიღებულ პირად საქმეში გარკვევით წერია, რომ *Мать Гр. Вольского дочь дворянина Бодокиева.* (იხ. ჩვენი ახალი ცნობები გრ. ვოლსკის ბიოგრაფიიდან. ჟ. „ჭოროხი.“ 1972. №4, გვ. 77-80).



ახლანდელი ევროპის მოედანი ფოსტის შენობის (მარცხნივ) მხრიდან. კარგად მოჩანს რკინიგზა (შემოღობილი) და შენობა (ერთსართულიანი), სადაც აფთიაქი იყო (მარცხნივ). პირდაპირ კინო „თბილისის“ ადგილას მდებარე შენობაში მოგვიანებით (ოციან წლებში) დისპანსერები გახსნეს. აქვე ცხოვრობდა ექიმი **კა. მხეიძე**. პირდაპირ ჩანს სამხედრო სობოროს სამრეკლო (ეკლესია დაზარალებული). სურათი 1926-1927 წლებში უნდა იყოს გადაღებული.



ბათუმის საქალაქო სასნეულოს ადმინისტრაციის კორპუსი. 1902 წ.



მარჯვ. სხედან ივანე მესხი და მეუღლე ეკატერინე გაბუნია;
დგანან: ივანეს ვაჟი ილია, სიმონი, მისი მეუღლე ეკატერინე
დაშკევიჩი და ივანეს ქალიშვილი ქეთევანი.

ცხოვრების ფერხულში და ყველა ახალი, მასებისათვის სა-
კეთილდღეო საქმის წამოწყების მონაწილე და მოთავე გახდა.

პროფესიით პედაგოგმა ივანე მესხმა ბათუმშიც მისთვის
ჩვეული ენერგიითა და მონდომებით მოკიდა ხელი **სახალხო
განათლების** საქმეს. მართლაც ამ დარგში მისი მოღვაწეო-
ბა უფრო პრაქტიკული ხასიათისაა, რაც სასკოლო ქსელის
ზრდის, მატერიალური ბაზის შექმნისა და კეთილ-მოწყობის
საქმეში გამოიხატება. ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს
ბათუმში მომუშავე ინტელიგენციის ერთ ნაწილს, კერძოდ
ივ. მესხს, გ. ვოლსკის, დ. კლდიაშვილს, ლ. ასათიანს და
სხვებს კარგად ესმოდათ ი. ჭავჭავაძის 1879 წლის მოწო-
დება სასკოლო ქსელის ზრდის შესახებ.

ბათუმის ინტელიგენცია ჯერ კიდევ 1893 წ. ითხოვდა
გიმნაზიის გახსნას. ივანე მესხი ამ კეთილი წამოწყების

პირველი ინიციატორი იყო. მის მიერ შედგენილ დოკუმენტებში, კერძოდ, სკოლების ქსელის გაფართოების თაობაზე, ნათლად ჩანს ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნა და ის უდიდესი ენთუზიაზმი, რამაც დღის წესრიგში დააყენა ბათუმში ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის გახსნა. მაგრამ ივანე მესხის ცდასა და მონდომებას სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონდა. გავიდა ორი წელი და ქალაქ ბათუმს მოევლინა დიდი პრაქტიკოსი და ზედმიწევნით ენერგიული ქალაქისთავი ლუკა ასათიანი, რომელმაც ივანე მესხისა და სხვა მოწინავე ბათუმელი ინტელიგენტების განზრახვას, **კლასიკური გიმნაზიის გახსნის შესახებ, 1897 წელს** პრაქტიკულად ხორცი შეესხა.

ივანე მესხი ახლა აქტიურად იბრძვის ქალთა გიმნაზიის გახსნის თაობაზე. ოლქის მზრუნველი უარყოფდა გიმნაზიის გახსნას ბათუმში იმ მოტივით, რომ „გიმნაზია აივსება



ნიკოლოზ სვესტის ძე დერჟავინი
(1877–1953)



ალექსანდრე ბერიძე-ბორისოვი
(1858–1917)

ბათუმის გიმნაზიის მასწავლებლები



ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. 1903 წ.

მზარეულების, პარიკმახერების, იზვოზნიკების, თერძების და ამათ მსგავსი ხალხის შვილებით“. ივანე მესხი არად აგებდა ოლქის „მზრუნველის“ ასეთ პასუხს და ქალთა გიმნაზიის საქმეზე გამუდმებით ზრუნავდა. ენერგიულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, **1900 წლის 26 სექტემბერს ივანე მესხის უშუალო მონაწილეობით გაიხსნა ქალთა გიმნაზია**. მას კარგად ესმოდა, რომ სკოლების გახსნით საქმე არ თავდებოდა, საჭირო იყო სკოლებისადმი ყოველდღიური მზრუნველობა. მისი წარდგენით თვითმმართველობა ადგილობრივი შემოსავლებიდან დახმარებას აძლევდა, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გიმნაზიებს. ადგილობრივი შემოსავლის პოვნა შესაძლებელი გახდა ივანე მესხის უშუალო მეცადინეობის შედეგად – შემოდებულ იქნა გადასახადი ბათუმის ნავსადგურიდან გასატან ყოველ ფუთ საქონელზე. პროექტის მიხედვით ეს შემოსავალი უნდა გადაცემოდა ოლქის თვითმმართველობას – კეთილმოწყობისათვის.



ბათუმის ქალთა გიმნაზია. 1904 წ.

სახელმწიფო საბჭოში მიღებული იყო კანონ-პროექტი ასეთი გადასახადის თვითმმართველობაზე გადაცემის შესახებ იმ რედაქციით, რომელიც შეიმუშავა ივანე მესხმა. გადასახადებისაგან შემოსული თანხები უნდა დახარჯულიყო მხოლოდ ნავსადგომში მისასვლელი გზების მოწყობისათვის, **მაგრამ ივანე მესხის ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობა ამ თანხებს იყენებდა სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის.**

დიდი სიძნელების გადალახვა მოუხდა ივანე მესხს 1895 წელს, როცა ქალაქისთავის თანამდებობაზე წამოყენებული იქნა ლ. ასათიანის კანდიდატურა. რეაქციონერები დასახელებული კანდიდატურის წინააღმდეგი



კირილე იანოვსკი
(1823–1902)



ლუკა ასათიანი
(1826–1901)

იყვნენ. მოწინავე ინტელიგენცია კი მოითხოვდა აღნიშნულ თანამდებობაზე ხალხის გულშემატკივარი ადამიანის შერჩევას, რომელსაც გული შესტკიოდა აქაურობისათვის, ხალხისათვის. ივანე მესხი და მიხ. ბეთანელი მოწინავე ხმოსნებთან ერთად პირადად მოელაპარაკნენ **ლუკა ასათიანს – ეს უკანასკნელი დაითანხმეს და 1895 წლის 25 იანვარს არჩეულ იქნა ქალაქისთავად.**

რეაქციონერებმა ლ. ასათიანის კანდიდატურას მეორე არჩევნების დროსაც გაუწიეს წინააღმდეგობა, მაგრამ მათი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ივ. მესხის, გრ. ვოლსკის, დ. კლდიაშვილის და სხვათა მხარდაჭერით 1899 წელს ლ. ასათიანი მეორედ იქნა არჩეული აღნიშნულ თანამდებობაზე.

1901 წლიდან განსაკუთრებულად გაძლიერდა რეაქციონერებისა და შავრაზმელების შემოტევა თვითმმართველობაში მომუშავე ქართველ ინტელიგენციაზე, როცა ი.ჭავჭავაძის რეკომენდაციით ქალაქისთავად უნდა აერჩიათ ივანე ანდრონიკაშვილი. ამ დროს ქალაქისთავის მოვალეობას ასრულებდა მკვიდრი მცხოვრებლების მოძულე გარუსებული ლეკი ი. ა. ივანოვი, რომელმაც ორჯერ შეგნებულად ჩაშალა არჩევნები.

თვითმმართველობაში მომუშავე ქართველი მოღვაწეები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ რეაქციონერებს და მათ შორის ქალაქისთავის მოვალეობის აღმსრულებელს ი.ა.ივანოვს. ამის შესახებ მოვუსმინოთ დ. კლდიაშვილს:

„... სერიოზული საკითხი კი იყო მახსოვს, – როგორც მოვიდა ჯერი ამ საკითხს შესდგომოდა საბჭო, ივანოვმა,

თავმჯდომარედ ყოფილმა, აიხსნა ჯაჭვი და სხდომა დასურულად გამოაცხადა. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ასეთი საქციელი პირდაპირ გასალახანებას წარმოადგენდა დაწესებულებებისას. მეტისმეტად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. ზოგიერთი ხმოსნები წამოდგნენ და საბჭოს დარბაზიდან გასვლას აპირებდნენ, ზოგი კი სახტად დარჩენილნი, ისხდნენ ისევ თავიანთ ადგილებზე, გაოცებულნი, გაკვირვებულნი. ამ დროს საბჭოს მდივანმა, ივანე მესხმა, ჩაუარა ვოლსკის და ჩაულაპარაკა:

– ჩამოიკიდე ჯაჭვი... განაგრძე სხდომა.

– ბატონებო! – გაისმა ვოლსკის ხმა, – ბატონებო, გთხოვთ არ დაიშალოთ, სხდომა გრძელდება!.. რამოდენიმე ხმოსნის გარდა, ყველამ დაიკავა თავისი ადგილი და სხდომა განაგრძეს.

ასეთი მოქცევა ვოლსკის მიერ შეიქმნა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ყოველდღიურ სალაპარაკოდ, როგორც ნიმუში და მაჩვენებელი თუ რა კანონის მოწინააღმდეგენი არიან ვოლსკი და მისი მიმყოფი ხმოსნები“.49 – დაასკვნის დ. კლდიაშვილი.

როგორც ვთქვით, ლუკა ასათიანის გარდაცვალების შემდეგ ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურა 1902 წელს შერჩული იყო ილია ჭავჭავაძის მიერ, მაგრამ არჩევნებამდე სამი დღით ადრე გაირკვა, რომ ი. ანდრონიკაშვილს არ ყოფნიდა ქონებრივი ცენზი. საჭირო იყო ისეთი კაცის გამოძებნა, რომელიც ქალაქის თავის კანდიდატს გადაუფორმებდა ქონებას. ასეთი საქმეების დიდოსტატმა ივანე მესხმა არჩევ-



ივანე ჯაიანი
(1862–1936)

ანი შეაჩერა ივანე ჯაიანზე, რომელსაც კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ მას ფოთში ცოლის გარდაცვალების და მეორე ცოლის შერთვის შემდეგ ჰყავდა დედით ობოლი ბავშვები – ბაბუცა და თამარი. მათ მემკვიდრეობით დარჩათ ქონება და სხვა ფასეულობანი.

აბაშაში მყოფი ი. ჯაიანი ბათუმიდან გაგზავნილმა ჩიქოვანმა მონახა, ფოთში წაიყვანა და მომრიგებელ მოსამართლე დავით ყიფიანის მეშვეობით ი. ჯაიანის შეილებს სამეურვეო ქონება ივანე ანდრონიკაშვილს დაუმტკიცა. საბუთები სასწრაფოდ აფრინეს ბათუმში, ივანე მესხთან.



ივანე ანდრონიკაშვილი
(1862–1948)

საარჩევნო სხდომა დაიწყო, მაგრამ ჩიქოვანი ჯერ კიდევ არ ჩანდა. რაქციონერი ხმოსნები გახარებული იყვნენ, თავისი კანდიდატურის არჩევას წინასწარ ზეიმობდნენ. ქართველმა ხმოსნებმა მოითხოვეს სხდომის დროებით შეწყვეტა იმ მოტივით, რომ საჭირო იყო წინასწარი მოლაპარაკება. „ეს იყო ხერხი, რომ გაგზავნილებს კრებისათვის ჩამოესწროთ,“ – წერს დ. კლდიაშვილი. ამასობაში საბუთებიც მოვიდა, სხდომა გაგრძელდა და

ბათუმის ქალაქისთავად აირჩიეს

ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი.⁵⁰


ივანე მესხი ფასდაუდებელ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა **ქალაქის კეთილმოწყობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული აღორძინებისათვის**. ბათუმში მისი მოღვაწეობის პერიოდში ქალაქის ზრდისა და კეთილმოწყობის მიზნით ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები – **ქუჩის მოასფალტება, ჭაობის ამოშრობა, ახალი წყალსადენის გაკეთე-**

ბა, ქალაქის ბადისა და ზღვისპირა ბულვარის გაშენება, ნაგებობათა მშენებლობანი, ახალი სააგადმყოფოს გამართვა, ახალი სკოლებისა და გიმნაზიების დაარსება. ყველა ამ სამუშაოების მზრუნველი და მოთავე ივანე მესხი იყო, რომელსაც მხარს უჭერდნენ ქალაქისთაგები ღუკა ასათიანი და ივანე ანდრონიკაშვილი.

ივანე მესხის პუბლიცისტური მემკვიდრეობა

ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში ივანე მესხს კალამი ხელიდან არ გაუშვია. მისი ავტორობით გამოდიოდა არა მარტო ოფიციალური დოკუმენტები, არამედ მნიშვნელოვანი ნაშრომები. ამ მხრივ განსაკუთრებულია „Развития Батумского городского хозяйства“, რომელიც 1906 წელს გამოქვეყნდა კრებულში „Батум и его окрестности“ და „Памятная книжка гласных Батумской городской думы“, რომელიც ქალაქის განვითარების თავისებურ წელიწადეულს წარმოადგენდა.

ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსნების სამახსოვრო წიგნაკი 1912 წლიდან ყოველწლიურად გამოდიოდა და მისი ავტორი შეუცვლელად ივანე მესხი იყო. 1913 წელს „სამახსოვრო წიგნაკი“ დაიბეჭდა სათაურით „საიუბილეო“, ბათუმის საქალაქო



კრებული „Батум и его окрестности.“ 1906 წ.

მმართველობის არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით. ამიტომ ყოველწლიურ სუფთა საცნობარო მასალას: კანონებსა და განკარგულებებს, სათათბიროს სხდომების განრიგს, კალენდარულ მონაცემებს და სხვ. დაემატა ისტორიული ჩანაწერი „ბათუმის ნარკვევი 25 წლის მანძილზე“ რომელიც ქალაქის სათათბიროს მდივნის ივანე მესხის კალამს ეკუთვნოდა.

Батум и его окрестности-ს გამოცემა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული: ავტორების მიერ სტატიების დროულად წარმოდგენ-ლობა, უსახსრობა, ნებართვის დაგვიანებით მიღება, ყველაფერი ეს აფერხებდა საიუბილეო კრებულის დაბეჭდვას, მაგრამ ბათუმის გიმნაზიის მასწავლებლის, შემდგომში გამოჩენილი აკადემიკოსის ნიკოლოზ დერჟავინის და ივანე მესხის დაუღალავი რუდუნებით დაძლეულ იქნა ყოველგვარი დაბრკოლება და საიუბილეო კრებული 1906 წელს გამოვიდა. აღნიშნულ კრებულს თავისებური მნიშვნელობა აქვს ბათუმის ისტორიის შესწავლისათვის, ხოლო ამავე კრებულში მოთავსებული **ივანე მესხის ნაშრომი „ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარების ნარკვევი,**“ რომელიც მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ქალაქის ზრდა-განვითარებაზე 25 წლის მანძილზე (1878-1903). ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი ანალიზს უკეთებს იმ ისტორიულ ვითარებას, რომელმაც გამოიწვია ბათუმის რუსეთთან შეერთება და არკვევს, როგორ ვითარებაში მოხდა ეს შეერთება. ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნულია ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება. როგორც ავტორი ამბობს, ათასგვარი ხმა დადიოდა, თითქოს აჭარლებს, ქობულეთლებს, ლაზებს არ სურთ სისხლის დაუღვრელად ჩააბარონ ბათუმის ოლქი, რომ ისინი ლამობენ რუსებს შეხვდნენ თოფით ხელში და უბრძოლველად არ დაუთმონ ქალაქი ბათუმი, მაგრამ „Слух этот оказался совершенно ложным, ибо вступление русского войска

в Батум совершилось 25 августа 1878 г., как известно без всяких инцидентов,⁵¹ – ამბობს ივანე მესხი.

ბათუმის რუსეთთან შეერთების პროგრესული არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან, ხოლო განთავისუფლებული ხალხი ცხოვრების განვითარების ახალ გზას დაადგა. შეერთების პირველი წუთებიდანვე ბათუმში ჩქარი ტემპით განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, გაიხსნა სამიმოსვლო რკინიგზა ბათუმ-ბაქოს შორის, რამაც ხელი შეუწყო ქალაქის ყოველმხრივ განვითარებას.

ნაშრომი 12 თავისაგან შედგება და მოიცავს 190 გვერდს. პირველ ორ თავში აღწერილია 1878 წლის შემდგომდროინდელი პერიოდის ქალაქის უძრავ-მობრავი ქონების სახეები და ბათუმში თვითმმართველობის შექმნა. აქვეა აღნუსხული (მეორე თავი) ქალაქის თვითმმართველობის მიერ 1894-1902 წ. წ. ჩატარებული ღონისძიებანი.

მესამე თავი ქალაქის მშენებლობასა და გაფართოება-კეთილმოწყობის საკითხისადმი არის მიძღვნილი.


მეოთხე და მეხუთე თავებში ღაპარაკია ბათუმის სამკურნალო დაწესებულებებზე და ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე და ვეტერინარულ სამსახურზე, სადაც ხაზგასმულია გადაძვებ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

მეექვსე თავში მოთხრობილია სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ ბათუმში დაწყებული 1878 წლიდან – ოცდახუთი წლის მანძილზე.

ნაშრომი „ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარების ნარკვევი“ ღირსშესანიშნავი და სანდო ისტორიული წყაროა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ივ. მესხის სახელთანაა დაკავშირებული „ხმოსნის სამახსოვრო წიგნაკის“ ყოველწლიური გამოცემა. საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით (1913 წლის 1 ოქტომბერი) ივ. მესხმა „სამახსოვრო წიგნაკი“ ორ სერიად გამოსცა.

ივანე მესხი ასევე აქტიურად მონაწილეობდა „პუტევილიტელ პო ჩერნომორსკომუ პობერეჟიუ“-ს სერიებისა და სამხარეთმცოდნეო ხასიათის ლიტერატურის გამოცემაში.



„სამახსოვრო წიგნაკი“

გარდა რიგი დასტამბული ნაშრომებისა, ივანე მესხის კალამს ეკუთვნის ღირსშესანიშნავი მოგონებები ბათუმისა და საერთოდ, აჭარის შესახებ, რომლებიც დაცულია თბილისის ლიტერატურულ და აჭარის სახელმწიფო მუზეუმებში.

ყურადღებას იპყრობს მოგონება „ბათუმის თავგადასავალი,“ რომელიც დაწერილია 1925 წელს. ავტორი დაწვრილებით აღწერს 1918 წელს ოსმალთა ჯარების მიერ ბათუმის ოკუპაციას. მოგონების

შესავალ ნაწილში ივ. მესხი წერს: „მე გახლავართ სამოცდათექვსმეტი წლისა, – რასაკვირველია, ეს არავისთვის საინტერესო არ არის, – და აქედამ ოცდახუთმეტი წელიწადი, ე. ი. საუკეთესო ხანი ჩემი სიცოცხლისა, ბათუმში გავატარე. იქ ვცხოვრობდი, იქ ვმსახურობდი ქალაქის თვითმმართველობაში. უეჭველია, მაშასადამე ბათუმის ყოველი თავგადასავლის ახლობელი მოწმე უნდა ვყოფილიყავ. დიახაც, ამ დროის განმავლობაში მე ვყოფილვარ მოწმე ბათუმის აღორძინებისა და დაქვეითებისა, კიდევ აღორძინებისა და კიდევ დაქვეითებისა. დღეს მე მინდა ჩემი მოგონებანი ბათუმზე ბოლოდამ დავიწყო და მკითხველის ყურადღება

შევაჩერო ერთ ამგვარს, ჩვენთან მახლობელი დროის ცვა-
ლებადობაზე ბათუმის ცხოვრებაში, სახელდობრ ოსმალთა
მიერ აჭარის ოკუპაციებზე 1918 წ.⁵²

მოგონება არსად დაბეჭდილა, ამიტომ მიზანშეწონილად
მიგვაჩნია წინამდებარე წიგნს დავურთოთ დამატების სახ-
ით, რაც დარწმუნებული ვართ, მკითხველის დიდ ინტერ-
ესს გამოიწვევს, ხოლო მეცნიერ-მკვლევარებს შესაძლოა
პირველწყაროდაც გამოადგეთ.*

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა

ბათუმში ივანე მესხის მოღვაწეობის პერიოდი ძირითა-
დად მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობითაა
ცნობილი. ის ბათუმში ჩამოსვლისთანავე სათავეში ჩაუდგა
მოსახლეობის ცნობიერების გამოღვიძებას. გააჩაღა საღ-
ამოების მართვა, შექმნა სცენის მოყვარეთა კოლექტივი,
საფუძველი ჩაუყარა დრამატულ საზოგადოებას, რომლის
გამგეობის თავმჯდომარედ მრავალი წლის მანძილზე თვი-
თონ ითვლებოდა. იყო ამავე დროს ქალაქ ბათუმის პირვე-
ლი თეატრალური საზოგადოების პირველი თავმჯდომარე.

ივანე მესხი დიდი ენერგიითა და მონდომებით ეკიდუ-
ბოდა სალიტერატურო საღამოებისა და სანახაობათა მოწე-
ობას. ასეთი საღამოების გამართვის პირველი ცდა იყო
1894 წლის 14 იანვარს. მან დამსწრე საზოგადოებაზე კარგი
შთაბეჭდილება მოახდინა, ამიტომ შემდგომში ყოველ 14
იანვარს წესად იქნა შემოღებული ასეთი საღამოების მოწე-
ობა, რომელსაც „ნინობა“ უწოდეს. ჩატარებული საღამოე-
ბიდან შემოსული თანხები ძირითადად იხარჯებოდა წერა-

* ივანე მესხის პუბლიცისტიკაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ თავი,
„ივანე მესხის ნაშრომები – მნიშვნელოვანი ისტორიული წყა-
როები.“

კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოთხოვნებზე და ხმარდებოდა ქართული სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კეთილმოწყობას.

საღამოების უკეთესად ჩატარების მიზნით ივანე მესხი თბილისიდან იწვევდა სახელოვან მწერლებს, აქტიორებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს. მას უახლოესი კავშირი ჰქონდა დამყარებული თბილისის მაშინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან, სისტემატური მიმოწერა ჰქონდა მათს თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, საკუთარ ძმასთან კოტე მესხთან, რომლისაგანაც დებულობდა საქმიან რჩევა-დარიგებასა და დახმარებას. 1895 წლის 9 მაისით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „კოტე, 14/1 ქართული საღამოს გამართვაში აქ ბათუმში ყველა ჩვენი მოღვაწეები ვალდებული ხართ, რითაც კი შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინოთ, რომ საღამოს ნამდვილი ქართული ფერი და ხასიათი ჰქონდეს. ვალდებული ხართ, რასაკვირველია, მაგრამ ამ ვალდებულებას თან ორივე მხრით – თქვენი და ჩვენი მხრით ხარჯი მოსდევს, რომელიც ალბათ ორივეს გვაშინებს; შარშანწინაც მომღურებული გამოგვისტუმრეთ და წრეულ ხომ დაშინებული ვართ კიდევ ასე არ მოგვივიდეს. მანდდან მესხივეს მოუწერია, რომ სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ გვეძნელება მაგის მოწვევა, რადგან, როგორც გვესმის, ისევე ისე ავადმყოფი და უხმო არის.

კ. ყიფიანის, როგორც მეძვირესი, ძალიან გვეშინიან შეწუხება, აბაშიძის კვალი დაგვეკარგა და რაც მაგას მოუვიდა ეხლა ხანად, არ მგონია ჩამოვიდეს.

...შენ მოიცლი თუ არა რომ გვეწვიო? ამასთან ვწერ გაბუნიას ქალს, რომელიც მგონია მანდ არის და აკაკის, რომელიც იმედია უარს არ იტყვის, თუკი კარგა იქნება. შენი ჭირიმე, კოტე, 7/1 შემატყობინე უთუოდ რა მონაწილეობა შეგიძლიათ.

ივ. მესხი. 9 მაისი, 1895 წ. ბათუმი.“

სადამო ბრწყინვალედ ჩატარებულა და ახალი ენთუზიაზმი გამოუწვევია მაყურებელთა შორის, შემდეგისათვის განუზრახავთ უფრო ფართო მასშტაბით სადამოს ჩატარება. ივანეს დახმარების მიზნით კვლავ კოტცხათვის მიუმართავს:

„კოტე, 25 ამ თვეს აქაურს კლუბში გვინდა ჩვენი ქართული სკოლის სასარგებლოდ „სადამო“ გავმართოთ. აბა ლოტბარი აქ ვინ მოგვცა, რომ პროგრამის ეს ნომერი ხეირიანად შევასრულოთ, ხმები კარგები გვყავს – ქალები და კაცები, ცოტა სიმღერაშიც ნავარჯიშები არიან, მხოლოდ გვჭირია ლოტბარი. გთხოვთ, კოტე, ამ წიგნის მიღებისთანავე, ინახულო რატილი და მოელაპარაკოთ, ხომ არ იკისრებს ამ ხოროს გაუძღვეს შემდეგი პირობით:

1) თუ თანახმა გახდება, ეხლა ჩამოვიდეს ერთი კვირის წინ მაინც, ე. ი. 16 ან 17 ამ თვეს.



იოსებ რატილი
(1840–1912)

2) შრომის ხელფასს მიეცემთ ხუთ თუმანს – იმ პირობით, რომ აქ იმ ერთი კვირის განმავლობაში კაპეიკი გროშიც არ დაეხარჯება. ასე, რომ ეს ხუთი თუმანი მარტო შრომის ფასად მოუვა.

3) თუ თანახმა გახდება დაუყოვნებლივ შეგვატყობინე, რომ ქუთაისიდან გიმნაზიის ლოტბარი წერეთელი გამოვიწვიროთ.

შენი ივანე მესხი.⁵³

ივანეს მიერ იოსებ რატილის მოწვევა შემთხვევითი არ იყო. მან ერთი წლის წინ, 1894 წლის ივლის-აგვისტოში ბათუმში თავის გუნდთან ერთად სამი კონცერტი გამართა, რომელსაც მრავალი მაყურებელი ჰყავდა. ქალაქისთაგმა ლუკა ასათიანმა უცხოელი მომღერლის მოწვევა ივანე მესხს დაავადა. მაისში მოწვეული რატილი დანიშნულ დროზე ერთი კვირით ადრე ჩამოვიდა ბათუმში. აქაური ახალგაზრდებისაგან მოამზადა გუნდი და გამართა კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი, ქალაქისთავის თხოვნით ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ ჩაირიცხა.⁵⁴

რაც დრო გადიოდა, „სადამოების“ მოწყობა სასურველ შედეგს პოულობდა და სამოქმედო პროგრამაც იზრდებოდა. ივანე მესხი არ კმაყოფილდებოდა ოფიციალური კონცერტების დადგმით, ის ადგილობრივ ძალებსაც აბამდა ამ საქმეში, ცდილობდა, რაც შეიძლება წინ წაეწია ქართული ხალხური კულტურის საქმე. 1899 წლის 14 იანვარს მოწყობილ „სადამოს“ პროგრამაში შეტანილია ქართველ მომღერალთა გუნდის გამოსვლა. ქართული საზანდარი, ქართული ვოდევილი* (ვოდევილის ავტორია ივანე მესხი),

* ივანე შესანიშნავი მუსიკოსი და მომღერალი იყო. უკრავდა თარზე. მისი ძმის დავით მესხის თქმით, ქუთაისის გიმნაზიის ეკლესიის მგალობელთა გუნდში ივანე გამოირჩეოდა მოძახილით, ზანს კი იძლეოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის მამა ვლადიმერი (მოგონებანი. გვ. 38).

ცეკვები: ლეკური, ქართული, კინტაური, ხორუმი, ფერხული და სხვ.).

საღამო-კონცერტებისა და კულტურულ ღონისძიებათა რიგიანად მოწყობა-ჩატარება მიზნად ისახავდა ახლახან შემოერთებული აჭარის მცხოვრებთა შორის ქართული ცნობიერების გაღვივებას. ამისათვის ივანე მესხი ამ საქმეს დიდი ილიას და აკაკის რჩევა-შეთანხმებით წარმართავდა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იგი ამ დიდი ადამიანებისაგან დახმარებასაც ითხოვდა.



აკაკი წერეთელი
(1840–1915)

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გარდა მესხს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა სხვა ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი და სხვ.

* * *

ივანე მესხის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი აპოლიტიკური პიროვნებაა და არ ერევა სხვადასხვა პარტიის პოლიტიკურ პროცესებში. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით მის ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ ეს უპარტიო კაცი, თხემით ტერფამდე ქართველი მამულიშვილია და მისი ყველა სიტყვა, ყველა გადადგმული ნაბიჯი ქართველი ერისა და საკუთარი მამულის კეთილდღეობისაკენ მიდის.

სხვათაშორის, ივანე მესხის მოღვაწეობის ამ სფეროს ეხება ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა თვალსაჩინო წარმომადგენელი **ისიდორე რამიშვილი**, რომელიც 1897-1903 წლებში ბათუმის ქართული სკოლის გამგე იყო და კარგად იცნობდა ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრებ ინტელიგენციას. ის შეფასებას აძლევს ცალკეული ბათუმელის პოლიტიკურ მიმართულებას და აღნიშნავს, რომ „გრიგოლ ვოლსკის ჯგუფი ეტანებოდა უფრო ბერძნებს“ „...ელიავა კი უფრო სომხობას და რუსებში პოულობდა ძალებს ... ხოლო ვოლსკი და მისი ჯგუფი: დავით კლდიაშვილი, ნიკო ჯაყელი, ივანე მესხი და სხვები უფრო მკაფიო გამომხატველნი იყვნენ ქართული ნაციონალიზმისა, ვიდრე ელიავა და მისი ჯგუფი.“⁵⁵



ისიდორე რამიშვილი
(1859–1937)

ჩვენ არ ვაპირებთ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის დასკვნების განხილვას, ვიტყვი მხოლოდ რომ ძნელი დასაჯერებელია ექიმ გრიგოლ ელიავას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარეს რომელიც ბათუმში 30 წელზე მეტხანს ქართულ საქმეს ემსახურებოდა, დასწამო, რომ მან ქართველებს ზურგი შეაქცია და დასაყრდენს მხოლოდ სომხებსა და რუსებში ხედავდა. მართალია, ქართული ძალები ბერძნებთან ადვილად

პოულობდნენ საერთო ენას, განსაკუთრებით ბათუმის თვითმმართველობის არჩევნების დროს, მაგრამ გრიგოლ ვოლსკი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ჯაყელი და ივანე მესხი, არა-

სოდეს ემსრობოდნენ რადიკალურ ქართულ ნაციონალიზმს, ისინი იყვნენ ილიას, ქართველ თერგდალეულთა მიმდევრები, ერისა და ქვეყნის პატრიოტები.

ივანე მესხი ერთი წუთითაც არ კარგავდა საქმიან და მეგობრულ კავშირს ილიასთან. მარტო უქართველებოდ დარჩენილი ბათუმის თვითმმართველობის პირობებში ორგზის ქალაქისთავად პატრიოტი მამულიშვილების, ლუკა ასათიანის და ივანე ანდრონიკაშვილის გაყვანა ეყოფა მას დამსახურებად. ორივე არჩევნების დროს, დავით კლდიაშვილის თქმის არ იყოს „ამ საქმის სულის და გულის“ ივანე მესხის წინდახედული, ყოველმხრივ გათვლილი ტაქტიკა რად ღირს. მის ამ გაბედულ და ბრძნულ, ერისათვის სასარგებლო ქმედებებს ვერ შეედრება ვერცერთი პარტიისა და მისი ლიდერის საქმიანობა. სამწუხაროა, რომ ივანე მესხის მოღვაწეობა ამ კუთხით ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შესწავლილი.

ილია და ივანე მესხი

ილია ჭავჭავაძემ ივანე მესხი დაუსწრებლად გაიცნო „დროება“-ში გამოქვეყნებული მისი თარგმანებით და პირველი კორესპონდენციებით, რომლებიც დაიწერა, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1875 წ.) ივანე მესხი, „დროების“ კორესპონდენტობასთან ერთად, ამ გაზეთის წარმომადგენელი იყო ქუთაისში, მაგრამ ძალიან ხშირად თბილისშიც ჩადიოდა. ამ დროს სერგეი მესხს გაზეთის რედაქცია საკუთარ სახლში ჰქონდა, ამიტომ აქ თავს იყრიდნენ ქართველ მოღვაწეთა ყველაზე ცნობილი თაობა: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ. მათთან პირადი ურთიერთობა ივანე მესხს არ გასჭირვებია და იგი მათი იდეების ერთგული პოპულარიზატორი გახდა, რაც მის წერილებშიც იგრძნობა.



ილია ჭავჭავაძე
(1837–1907)

როგორც ზემოთ ვთქვით, ივანე მესხი ადმინისტრაციას არაკეთილსაიმედო პირთა სიაში შეუყვანია, რის გამო მას დაუხურეს პანსიონი. ამის შემდეგ ივანეს ხელისუფლებამ დევნა გამოუცხადა, ყველას ეკრძალებოდა მისი სამუშაოზე მიღება. ასეთ დროს გარიყულ კაცს ისევ ქართველი მოღვაწეები ამოუდგნენ მხარში. **ილია ჭავჭავაძემ ივანე მესხი თავის ბანკში მდივნად მიიწვია.** ეს მართლაც დიდი

ყურადღება და თანაგრძნობა იყო, მაგრამ მას ქუთაისში ერჩია ყოფნა. ძალიან მალე ივანეს ქუთაისის ბანკში შესთავაზეს სამსახური (ჩვენი აზრით, აქაც ილიას ჩარევით), რაც მისთვის მისაღები აღმოჩნდა და სამუშაოსაც ჩვეული ენერგიით შეუდგა.

როგორც ცნობილია, 1879 წლის 15 მაისს მოწინავე ქართველი მამულიშვილების თაოსნობით თბილისში დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ქმწ-კგს). მასში გაერთიანდა საქართველოს მთელი ინტელექტუალური ძალები: მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, სახელმწიფო მოხელეები.

საზოგადოების წევრად მიღებისათვის აუცილებელი იყო ორი ადამიანის დახასიათება და რეკომენდაცია. ივანე მესხის **არცერთ ბიოგრაფიაში არაა ნახსენები**, რომ იგი იყო ამ საზოგადოების წევრი.

ჩვენ საშუალება მოგვცა გავცნობოდით საზოგადოების დაარსების დღეს შედგენილ სიას, სადაც 28-ე ნომრად ირიცხება ივანე სვიმონის ძე მესხი, რომელსაც რეკომენდაციას აძლევენ ნიკო ცხევედაძე და ილია ჭავჭავაძე.⁵⁶

ილიასთან ივანე მესხის შეხვედრებზე ცნობას ამავე ნაშრომში ვხვდებით. აქ ნათქვამია, რომ ილია ბათუმში „ხვდებოდა მაშინ სამსახურში მყოფ დავით კლდიაშვილს, აგრეთვე სერგეი მესხის ძმას ივანე მესხს... ქეთევან და დურმიშხან ჟურულებს, აჭარის მოწინავე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს.“⁵⁷

ივანე მესხი თავისი მოღვაწეობის ასპარეზზე მუდამ გულისყურით უსმენდა **ილია ჭავჭავაძის რჩევა-დარიგებებს და მასთან შეთანხმებით წყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს**. 1894 წელს ბათუმის ქალაქისთავის არჩევნების დროს ივანე მესხმა საგანგებოდ ინახულა ილია ჭავჭავაძე და მას დაწვრილებით აუხსნა ბათუმში შექმნილი ვითარება და სთხოვა ქალაქისთავის კანდიდატის შერჩევაში დახმარება. სწორედ ილიამ ურჩია მას ლუკა ასათიანის კანდიდატურა, რომელიც ივანე მესხის, დავით კლდიაშვილის და გრიგოლ ვოლსკის დიდი მეცადინეობით გავიდა კიდევ ამ თანამდებობაზე.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა 1901 წელს ლუკა ასათიანის გარდაცვალების შემდეგ. ბათუმის ინტელიგენციის გავლენიან და მოწინავე წარმომადგენლებს, ივანე მესხსა და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში საგანგებოდ წავიდნენ მოსალაპარაკებლად, **ილიამ ურჩია ანდრონიკაშვილზედ** შეჩერებულიყვნენ და დაამედა, რომ იგი სასურველი კანდიდატი იქნებოდა ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობი-სათვის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ივანე ანდრონიკაშვილის არჩევას წინ უსწრებდა მრავალი მოულოდნელი სიძნელე, მაგრამ ივანე მესხის ორგანიზატორულმა ნიჭმა ყველა

სიძნელე დაძლია და ბათუმის ქალაქისთავად ი. ანდრონიკაშვილი აირჩიეს, რომელიც მართლაც „სასურველი კანდიდატი“ აღმოჩნდა.

ივანე მესხი კირილე ლორთქიფანიძის წერილებში

გამოჩენილი ქართველი მოღვაწისა და პუბლიცისტის კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის (1839-1919) ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არაერთხელ შეხვდებით ივანე მესხის სახელს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ ერთმანეთთან ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, განსაკუთრებით მათი უცხოეთში ყოფნის დროს.

1871 წლის ივლის-აგვისტოში შედგენილ ერთ წერილში, რომელიც გაგზავნილია პედაგოგისა და ახალგაზრდა პუბლიცისტის გერასიმე კალანდარიშვილის (1836-1874) სახელზე, კირილე ეხება პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა განზრახვას, დააარსონ ბიბლიოთეკა ამის საფუძველი გახდა სალომე დავითის ასულ დადიანისაგან (1848-1913) ნაანდერძევი წიგნები, რომლებიც მან პეტერბურგში გადასცა პროფ. დავით ჩუბინიშვილს (1814-1891).

როგორც ჩანს, ამ საქმეს ძალიან უყურადღებოდ მოეკიდნენ, არც წიგნების მოვლა-პატრონობით დაინტერესებულან, რის გამო ძვირფასი წიგნადი ფონდი უმეტესად უროდ დარჩა. ამიტომ გადაწყვიტეს ეს წიგნები თბილისში გაეგზავნათ. ეს საქმე პეტრე უმიკაშვილს (1838-1904) უკისრია, მაგრამ მას დასჭირდა დამხმარე პირები. მათ შორის იყო კირილე ლორთქიფანიძე, რომელმაც წიგნების ნაწილი ქუთაისში გაუგზავნა გერასიმე კალანდარიშვილს და თხოვა, რომ ისინი ივანე მესხისათვის მიენდო: „ამ წიგნების

საქმე, თუ მანდ იყოს, ივანე მესხს მიანდვეთ. უთხარით, რომ რადგანაც მაღალ მთაზედ 15 ფუთი კოლოფის ატანა ძნელია, ამის გამო თეიმურაზის (ბაგრატიონის, რ. ს.) „ისტორიის,“ „კაცია ადამიანის,“ და „ჩონგურის“ ეგზემპლარები სიმონა ჩომახიძესთან* დააწყოს, რადგანაც მას წიგნების გაყიდვა უტვირთია და დანარჩენი ქართული, ფრანგული და რუსული წიგნები მაღლა თქვენ ამოგატანინოს, რადგანაც თუ ივანე მესხი პეტერბურგში ან ტფილისში წავიდეს, ქართული ბიბლიოთეკის საკუთარი წიგნები უთუოდ იმან უნდა წაუღოს პეტრე უმიკაშვილს, თუ არა და, სანდო კაცის მონახვა თქვენზედ და უმიკაშვილზედ იყოს.“⁵⁸

კირილე ლორთქიფანიძის ზოგი წერილით საშუალება გვეძლევა დავაზუსტოთ ივანე მესხის გადაადგილების თარიღები. ასეთია, მაგალითად, 1869 წლის 9 აგვისტოს სერგეი მესხისადმი (1845-1883) გაგზავნილი წერილი, რომელშიც კირილე ამბობს, რომ ივანე მესხი ჩავიდა პეტერბურგში და კირილეს ჩაუტანა სერგეი მესხის 2 ივლისის წერილი. ნათელი ხდება, რომ ივანე პეტერბურგს ჩავიდა 1869 წლის 2 ივლისსა და 9 აგვისტოს შორის პერიოდში.



კირილე ლორთქიფანიძე
(1839–1919)

საინტერესოა თვით ამ წერილის შინაარსიც. სერგეი კირილეს წერს: „ამ წიგნს ჩემი ძმა მოგიტანს, შენ ხომ

* სიმონა ჩომახიძე, წიგნებით მოვაჭრე. ბუკინისტი.

იცი ოტჩენაში (იგულისხმება მამობრივი მზრუნველობა, რ. ს.) ხარ და ამიტომ კეთილ გზაზე უნდა დააყენო ჩემი ძმა. ეს შენი ვალია. პირველად შენთან ჩამოსტება, შენ მოუნახე სახლი, დაარიგე, როგორც რიგია, თორემ ჯერ სულ გამოუცდელია. სთხოვე, რომ იაროს შენთან და ელაპარაკე სხვადასხვა საგნებზედ. კეთილი წადილები აქვს, მაგრამ ეს არ არის საკმაო კაცისათვის. ექიმობას რომ აპირებს, მე ძალიან მომწონს.“⁵⁹

ამ წერილში ნათლად ჩანს უმცროსი ძმისადმი სერგეის დიდი სიყვარული და მზრუნველობა, აგრეთვე იგი არის ივანე მესხისა და კირილე ლორთქიფანიძის ახლობლობის დადასტურება.

სერგეი მესხისადმი გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილით (10 მარტი 1870 წ.) ნათელი ხდება, რომ კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგში ცხოვრობს ივანე მესხის ბინაზე: „...ჩემი სახლის პატრონის ცხოვრებაში მოხდა იმისთანა ცვლილება, რომლის გამო მე, მყოფი მუდამ „ლაშქრულ მდგომარეობაში“, კიდევ უფრო ლაშქრულ მდგომარეობაში ჩავარდი. 20 დღე, მეტიც ივანესთან ვიდექი და მერმე თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, როგორც იქნა, მოვთავსდი ერთს ადგილას“ (იქვე, გვ. 81). სხვათაშორის, ამავე წერილით კირილე ლორთქიფანიძე ივანეს სერგეი მესხის „დვონიკს“ უწოდებს. თუმცა გაურკვეველია რაში გამოიხატება ასეთი მსგავსება.

როგორც ამავე წერილიდან ცხადი ხდება, ივანე მესხი, ნიკოლოზ ანტონოვი* და მიხეილ ბეთანელი (1845-1908) ადრე ერთ სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ „ივანე მოსცილდა ანტონოვის და ბეთანოვის სასახლეს.“

* ნიკოლოზ იოსების ძე ანტონოვი, პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძის თანაკლასელი და ნიკო ნიკოლაძის ამხანაგი.

კირილე ლორთქიფანიძე აუგად მოიხსენიებს მიხეილ ბეთანელს, რომელსაც „ყოველიფერი აქვს, მაგრამ ნიჭისა, განათლებისა და ზნეობის კი რა მოგახსენო. რომ არ მეზარებოდეს მოწერა, მე დაგიმტკიცებდი, რომ ის არ არის არც სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი და არც დაზოგვის. მე იმედი არა მაქვს, რომ ეს ოდესმე ცოტათი მაინც გასწორდეს ...ნიკომ და გიორგიმ კიდევ არ იციან ის, რაც მე და ივანემ და ნიკო ინაძემ ვიცით.“

ჩვენთვის უცნობია, რა იყო მიხეილ ბეთანელის ასეთი უკიდურესად უარყოფითი შეფასების მიზეზი. ფაქტია, რომ ივანე მესხი მასთან ერთად ცხოვრობდა ერთ სახლში, მაგრამ იქედან წავიდა, ალბათ იმ მიზეზების გამო, რაზეც კირილე ლორთქიფანიძე წერს და რომლებიც თვით ივანე მესხმაც კარგად იცისო.

სერგეი და ივანე მესხების სახელები კიდევ ერთხელ გაიჟღერებენ პოეტ გიორგი ქოჩაკიძის-ჭალადიდელის (1847-1898) წერილში კირილე ლორთქიფანიძისადმი. აქ ისინი მოხსენიებულნი არიან პეტრე უმიკაშვილთან, ვ. დ. ივანოვთან (თბილისელი ბიბლიოთეკარი) და ნიკო ინაძესთან (?-1870) ერთად: „მოვიკითხავ პეტრეს, მესხებს, ინაძეს, ივანოვს.“⁶⁰

ივანე მესხი და ნიკო ნიკოლაძე

დიდ ქართულ პუბლიცისტთან და საზოგადო მოღვაწესთან ნიკო ნიკოლაძესთან (1842-1928) ივანე მესხის ახლო ურთიერთობა დასტურება ჯერ კიდევ საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში. ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ყველა საბუთი ხელთ არა გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია მკითხველს მივაწოდოთ იმ წერილების ჩამონათვალი და მოკლე შინაარსი, რომლებზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდება.

როგორც ცნობილია, თითქმის ერთდროულად ივანე მესხი და ნიკო ნიკოლაძის მეუღლე ოღლა გურამიშვილი ციურისში სწავლობდნენ. მათ გარდა აქ ათამდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. ივანე მესხის და სხვათა ინიციატივით ციურისში დაარსდა ქართველ სტუდენტთა საზოგადოება „უღელი“, რომლის მიზანი იყო საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტების გაერთიანება და მათთვის საჭირო დახმარების გაწევა. როგორც ირკვევა ეს საქმე მთლიანად ივანე მესხმა იკისრა. ეს დასტურდება ოღლა გურამიშვილზე ციურისში გაგზავნილი წერილით, სადაც ნათქვამია: „იმ საქმეზე, რომელზეც ახლა გელაპარაკებით ჩემს ციურისში ყოფნისას მინდოდა მომელაპარაკა თქვენთან. ერთმა პიროვნებამ სტუდენტების დასახმარებლად ფული გადმომცა. გთხოვთ ეს ფული თქვენთვის და სხვა ქართველი მოსწავლე ქალებისათვის წაიღოთ.“ წერილი დათარიღებულია 1873 წლის 29 აგვისტოთი და იწახება „ნიკო ნიკოლაძის არქივში.“⁶¹

ჩვენთვის უცნობია ეს თანხა ვისზე გადანაწილდა, თუმცა საინტერესოა, რომ „უღელის“ დაარსებისთანავე მალე დაწყებულია მისი მთავარი მიზნების განხორციელება.

თვით ნიკო ნიკოლაძე თავის სტატიაში, „ახალი ახალგაზრდობა“, დიდ შეფასებას აძლევს ციურისის ქართველ სტუდენტთა საზოგადოებას: „ციურისში ამჟამად ათიოდე ჩვენებური ახალგაზრდა სწავლობს... იმათ განუზრახავთ ისეთნაირად წაიყვანონ თავიანთი სწავლა და ისეთრიგად გამოიყენონ ურთიერთის ძალა და ცოდნა, რომ ყველა მათგანს შრომა გაუადვილდეს და ნაყოფად ხეირიანი მომზადება და გონების გახსნა დარჩეს.

ამ მიზნის მისაღწევად ამ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ უბრალებოდ, უშფოთოდ, უაყალმაყალოდ ისეთი ძმური ამხანაგობა ან საზოგადოების შედგენა, რომელშიც თითოეულ წევრს მოვალეობა ექნება ერთი რომელიმე საგნის შესწავ-

ლის და დანარჩენ წევრებს თავის ცოდნა ამ საგანზე გაუზიაროს.“⁶²

როგორც ირკვევა, ივანე მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს შორის გაცხოველებული მიწერ-მოწერა მიმდინარეობდა ჯერ კიდევ ივანეს სტუდენტობის დროს. სამწუხაროდ ეს წერილები დაიკარგა. „ნიკო ნიკოლაძის არქივში“ ჩვენ მივაკვლიეთ ერთ რუსულ ენაზე დაწერილ წინადადებას, რომელშიც ივანე თხოვს ადრესატს უპასუხოს მის წერილზე, რომელიც არ შეიძლებოდა დაკარგულიყო: „Если я не ошибаюсь, моё письмо не могло потеряться, по-этому ответ-те пожалуйста.“ ეს წერილიც 1873 წლის 12 სექტემბრითაა დათარიღებული.⁶³

სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით ივანე მესხის წერილის შინაარსი, აგრეთვე უპასუხა თუ არა ნიკო ნიკოლაძემ ამ თხოვნაზე.

ამ ორი მოღვაწის მიწერ-მოწერა საქართველოშიც გაგრძელდა. ასე, მაგალითად 1882 წელს ივანე მესხი ნიკოს თხოვს უშოვოს სამსახური (გვ. 309). ჩვენ არ ვიცით დაკმაყოფილდა თუ არა ივანეს თხოვნა.

1890 წელს ივანე მესხს ბათუმიდან ნიკო ნიკოლაძისათვის გამოსაქვეყნებლად გაუგზავნია წერილი, მაგრამ არ დაბეჭდილა. გაუგზავნია მეორეც, მაგრამ იმასაც ისეთივე ბედი ეწია. ივანე ამის გამო საყვედურობს ნიკოს და ეკითხება ქრონიკაში დეპეშებს რატომ ბეჭდავთო. წერილი დათარიღებულია 1890 წლის 29 იანვრით.⁶⁴



ნიკო ნიკოლაძე
(1842–1928)

ამ წერილის პათოსიც, გნებავთ მეგობრული საყვედური

ივანეს და ნიკოს ძალზე ახლო ურთიერთობაზე მეტყველებს.

ამის დასტურია ნიკო ნიკოლაძეზე გაგზავნილი ჩვენს ხელთ არსებული მომდევნო წერილი, რომელიც 1898 წლის ბათუმის ქალაქის საკრებულოს არჩევნებს ეხება. ეს დოკუმენტი შედგენილია არჩევნებამდე 6 დღით ადრე და საინტერესოა იმითაც, რომ ამ არჩევნებზე ბათუმის ქართველი საზოგადოება ელის ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს, რომელთა დასწრება დადებითად იმოქმედებდა არჩევნების შედეგებზე, კერძოდ ხმოსნებად ქართველი დეპუტატების, ხოლო ქალაქის თავად ლუკა ასათიანის არჩევას. აი ეს წერილიც: „ქალაქის არჩევნებისათვის, რომელიც 2 ოქტომბერს არის დანიშნული, მოგვლით. შენს ჩამოსვლას დიდი გავლენა ექნება ამომრჩევლებზე, განურჩევლად ეროვნებისა. ველით ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს. 26 სექტემბერი 1898 წ.“⁶⁵

1908 წელს ბათუმიდან პეტერბურგში გაგზავნილი წერილით ივანე მესხი ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებს მიხეილ ბეთანელის* გარდაცვალებასა და განსვენებულის აწვევლადაწვევლად საქმეებზე. ამავე წერილში ნახსენებია ბათუმის ქალაქისთავი ივანე ანდრონიკაშვილის საქმიანობა.

1913 წელს ბათუმიდან ფოთში გაგზავნილი ერთი წერილით ივანე მესხი ეხება თავისი შვილის მდგომარეობას და თხოვს ნიკოს უშოვოს სამსახური.⁶⁶

1913 წლის 1 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა ქალაქის თვითმმართველობის დაარსებიდან 25 წლის იუბილე. იმავე დღე აღნიშნეს თვითმმართველობის დაარსებიდან უცვლელ-

*მიხეილ ბეთანელის ქალიშვილი თამარი (1896-1961), მეცნიერთურაპევეტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, აჭარის დამსახურებული ექიმი, აჭარაში თურაპიული სამსახურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პიონერია.

ლად მომუშავე ორი დეაწლმო-
 სილი ადამიანის ივანე მესხისა
 და თვითმმართველობის საქ-
 მის მწარმოებლის მიხეილ ჩხ-
 ატარაშვილის მოღვაწეობის 25
 წლისთავიც. ამ ღირსშესანიშ-
 ნავ მოვლენაზე სხვა ადგილას
 ვისაუბრებთ, აქ კი მოვიტანთ
 ფოტის ქალაქისთავის ნიკო
 ნიკოლაძის მისაღმებას ივანე
 მესხისადმი: „მხურვალედ მი-
 ვესალმები ქალაქში შენს
 ყოველმხრივ რთული სამსახ-
 ურის იუბილეს, გულისთადად
 გისურვებ შენი შრომისუნარი-
 ანობის მრავალი წლით გახანგრძლივებას.“⁶⁷



მიხეილ ბეთანელი
 (1845–1908)

ივანე მესხი და დავით კლდიაშვილი

ქართულ მოღვაწეთაგან დავით კლდიაშვილს ივანე მესხთან ურთიერთობაში ვერავინ შეეძრება. მათ ბათუმში თითქმის 30 წელი ერთად გაატარეს და ერთად უხდებოდათ იმ დიდი სიძნელეების გადალახვა, რომლებსაც იმდროინდე რუსეთის იმპერიაში და კერძოდ ბათუმში ჰქონდა ადგილი. ივანე მესხის თვითმმართველობის მდივნად დანიშვნისას წამოჭრილი წინააღმდეგობებიდან დაწყებული მთელი ეს დრო ამ ორმა მოღვაწემ სულ ბრძოლებში, სიტყვიერ კამათში, სათათბიროს დისკუსიებსა და წარმოიდგინეთ დუქლებში გაატარეს.

როგორც ცნობილია, ქალაქ ბათუმში საპოლიციო მმართველობა 1888 წელს თვითმმართველობით შეიცვალა.

ბუნებრივია, ცარიზმის ხელისუფლება ამით თავისი გავლენის შემცირებას სულაც არ აპირებდა, თვითმმართველობის ხმოსანთა დიდი რიცხვი მაინც რუსებზე მოდიოდა. სასწაული იყო, როცა თვითმმართველობის მდივნად ივანე მესხი აირჩიეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ თვით მეფის ჩინოვნიკებიც კი ამაზე მეტად გამოცდილ, საქმის ერთგულ, ენების მცოდნეს და მუნიციპალიტეტში ნაღვაწ კაცს ვერც იპოვნიდნენ.

სწორედ ამ ვითარებას ეხება დავით კლდიაშვილი, როცა წერს: „არჩეული ხმოსნების შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო, რუსი, სომეხი, ბერძენი და მცირეოდენი ქართველობა. ქალაქის გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ რუსები; შემდეგ ერთმა მათგანმა უარი განაცხადა და მის მაგიერ აირჩიეს სომეხი. დიდი გაჭირვებით და დავი-დარაბით გამგეობის მდივნად გაყვანილ იქნა ქართველი კაცი – ივანე მესხი, მმა სერგეი მესხისა. ამის გაყვანა იღბლად მოხერხდა და შემდეგისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი, სასარგებლო შეიქნა. იგი წინათ ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წევრი იყო და კარგად იცოდა საქმის გაძღოლა. მოხერხებული, ქალაქის საქმეების გაძღოლა. მოხერხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მომქმედი – იგი სული და გული შეიქნა ახლად შემოდებულ თვითმმართველობისა.“⁶⁸

მომდევნო ჩანაწერებშიც მწერალი ხშირად მოიხსენიებს ივანე მესხს (გრ. ვოლსკისთან ერთად), რომელთაც „დიდი ამაგი დასდეს ბათუმს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველობას და ბათუმის მცხოვრებთ“ (გვ. 65).

ამ მოღვაწეებს იმთავითვე შეუდგენიათ გეგმა, თუ რა გზით მიშველებოდნენ სოფლებიდან ქალაქში სტიქიურად მოზღვავებულ ხალხს, როგორ გაეადვილებინათ მათთვის ახალ ადგილას ცხოვრება და საქმიანობა. ამ მიზნით გრ. ვოლსკიმ და ივანე მესხმა გახსნეს საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება, რომელშიც მხოლოდ ქართველები იყვნენ

გაერთიანებულნი. საზოგადოებას წინააღმდეგობას უწევდა თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება, რომელიც მასში თავის კონკურენტს ხედავდა, მაგრამ გრ. ვოლსკის და ი. მესხის ენერგიულმა და საზრიანმა მოქმედებამ ეს წინააღმდეგობები გაანეიტრალა.

გრ. ვოლსკიმ და ივანე მესხმა ასევე აქტიური მუშაობა გაშალეს ჩამოსახლებულთათვის სკოლის გასახსნელად და მისი ეკონომიკური ძლიერებისათვის. ამ მიზნით მათ დააწესეს საღამოების გამართვა, რომელიც ყოველწლიურად ნინოობის დღესასწაულს, 14 იანვარს ემთხვეოდა. პირველ საღამოზე მოიწვიეს აკაკი წერეთელი, რამაც ამ შეხვედრას დიდი შინაარსი შესძინა და ხალხის დიდი ინტერესი გამოიწვია. საღამოზე შემოსული მთელი თანხა სკოლის სასარგებლოდ ირიცხებოდა.

ოფიციალურ წრეებში გავრცელებული აზრი, რომ ქართველები უღონონი, უძღურნი და ძალებს მოკლებულნი არიან, ასეთმა აქტიურობამ შეცვალა, თუმცა ამ საქმის მოთავეებს მტრები გაუჩინა, მაგრამ „ვოლსკის და მესხის მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან მეტ და მეტ მომხრეებს პოულობდა და თანამგრძნობთა რიცხვი იზრდებოდა. აქ მთელი შეთქმულება, ნამდვილი შეთქმულება სწარმოებდაო“ – წერს დ. კლდიაშვილი.⁶⁹

გრ. ვოლსკის და ივანე მესხის ტანდემი განსაკუთრებით გააქტიურდა ბათუმის თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დროს. მათი დამსახურებაა კავშირის დამყარება ბერძენ ამომრჩევლებთან, რომლებიც ქართველებს შეუერთდნენ: „ვოლსკის და მესხის მიერ მოწყობილმა არჩევნებმა გაიმარჯვა. ამორჩეულ ხმოსანთა უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ. ბერძენებისაგან დასახელებულნი ყველა ამორჩეულ იქნენ. საყურადღებოა, რომ ამ არჩევნებს ესწრებოდა და თვალს ადევნებდა ილია ჭავჭავაძე. მისივე რჩევითა და აქტიური ჩარევით ბათუმის ქალაქისთავად გავიდა ლუკა

ასათიანი: „განახლებულ ქალაქის თვითმმართველობაში სხვა ყაიდაზე გაჩაღდა მუშაობა. საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი, მუშაობაში დაუღალავი ახალი ქალაქის თავი თავდაუზოგველად მუშაობდა. მასთან მუშაობდნენ ვოლსკი და მესხი, – პირველი, როგორც გამგეობის წევრი, მეორე, როგორც მდივანი. მეორე წევრად არჩეული იყო ი. ივანოვი, გარუსებული ლეკი.“⁷⁰

ვოლსკის და მესხს დიდი წვლილი მიუძღვით ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნაშიც. ამ სასიკეთო საქმეს დიდი მოწინააღმდეგეები ჰყავდა, განსაკუთრებით ხელისუფლების მხრიდან. ქალაქის საბჭომ მიიღო ქალთა გიმნაზიის გახსნის გადაწყვეტილება, მაგრამ საჭირო იყო ოლქის მზრუნველის იანოვსკის ნებართვა. ლუკა ასათიანმა მისგან მიიღო საიდუმლო შეტყობინება იმის შესახებ, რომ „არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტი ქალების რიცხვს ... გიმნაზია უსათუოდ აივსება მზარეულების, პარიკმახერების, მეეტლეთა, თერძების და მათი მსგავსი ხალხის შვილებისაგან.“⁷¹

ლუკა ასათიანმა, გრ. ვოლსკის და ივანე მესხის რჩევით, ეს წერილი გააცნო რამდენიმე სანდო ხმოსანს. საჭირო იყო რეაქციონერი იანოვსკის მხილება, რისთვისაც ხმოსანმა, პოდპოლკოვნიკმა ნიკო დუმბაძემ მოითხოვა ამ მავნე წერილის გამოქვეყნება და იანოვსკის ზრახვების გამოაშკარავება. ეს საქმე თვით ნიკო დუმბაძემ იკისრა. გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკთან“ დაამყარა ურთიერთობა და წერილიც გამოქვეყნდა. ნირწამხდარი იანოვსკი თვითონვე შეეცადა დაეჩქარებინა გიმნაზიის გახსნა, რაც ექვსი თვის შემდეგ აღსრულდა კიდევც.

დავით კლდიაშვილი ბათუმის ინტელიგენტურ ოჯახებს შორის, რომლებიც განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ საზოგადოებრივი საქმიანობით, მოიხსენიებდა ივანე მესხის ოჯახსაც, რომელსაც გრიგოლ ელიავას, მიხეილ ნაკაშიძის,

სეფე მხეიძის ოჯახებთან ერთად დიდი წვლილი შეჰქონდა ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში. საყურადღებოა, რომ ამ მოწინავე ოჯახებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ აჭარის მკვიდრ პატრიოტებთან თუფან-ბეგ შერვაშიძესთან, ახმედ, ფერთა და სულეიმან ბეჟანიძეებთან, აბაშიძეებთან, ხუსეინ ქათამაძესთან, ხიმშიაშვილებთან, ალი-აღა სირაძესთან და სხვებთან.⁷²

ივანე მესხი არ ერიდებოდა სამსახურებრივი კარიერის დაკარგვას და თავის სამუშაო ოთახში ხშირად პოლიტიკური შინაარსის მქონე შეხვედრებსაც ატარებდა. დავით კლდიაშვილს აღწერილი აქვს ერთი ასეთი შეხვედრა, როცა ქალაქის სამმართველოს მდივნის ოთახში თავი მოიყარეს თვით ივანე მესხმა, გრიგოლ ვოლსკიმ, კარლო ჩხეიძემ, საშა წულუკიძემ და სხვებმა. მომხსენებლად თვით დავით კლდიაშვილი ყოფილა. მას უთქვამს, რომ ეროვნულ საკითხზე პარტიებს შორის დავა შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს თვით ქართველებისათვის, რადგანაც მათ ხელიდან გამოეცლებათ ქალაქის საქმეებში ხელმძღვანელობაო. კ. ჩხეიძის და ა. წულუკიძის გამოსვლებმა კამათი გაამძაფრა, რის გამო იძულებულნი გახდნენ კრება შეეწყვიტათ.⁷³ დავით კლდიაშვილი ამ შეხვედრის თარიღს არ ასახელებს, მაგრამ ჩვენი აზრით ეს უნდა იყოს 1903-05 წლები, როცა გაიყო მენშევიკთა და ბოლშევიკთა გზები და მოხდა ამ ორი პარტიის ცალ-ცალკე ფორმირება.



დავით კლდიაშვილი
(1862–1931)

როგორც ზემოთ ვთქვით, ივანე მესხის ბიოგრაფიებში არსად შეგვხვდრია მისი პარტიული საქმიანობა, მაგრამ ეს მომენტი ერთგვარად ნათელს ჰყენს ამ მოღვაწის ცხოვრებას. ამჟამად, რომ იგი აქტიურად იყო ჩაბმული რსდმპ იმდროინდელ საქმიანობაში.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ასეთი ლეგალური გამოსვლები ყურადღების გარეშე არ დარჩენია ხელისუფლებას, განსაკუთრებით მისი ინტერესების დამცველ რეაქციონერ გაზეთს „ჩერნომორსკი ვესტნიკს“. ამ გაზეთის რედაქტორი ქალაქის თვითმმართველობის ერთ-ერთ სხდომაზე საგანგებოდ გააკიცხეს, რის გამო „იგი აღარ ეწრებოდა სხდომებს და განაგრძობდა თავისებურად გაზეთში უხეირო წერილების წერას. ყველაზე მეტად ამოჩემებული ჰყავდა, რასაკვირველია, ასათიანი, ვოლსკი და მესხი.“⁷⁴

1901 წელს ლუკა ასათიანი გარდაიცვალა. ახლა ვოლსკის და მესხის მთავარი ამოცანა იყო კვლავ ასათიანისებრ პატრიოტი და ქართული ინტერესების დამცველი ქალაქის თავი გაეყვანათ. რჩევისათვის მიმართეს ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ბათუმის ქალაქისთავად შეარჩია ივანე ანდრონიკაშვილი. „ილიამ ურჩია ივანე მესხსა და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში იყვნენ გამოგზავნილნი მოსალაპარაკებლად, ანდრონიკაშვილზე შეჩერებულიყვნენ და დააიძვდა, რომ იგი სასურველი კანდიდატი იქნებოდა ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობისთვის.“

გაბედულებითა და სიმამაცით აღწევდა ივანე მესხი მრავალი საჭირობოროტო საკითხების გატანას და გადაწყვეტას, რასაც იმ დროისათვის დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

ბეწვზე ეკიდა ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქის თავად არჩევაც, რადგანაც მას არ გააჩნდა იმ დროისათვის დაკანონებული ქონებრივი ცენზი. ხელისუფლება ჩქარობდა არჩევნების ჩატარებას, რათა თავისი კაცი გაეყვანა ქალაქ

ისტავად. მართლაც მოულოდნელად დაინიშნა არჩევნების დღე. ივანე ანდრონიკაშვილის არჩევას საფრთხე შეექმნა და სწორედ აქ იჩინა თავი ივანე მესხის მოხერხებამ. დავით კლდიაშვილის თქმით, მან „თვალის დახამხამებაში გამოსძებნა საჭირო ცენზი“, მაგრამ მის გასაფორმებლად მხოლოდ სამი დღე ჰქონდა. ივანემ მთელი დასავლეთი საქართველო ფეხზე დააყენა. საგანგებოდ კაცი გაგზავნა ჯერ აბაშაში, შემდეგ ფოთში, „ყველას თავისი ინსტრუქცია მისცა სტრატეგმა ივანე მესხმა, რომელიც უცაბედად ავად გაგვიხდა ამ დროს და ლოგინში მწოლიარე, მწარე შეწუხებული, საქმეს არიგებდა, თუ ვის რა და როგორ გაეკეთებინა.“

ასეა თუ ისე, ფოთიდან სასწრაფოდ ჩამოსულმა კაცმა ჩხეიძემ ცენზის დამადასტურებელი საბუთი ჩამოიტანა, „ივანე მესხმა ჩაიბარა მოტანილი საბუთები, ხელად შეიტანეს სალაროში რაც ფული იყო საურვოზე შესატანი და თამამად მოითხოვეს სხდომის გახსნა.“⁷⁵

ასე იქნა არჩეული ბათუმის ქალაქისთავად ივანე ანდრონიკაშვილი, ასე განხორციელდა ილიას იდეა, რაშიც დიდი წვლილი ივანე მესხმა შეიტანა.

ივანე მესხის მოღვაწეობის 25 წლის იუბილე

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა დაარსდა 1888 წლის 1 ოქტომბერს და იმავე დღეს ქალაქის მდივნად (городской секретарь) დაინიშნა ივანე სიმონის ძე მესხი. ამგვარად ქალაქის თვითმმართველობის დაარსების საიუბილეო თარიღი დაემთხვა ივანე მესხის და ქალაქის თვითმმართველობის საქმის მწარმოებლის მიხედვით ჩხატარაიშვილის მოღვაწეობის 25 წლისთავს, რომლებიც უწყვეტად მუშაობდნენ აღნიშნულ თანამდებობაზე.

საიუბილეო საღამო გაიმართა ზუსტად 25 წლის შემდეგ 1913 წლის 1 ოქტომბერს თვითმმართველობის შენობაში. აქ არ შეეუდგებოთ ჩატარებულ-ი ზეიმის მთლიანად მიმოხილვას, შევეხებით მხოლოდ იმ მილოცვებს, რომლებიც იმ დღეს მიიღო ივანე მესხმა.

იუბილარებს მიესალმა ბათუმის ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი. მის სიტყვაში გამოსჭვივის იუბილართა დიდი დამსახურება ბათუმის თვითმმართველობის და მოსახლეობის წინაშე, ამიტომ ეს სიტყვა მომაქვს მცირედი შემოკლებით:

„დღევანდელმა საიუბილეო დღემ მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა და საზეიმო შინაარსი, რადგანაც იგი დაემთხვა ქალაქის თვითმმართველობაში ჩვენი ორი თანამოსამსახურის, ქალაქის მდივნის ივანე სიმონის ძე მესხისა და თვითმმართველობის საქმის მწარმოებლის მიხეილ ამბაკოს ძე ჩხატარაიშვილის ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის 25 წლისთავს. მაღალი ღირსებითა და შესაძლებლობებით თავისი ძალისა და უნარის მიძღვნა საზოგადოებისათვის მეოთხედი და უფრო მეტი საუკუნის მანძილზე – ესაა მხოლოდ იშვიათი ბედნიერი ადამიანების ხვედრი და ამ მხრივ ორივე იუბილარი იმსახურებენ სრულ ყურადღებას და პატივისცემას.

მსცოვანი იუბილარი, ქალაქის მდივანი ი. ს. მესხი მსახურობს ქალაქის მდივნის არჩევით თანამდებობაზე და ტრადიციულად ასრულებს თვითმმართველობის მდივნის მოვალეობასაც ბათუმის თვითმმართველობის შემოღების შემდეგ, ადრე კი იგი მსახურობდა არჩევით თანამდებობებზე ქუთაისში 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მარტო ეს გარემოება საკმაოდ ნათლად წარმოაჩენს პატივცემული ივანე სიმონისძეს, როგორც საზოგადო მოღვაწეს.

მეოთხედი საუკუნის მანძილზე მკვეთრად იცვლებოდა ჩვენი საქალაქო სათათბიროს და თვითმმართველო-

ბის შემადგენლობა. არ იცვლებოდა მხოლოდ ი. ს. მესხი. ყოველთვის მშვიდი, საგანგებოდ მისაწვდომი, ღრმად თანამგრძობი მის მიმართ გამოთქმულ ყველა თხოვნაზე, ყოველთვის სასიამოვნო და მზადმყოფი სამსახურისათვის ივანე სიმონის ძე დამსახურებულად იხვეჭდა საყოველთაო სიყვარულსა და პოპულარობას ბათუმის გარეთაც კი, მისი, როგორც მდივნის შრომისუნარიანობამ, საქმის ცოდნამ და ნიჭიერებამ მას შეუქმნეს შეუცვლელობის პირობები, რაც ესოდენ იშვიათია არჩევით სამსახურში...

ორივე ჩვენი იუბილარი ბათუმში ქალაქის საზოგადოებრივი მართვის შემოღებისთანავე, იყვნენ ძალზე მძიმე საორგანიზაციო პერიოდის მონაწილენი და, რატქმაუნდა, ჩვენ დღეს შეგვიძლია მხოლოდ მათ მიმართ გამოვხატოთ ჩვენი ღრმა პატივისცემა და მადლიერება ბათუმისათვის მათი სასარგებლო, დაუღალავი და ენერგიული შრომის გამო.

მოწყალე ქალბატონებო და ბატონებო! თქვენს წინაშე არიან, თუმცა ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ ენერგიითა და ძალებით აღსავსე ორი იუბილარი. ვუსურვოთ მათ დიდხანს შეინარჩუნონ მოსახლეობისათვის სასარგებლო ძალა და უნარი, იმ საქმის სამსახურში, რომელსაც ისინი ეწევიან მეოთხედი საუკუნე და იმ დაწესებულებაში, რომელიც აღმოცენდა მათი მონაწილეობით და მათთან დაკავშირებულია ძლიერი კვანძებით.⁷⁶

თვითმმართველობის საქმისმწარმოებელმა პ. ი. პრიპელმა თანამშრომლების სახელით ი. ს. მესხს მიართვა აღმასებით შემკული ოქროს საათი ძეწკვით, ხოლო მ. ა. ჩხატარაიშვილს – ვერცხლის ჩაის სერვისი. იგი იუბილარებს შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„დღეს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის არსებობის 25 წლისთავის ზეიმზე, შესრულდა აგრეთვე თქვენი ამ დაწესებულებაში მოღვაწეობის 25 წლისთავი. ამ თარიღის სახსოვრად გთხოვენ მიიღოთ ეს საჩუქარი, გულითადი



მიხეილ ამბაკოს ძე
ჩხატარაიშვილი

სურვილით, რომ თქვენ კიდევ მრავალ წელს გნახოთ ქალაქის სამსახურის ასპარეზზე.“

ი. ს. მესხმა თანამშრომელთა მოლოცვას შემდეგი სიტყვით უპასუხა:

„თქვენო ბრწყინვალეებავ და ძვირფასო თანამოსაქმეებო! ნება მიბოძეთ პირადად ჩემი და ძვირფასი იუბილარის სახელით მოგმართოთ გულითადი კმაყოფილებით ჩვენს მიმართ გამოთქმული საქებარი გამოძახილისა და სურვილებისათვის, რომელთა გამოთქმა თქვენ ჩვენთვის ძვირფას დღეს მიიხნით. მის შემდეგ

ნება მიბოძეთ ვილაპარაკო ჩემი სახელით.

ამბობენ, რომ გრძნობათა მოძალებსას ბაგეები მუნჯდებიან და დამიჯერეთ, რომ ეს ბრძნული გამოთქმა თავისი მთელი ძალით დღეს ჩემს მიმართ გამართლდა. მით უმეტეს, რომ ბუნებამ მე არ შემამკო სიტყვის თქმის ჯილდოთი.

თუმცა არ შემიძლია ჩემს ძვირფას ამხანაგებთან მიმართვის დროს, რომლებმაც მისურვეს კვლავ მრავალ წელს მნახონ მათს სამსახურებრივ ოჯახში, არ შემიძლია არ გამოვთქვა ამ შეხვედრისათვის შესაფერისი ერთი ეპიზოდი, რომელიც 40-45 წლის წინ მოხდა ჩემს მშობლიურ ქალაქში, ქუთაისში.

გუბერნიის წინამძღოლის არჩევის დღეს, მრავალრიცხოვანმა თავადაზნაურობის კრებულმა ძველი სამსახურისათვის ყოფილ წინამძღოლს, რამდენჯერმე სამი წლით არჩეულს ერთსულოვნად გამოუცხადა მადლიერება, ამავე დროს აგრძნობინა, რომ საკრებულოს უკვე ყავს ახალი წი-

ნამძღოლის კანდიდატი და რომ უკვე დროა მან დაისვენოს, როგორც ხანდაზმულმა. ხანდაზმულმა თავადმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს და თხოვა ეს მადლობა დაედანტურებინათ ფარული კენჭისყრით. საკრებულო უცებ გაოგნდა, თუმცა უკლებლივ შეასრულა თავადის თხოვნა, ამასთან ერთად კენჭის ყრა დასრულდა ბრწყინვალე შედეგით – არცერთი შავი კენჭი. კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ თავადმა კრებას მიმართა შემდეგი სიტყვებით: „მადლობას ვუხდით თავადაზნაურობის საკრებულოს ერთსულოვნებისათვის, რომელშიც მე ვხედავ თავადაზნაურობის გულწრფელ სურვილს მნახოს წინამძღოლად ახალი სამი წლის მანძილზე, ამიტომ გთხოვთ კენჭი მიყაროთ გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე.“ წარმოსადგენია კანდიდატის აბეზარობამ რა დღეში ჩააგდო საკრებულო. არჩევნები ჩატარდა და მოხუცი თავადი ასევე ერთხმად აირჩიეს.

აი ასე, მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მე რასაკვირველია, კენჭისყრის გარეშეც მჯერა თქვენი ჩემს მიმართ გამოხატული გრძნობები და თქვენი გულმხურვალე სურვილი, კიდევ დიდხანს მნახოთ თქვენს შორის.

მაგრამ, ბატონებო, ოცდათექვსმეტი წელი, რომელიც მე გავიარე საზოგადოებრივ სამსახურში, თანაც არჩევით თანამდებობაზე, საიდანაც 25 წელი აქ და 11 წელი ქუთაისში, საკმაოდ ლაპარაკობს იმაზე, რომ საპატიოა ვიცოდე, რომ დროა დავისვენო და ადგილი დავუთმო ახალგაზრდა ძალებს. არ ვიტყვი მწყურვალეს, მაგრამ ვაღიარებულს ემსახუროს საზოგადოებას, თუმცა მე კიდევ მრჩება ორი წელი მეშვიდე ოთხწლეულის დამთავრებამდე, რომლებსაც მე, სამწუხაროდ, ვერავის დავუთმო, ახალგაზრდებსაც კი, განა სიკვდილი დამაშორებს მე თქვენგან. და ამ ორ წელიწადში, მე, დამიჯერეთ, შეძლებიდაგვარად, გავაგრძელებ თქვენთან ერთად ჩვენი ძვირფასი ბათუმისადმი თავდადებულ სამსახურს და თქვენთან ერთად გავიყოფ მწუხარებას და სიხა-

რულს. ორი წლის გასვლის შემდეგ კი მე, ალბათ, ჩემი მოხუცი თავადის მსგავსად, არ გაიძულებთ თქვენ შემასხენოთ ჩემს დასვენებაზე და არ მოვითხოვ ჩემი ამომრჩევლებისაგან არც ფარულ და არც სხვა კენჭისყრას. კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემი გულითადი და მხურვალე მადლობა.“⁷⁷

საიუბილეო დღეს, 1913 წლის 1 ოქტომბერს ი. ს. მესხის სახელზე მოვიდა მრავალი დეპეშა, მაგრამ აქ მოვიტანთ მხოლოდ იმ მილოცვებს, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ; ვფიქრობ იხინი მკითხველს დააინტერესებს თუნდაც იმიტომ, რომ მათი ავტორები დიდი ქართველი მამულიშვილები: ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ დიასამიძე, შალვა დადიანი და სხვები არიან.

„განსაკუთრებული კმაყოფილებით ვასრულებ სათათბიროს დავალებას, მხურვალედ გილოცავთ თქვენთვის სასიხარულო, მუნიციპალურ სარბიელზე თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობის შეჯამების დღეს. თქვენი პატიოსანი, ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელმაც გაიარა ქუთაისისა და ბათუმის საზოგადოების წინ, არ საჭიროებს ხოტბას. **ილია ჩიქოვანი.** ქუთაისის ქალაქისთავი.“

„მხურვალედ გილოცავ ქალაქზე შენს მრავალმხრივ ძნელ სამსახურს. გულითადად გისურვებ შენი შრომისუნარიანობის მრავალ წელს გახანგრძლივებას. **ნიკო ნიკოლაძე.** ფოთის ქალაქისთავი.“

„გულითადად გილოცავთ ძვირფას იუბილარებს, ივანე სიმონისძეს და მიხეილ ამბაკოს ძეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ძალმოსილობას. ძნელ და საპატიო შრომაში საზოგადოების სასარგებლოდ. **ბორის სახნოვსკი.** ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ყოფილი წევრი.“

„მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა თქვენი სამსახურის 25-წლის იუბილეზე. სულითა და გულით გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენთვის ძვირფასი ბათუმის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის, ქალაქისა, რომელსაც თქვენ უშურვე-

ბლად მიუძღვენით თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები. **ა. არკადაქსკი.** ბათუმის სათათბიროს ყოფილი ხმოსანი.“

„მსურვალედ გილოცავთ თქვენი მუნიციპალური მოღვაწეობის იუბილეს, მთელი გულით გისურვებთ მრავალ წელს შეინარჩუნოთ ძალები და სწრაფვა საქალაქო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. **ს. ცურინოვი** (ხმოსანი).“

„მიიღეთ, თუმცა დაგვიანებული მილოცვა ჩვენი საოცარი ქალაქის სასარგებლოდ თქვენი მეოთხედსაუკუნოვანი იუბილეს გამო. **ი. პანასვეიჩი.** (ხმოსანი).“

„ძვირფასო იუბილარო, ივანე სიმონის ძე. ვუერთდები თქვენს სიხარულს, გილოცავთ თქვენი მოღვაწეობის ოცდახუთი წლის შესრულებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი თვითმმართველობის ასპარეზზე, გულით გისურვებთ კეთილდღეობას ჩვენივე ქალაქის პროდუქტიულობისა და ნაყოფიერებისათვის. **აშოტ მდლიანცი** (ხმოსანი).“

„ნება მიბოძეთ შევეერთდე მრავალ პიროვნებას, რომლებმაც მსურვალედ მოგილოცეს მსცოვან იუბილარს და სულით გისურვეს მრავალი წლის კეთილდღეობა. დირექტორი **გენკელი.** ბათუმის ვაჟთა გიმნაზია.“

„გაზეთ „თემის“ და პირადად ჩემი სახელით გიგზავნით გულითად მოლოცვას და საუკეთესო სურვილებს ძვირფას და მარად ჭაბუკ მუშაკს ჩვენი ქვეყნის მშვენიერი ქალაქის სასარგებლოდ და სადიდებლად. **გრიგოლ დიასამიძე.**“



გრიგოლ დიასამიძე
(1870–1960)

„ბათუმსკიე ვესტის“ რედაქცია გილოცავთ მსცოვან იუბილარს, ივანე სიმონის ძეს, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში სამსახურის 25 წლის



მემედ აბაშიძე (1873–1937) და შალვა დადიანი (1874–1959)

იუბილეს. რედაქცია გთხოვთ მიიღოთ სულით და გულით სურვილი თქვენი ჯანმრთელობის და ძალმოსილებისა, მომავალი ნაყოფიერი მოღვაწეობა ქალაქისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის. რედაქცია.“

„ბათუმის დრამატული საზოგადოების დასი განსაკუთრებული კმაყოფილებით უერთდება ყველა მილოცვას, რომლებიც ქალაქის ყველა კუთხეებიდან თქვენსკენ მოედინება. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თქვენ მხოლოდ მუნიციპალურ მოღვაწედ მიგიჩნით. თქვენი საგანმანათლებლო საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა გამოვლინებებში ყველა კულტურული ადამიანისათვის სამაგალითოა. მაგრამ თქვენ ჩვენთვის ძვირფასი ხართ ჩვენი საქმის სიყვარულისათვის, რომელიც გვაძლევს საშუალებას სინამდვილეს მამაცურად გავუხსწოროთ თვალი. **რევისორი შალვა დადიანი.**“⁷⁸

ივანე მესხის ნაშრომები – მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროები

ა. ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარების ნარკვევები

ივანე მესხის ბიოგრაფიის განხილვისას ჩვენ სქემატურად შევვხეთ მის ნაშრომებს „ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარების ნარკვევი,“ რომელიც 1906 წელს გამოქვეყნდა ბათუმის ოლქის გათავისუფლებიდან 25 წლის იუბილეზე მიძღვნილ კრებულებში „ბათუმი და მისი შემოგარენი.“ იგი რუსულ ენაზე დაიბეჭდა. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და დღემდე მისი ქართული თარგმანი არა გვაქვს. ეს კი ქართველი მკვლევარებისათვის დიდი ხარვეზია, რადგანაც ბათუმის გათავისუფლებიდან მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკურ, სოციალურ და აღმშენებლობით განვითარებაის შესახებ ამაზე ვრცელი, სანდო, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შესრულებული, დიდი მოცულობის ნაშრომი არ გაგვაჩნია.

ივანე მესხის ცხოვრება-მოღვაწეობაზე წიგნის მომზადების შემოთავაზებისთანავე, ამ საქმის საინიციატივო ჯგუფს ვურჩიე გვეთარგმნა ი. მესხის ეს ნაშრომი, მაგრამ მათ სამართლიანად მითხრეს: ჯერ საზოგადოებისათვის გაგვეცნო თვით ამ ნაშრომის ავტორის ცხოვრება და შემდეგ გვეფიქრა მისი წიგნების თარგმნაზე.

ეს კეთილმოსურნე რჩევა გავითვალისწინე, თუმცა აუცილებლად მივიჩნიე ივანე მესხზე მიძღვნილ წიგნში მოკლედ გამეშუქებინა მისი ვრცელი ნაშრომი „ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარების ნარკვევი,“ რასაც მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ.

ნაშრომს წინ უძღვის შესავალი, სადაც განხილულია იმ დროინდელი ბათუმის ახალი ისტორია, კერძოდ 1878 წლის

3 მაისის სან-სტეფანოს ხელშეკრულება და იმავე წლის 13 ივნისის ბერლინის ტრაქტატი, რომელთა თანახმად მთელი ისტორიული საქართველო გათავისუფლდა ოსმალეთის ბატონობისაგან და შეუერთდა დედა-სამშობლოს, რომელსაც მეორე იმპერია რუსეთი ფლობდა.

ავტორი კარგად იცნობს ამ პროცესებს და აღნიშნავს, რომ ბათუმის ოლქი უსისხლოდ გათავისუფლდაო. მართლაც აჭარა-შავშეთის მაშინდელი მფლობელების შერიფ და ნური ხიმშიაშვილების, აგრეთვე ამ მხარეების მოსახლეობის წინდახედული მოქმედებით და კეთილი ნებით მართლაც უპრეცედენტოდ მშვიდობიანად დასრულდა ეს პროცესი.

ახლადდაპურობილ მხარეებში რუსეთის ხელისუფლებამ თავისი წყობილების განმტკიცების მიზნით სასწრაფოდ გამოაცხადა ქალაქი ბათუმი თავისუფალ პორტად (პორტო-ფრანკო), გამოიყვანა ბაქო-თბილისისა და თბილისი-ფოთი-ბათუმის რკინიგზა.

სულ რაღაც 15-20 წლის მანძილზე ბათუმის მოსახლეობის რიცხვი თითქმის ათჯერ გაიზარდა. ახალ ხელისუფლებას ბათუმში დახვდა 3 000 სული, მათ შორის მესამედი ადგილობრივი მუსლიმანი ქართველები. 1882 წლის აღწერის შედეგად ეს რიცხვი 8 700-მდე, ხოლო 1897 წლის აღწერით 28 000-ზე მეტად გაიზარდა.

„უბადრუკი სოფელი,“ როგორც ამას სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ უწოდებდნენ ბათუმს, ახლა ევროპული ქალაქების განვითარების გზით წავიდა, თუმცა მოსახლეობის ამ დიდ ტალღას ვერ გაუძლო და იმდენი პრობლემები დაუგროვდა, რომ მის აღმოფხვრას ვეღარ ახერხებდა.

ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა საშინელი და ჯანმრთელობისათვის ძალზე სახიფათო იყო. მთელ ქალაქს ჭაობები ფარავდა, ხოლო მეტნაკლებად მისადგომ ადგილებში ოსმალებმა 20 000-მდე გადამღები სენით დაღუპულთა გვამები დამარხეს.

თიხის მიღებით მოწყობილი წყალსადენი ალაგ-ალაგ დამტკრეული იყო და ჭაობის წყალს ისრუტავდა. ქუჩები მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იყო მოკირ-წყლული.

ივანე მესხი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც მოგვაწოდა ბათუმის ქუჩების ოსმალობის დროინდელი სახელები: ალი-კიისი, ჯამი-არასი,* ჰამამ-სოხახი,** აჯარი-სოხახი, მეზერლუხ-ბაში, აზიზიე სოხახი, ბურუნ-ბაში-სოხახი, ტელეგრაფ-სოხახი, ურუმ-სოხახი, ნურიე-სოხახი. ქალაქი 4 საპოლიციო უბნად ყოფილა დაყოფილი: 1. აზიზიე-მეხლესე, 2. ასმედ-ფაშა-მეხლესე, 3. მუფტიე-მეხლესე და 4. ნურიე-მეხლესე. იყო აგრეთვე ქალაქის საქარხნო ნაწილი, რომელსაც სარი-სუს ეძახდნენ.

ივანე მესხი აღწერს ახლადგათავისუფლებული ქალაქის პირველ ადმინისტრაციულ ორგანოებს, კერძოდ სამხედრო-საერო მმართველობას, პირველ მეჯლისს, რომელიც ძირითადად ადგილობრივი ლიდერებისაგან შედგებოდა. ამ აღწერას ყოველთვის თან ახლავს ის სახელმწიფო დოკუმენტები, რომლითაც პრაქტიკულად დაფუძნდა ბათუმის ოლქში რუსული მმართველობა.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის შემოღებამდე ქალაქის მეურნეობას პოლიციის სამმართველო განაგებდა. ფორმალურად ამ ორგანოში ოთხი ადგილობრივი დეპუტატიც ირიცხებოდა, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევდა. შემდგომში, ქალაქის ზრდის კვალობაზე, ვაჭრებმა და ხელოსნებმაც მოითხოვეს დეპუტატების ადგილი. ასეთი ვითარება 10 წლის მანძილზე გაგრძელდა. 1888 წლის 1 სექტემბერს კი შემოღებულ იქნა ქალაქის

* შესახვევი.

** ქუჩა.

თვითმმართველობა. იგი ბათუმის ქალაქად გამოცხადების თარიღად ითვლება და ამის შემდეგ იწყება ნამდვილი საქალაქო ცხოვრება.

ივანე მესხი ვრცლად აღწერს 25 წლის მანძილზე ქალაქის შემოსავლებს და მის მთავარ წყაროებს (არენდის, სასწორის, პირუტყვის დაკვლის, ნაგების, შეფასების, თევზჭერის, სანაპირო ზოლის გამოყენების, ქუჩების გამოყენების, ნოტარიუსის, აუქციონის, სილისა და ხრეშის მოპოვების, ბანაობის, ბუფეტების და ა. შ.), აგრეთვე გასავლებს, რომლებიც აუცილებელი იყო ქალაქის არსებობისათვის (პოლიციის, კეთილმოწყობის, სასნეულოს, უძრავი ქონების შენახვის და სხვა ხარჯები).

შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩატარდა ქალაქის ხმოსანთა პირველი არჩევნები, რადგანაც მაშინ ბათუმს ძალზე მცირე ეროვნული ძალები გააჩნდა. ეს ძალა ის-ის იყო იკრებდა თავის პირველ შესაძლებლობებს, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ დეპუტატთა შემადგენლობაში ქართული ელემენტი თითებზე ჩამოსათვლელია. ივანე მესხი წარმოგვიდგენს ხმოსანთა შემადგენლობის სრულ სურათს აღმსარებლობის მიხედვით:

- მართლმადიდებელი – 13
- კათოლიკები – 6
- სომეხი-კათოლიკი – 1
- სომეხი-გრიგორიანელი – 9
- პროტესტანტი – 1
- ქართველი-მუსლიმანი – 4
- იუდეველი – 2

ეროვნების მიხედვით ხმოსნების ადგილები ასე გადანაწილდა:

- რუსები – 8
- ქართველები – 11

სომხები 10

ბერძნები – 2

ებრაელები – 2

პოლონელები – 2

გერმანელი – 1

საქმიანობის მიხედვით ხმოსანთა შორის იყვნენ: ინჟინერი – 4, იურისტი – 2, მოხელე – 3, ვაჭრები – 14, ექიმი – 1, სამხედრო – 3, ავთიაქარი – 1, სახლთმფლობელი – 8.

ჩვენ აღარ შევუდგებით მომდევნო არჩევნების სტატისტიკის აღწერას, რადგანაც ამის შესახებ მკითხველს ვაწვდით ივანე მესხის „სამახსოვრო წიგნის“ შემოკლებულ ვარიანტს, სადაც წარმოდგენილია ყველა მომდევნო არჩევნების ხმოსანთა მთელი შემადგენლობა.

ბუნებრივია, იმდროინდელი სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის ვითარებაში ქალაქისთავი ჩვეულებრივ არაქართველი იყო, რომელსაც ქუთაისის გუბერნატორი ნიშნავდა. ცარიზმის მსახური ქალაქისთავი თავისი პატრონის პოლიტიკას ემსახურებოდა, რის გამო გამორიცხული იყო ქალაქში რაიმე ეროვნული და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა. და ეს ყველაფერი ხდებოდა ივანე მესხის, მთელი თავისი არსებით ქართველი მამულიშვილის თვალწინ, რომელსაც მაშინ არ ძალუძდა გამკლავებოდა სულისშემხუთველ რეჟიმს.

თუმცა არც ივანე იყო სრულიად მარტო, აჭარაში, კერძოდ ბათუმში ცხოვრობდა რამდენიმე მოწინავე ქართული ოჯახი (ქურულების, ლორთქიფანიძეების, მჭედლიშვილების და სხვ). მათ შორის ადგილობრივი ქართველი მუსლიმანებისა (აბაშიძეები, ბეჟანიძეები, თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები და სხვ.), რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მხარის გათავისუფლების პროცესებში, ახლა კი ძალებს იკრებდნენ, რათა დარაზმულიყვნენ ქართველი მამულიშვილების დროშის ქვეშ

და შექმნის დაგვიანებულ შემთხვევაში ქართული ქალაქის ატმოსფერო.

ამ დროისათვის მთავარ დამრავლებელ ძალას კი დიდი ილია წარმოადგენდა, რომლის უშუალო თაოსნობით ბათუმში გაიხსნა ქართული სკოლა, გამოჩნდა თეატრალური წარმოდგენები, ტარდებოდა საღამოები და, რაც მთავარია, ილიას რჩევით და კონსულტაციით ბათუმის ქალაქისთვის არჩეულ იქნენ ლუკა ასათიანი და ივანე ანდრონიკაშვილი.

ბათუმში ცხოვრობდა და მსახურობდა ოფიცერი დავით კლდიაშვილი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის მიუხედავად აქტიურად იყო ჩაბმული ქალაქის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბათუმის თვითმმართველობის პირველ არჩევნებს დაემთხვა ქალაქში რკინიგზის ექიმის გრიგოლ ვოლსკის გამოჩენა, რომელმაც შემდგომში თითქმის მთლიანად თავის მხრებზე ატარა ქალაქის სათათბიროს ეროვნულ რელსებზე გადაყვანის მთელი სიმძიმე.

დავით კლდიაშვილი, ივანე მესხი და გრიგოლ ვოლსკი იყვნენ ის დიდი ქართველი მოღვაწენი, რომელთაც არაფრად ჩააგდეს პირადი კეთილდღეობა, სამსახურებრივი კარიერა და ახლადგათავისუფლებული ქალაქი ქართული კულტურის, განათლებისა და ეროვნული თვითმყობადობის ცენტრად აქციეს.

ივანე მესხის ამ ნაწარმოებში პირველად და უკანასკნელადაც (ამ საკითხებს შემდგომში არცერთი ავტორი არ შეხებია) მთელი სიზუსტით დაგვიხატა ბათუმის განვითარების ყველა სფერო და წარმატებები, ამ საქმეში იმ დროს ქალაქში მყოფი საზოგადოებრიობის აქტიურობა და ა. შ.

გავიმეორებ: ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებაზე, მის კულტურულ წინსვლაზე დღესდღეობით არ

არსებობს ისეთი ზუსტი, სანდო და რეალურ სტატისტიკურ მონაცემებზე შედგენილი წყარო, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის, როგორც რიგითი მკითხველი, ასევე ქალაქმშენებლობის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერი. ამ ნაშრომში შეგვიძლია გავეცნოთ ქალაქის განვითარების ისეთ საკითხებს, რომლებიც მხოლოდ აქაა და სხვა ნაშრომებში არ გვხვდება.

ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა სფეროს დეტალურ გარჩევას, ეს არც შედის ჩვენს მიზნებში, ჩამოვთვლით მხოლოდ იმ ძირითად დარგებს, რომლებსაც ივანე მესხი შეეხო.

ავტორი დაწვრილებით აღწერს ქალაქის უძრავ ქონებას, რაც 25 წლის მანიძილზე დაგროვდა, აგრეთვე მათი შეფასებიდან შემოსულ მოსაკრებლებს. ცალკე თავი მიეძღვნა ქალაქის საადმშენებლო ნაწილს, რომელიც ამ სახელით ეს-ესაა დაფუძნდა, ქალაქის პორტს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემოსავლის წყაროს, ქალაქის გარეგან სახეს, მის ახალ ქუჩებს (სულ 33, რომელთა სიგრძეც კი ჩაუწერია).

წიგნში მოურიდებლად და სახელმწიფო მოხელისათვის უჩვეულოდ, ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე, გაშუქებულია ქალაქის ყველაზე დიდი აქილევსის ქუსლი – ნაკლოვანებები სანიტარულ, საექიმო და ვეტერინარულ სამსახურში, აუტანელი მდგომარეობა ქალაქის სასაფლაოებზე, განსაკუთრებით საშიში ინფექციების (ქოლერა, შავი, ჭირი, ყვავილი) გაავრცელება და ამ მხრივ ქალაქის უმწვეო მდგომარეობა (სახსრების ნაკლებობა, შესაბამისი სასნეულოების და კადრების უყოლობა და ა. შ.), იმდროინდელი ექიმები, რომელთაც რამდენიმე ადამიანის მოვალეობის შესრულება უხდებოდათ და ა. შ.

ჩვენი საზოგადოებისათვის დღემდე ცნობილი არ იყო, რომ ახლადგახსნილი ბათუმის სასნეულოს (3/X, 1902 წ.) პირველი ზედამხედველი იყო ცნობილი საზოგადო მოღ-

ვაწე, შემდგომში პოლიტიკური ემიგრანტი კარლო ჩხეიძე. ამის შესახებ ივანე მესხი თავის წიგნში გვაუწყებს. ასევე ჩვენთვის ახალია ის, რომ ბათუმში ახლადგამოსაყვანი წყლის სინჯები 1890-91 წლებში რამდენჯერმე გაუზზავნეს ოდესაში გამოჩენილ ქართველ ქიმიკოსს პეტრე მელიქიშვილს, რომელმაც ამ საქმეში ჩართო თავისი მასწავლებელი პ. ა. ვერიგო და მხოლოდ მათი დასკვნის შემდეგ შეუდგნენ ბათუმის წყალსადენის მშენებლობას.⁷⁹

ერთ-ერთ ჩემს ნაშრომში („ჯანმრთელობის სამკვდლო,“) ვწერდით, რომ ბათუმის საქალაქო სასნეულო აშენდა შემოწირულ მიწის ნაკვეთზე, 80 რაც არასწორი აღმოჩნდა. ივანე მესხი გარკვევით წერს (და მასზე უკეთესად ეს საქმე არავინ იცოდა), რომ „Думой одобрен участок Зиа-бега Абашидзе, на левой стороне начала Артвинского шоссе, у моста на р. Ангиее приобретенный городом в количестве 8 000 кв. саж., из них 5 000 саж. по 2 руб. и 3000 саж. по 3 руб. за кв. саж.“⁸¹

ამ შეუსაბამობის შესახებ ჩვენ ვაცნობეთ ქალაქის მერიას, მაგრამ იგი ყურად არ იღეს და ჩვენი მცდარი პუბლიკაცია საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქალაქის მაშინდელ ხელმძღვანელობას მიედო ნაჩქარევი გადაწყვეტილება და ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოსათვის ზია აბაშიძის სახელი მიეკუთვნებინა.

შედგვიც შესაბამისი აღმოჩნდა. ქალაქის ბუღვარიდან მემედ აბაშიძის ძეგლის დაუსაბუთებლად, საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად აღების, შემდეგ ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოზე მინიჭებული სახელი ამჯერად დასაბუთებულად გაუქმდა.

ზია-ბეგ აბაშიძე, სახელოვანი გვარის შთამომავალი, მრავალი ეროვნული და საქველმოქმედო საქმის მონაწილე, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის საკითხზე ბერლინში გაგზავნილი დელეგაციის აქტიური წევრი და



ბათუმის საოათბიროს ხმოსნები: ფეფი, ხუსეინ, ზია (1875–1932) აბაშიძეები

ქართული ლეგიონის ბერლინის განყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, არ საჭიროებს გამოგონილ დამსახურებას. მისი სახელი შეიძლება მიენიჭოს ბათუმში ნებისმიერ ძველ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას, ამისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება, რადგანაც მან მთელი სიცოცხლის მანძილზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი აირჩიეს ბათუმის ხმოსნად (1898-1902 წ.), დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის სკოლების, კულტურული ობიექტების და სხვათა დაარსებაში.

ივანე მესხი განსაკუთრებული ყურადღებით გვიხატავს ბათუმის სასწავლებლებს, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებს, რომლებსაც ქალაქი თავის ხარჯზე ინახავდა. აქვე საინ-

ტერესოდ არის მოხრობილი გიმნაზიების გახსნის დროს ხელოვნურად წამოჭილი ბიუროკრატიული სიძნედეები, ჩამოთვლილია შენობების აგების, თვით გიმნაზიებისა და სკოლების გახსნის ინიციატორები, სასწავლებლების დაარსების ზუსტი თარიღები და ა. შ.

შორს წაგვიყვანს ქალაქური ცხოვრების ყველა იმ დარგის განხილვა, რომლებიც ივანე მესხმა ჩვეული სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით ასახა თავის წიგნში. ეს დარგებია: ქალაქის დაგეგმარება, მისი გამწვანება, ელექტროგანათება, რომლითაც ბათუმი თბილისსაც კი გაუსწრო, ვაჭრობა და ფინანსები, ბათუმის მშენებლის ნურიის ტბისა და მისი შემოგარენის, ე. წ. ალექსანდრეს ბაღის, აგრეთვე ბათუმის სახელგანთქმული ბუღვარის გაშენება და ა. შ.



ნურიის ტბა. 1912 წ.

ივანე მესხის ნაშრომში ნათქვამია, რომ ბათუმში განზრახული იყო ტრამვაის, ე. წ. „კონკის“ ამოქმედება. ამ თემას სხვა არცერთ ნაშრომში არავინ შეხებია. თურმე ერთ ფრანგ მოქალაქეს გ. ი. დიუნანს ბათუმის ხელმძღვანელობისათვის შეუთავაზებია ელექტრული ტრამვაი, ხოლო პ. ო. შპოლიანსკის – ცხენიანი ტრამვაი, ანუ კონკა. ამის პროექტიც შეუდგენიათ, რომლის დაფინანსება, ობლიგაციების გამოშვებით მიღებული მოგების ხარჯზე, 91 000 მანეთად იგეგმებოდა.

ამასობაში ბათუმელ ვაჭრებს და სახლთმფლობელებს, სულ 168 მოქალაქეს გადაუწყვეტიათ შეექმნათ ამხანაგობა, რომელიც უზრუნველყოფდა ტრამვაის ხაზების გაყვანას. ამისათვის მათ ოთხი თვის ვადა მოითხოვეს, მაგრამ პირობა არ შესრულდა. ობლიგაციების მოგების თანხა გადაისროლეს ქალთა გიმნაზიის მშენებლობაზე, ქალაქს კი სხვა სახსრები არ გააჩნდა, რის გამო 1901 წელს სამეურნეო საშუალებებით ტრამვაის მშენებლობაზე უარი თქვეს და ძალაში დატოვეს საკონცესიო პირობები.

1902 წელს ქალაქისთავად მოსულმა ივანე ანდრონიკაშვილმა კვლავ წინ წამოსწია ბათუმში ელექტრონული „კონკის“ მშენებლობა, გამოცხადდა 6-თვიანი ვადა ამ საქმეში კონცესიონერების მონაწილეობისათვის. ეს საქმე 1904 წელსაც აქტუალური იყო, მაგრამ, ივანე მესხის თქმით, იაპონიასთან ომმა და მასთან დაკავშირებულმა მრავალმა სიძნელემ ჩაშალა ყველა დიდი ნაგებობის აშენების გეგმები და ბათუმში ტრამვაის მშენებლობა აღარავის გახსენებია.

ბ. სამახსოვრო წიგნაკი

როგორც აღვნიშნეთ, ივანე მესხმა მოამზადა და 1914 წელს ბათუმში გამოსცა 220-გვერდიანი „ბათუმის სათათბი-

როს ხმოსნების სამახსოვრო წიგნაკი,“ რომელიც იშვიათ ისტორიულ წყაროს მიეკუთვნება. მისი გაცნობით საშუალება გვეძლევა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობის ყველა დიდსა და მცირე მომენტებზე, დაწყებული სხდომების განრიგიდან, დათავრებული თვითმმართველობის 25-წლიანი მოღვაწეობის იუბილემდე. წიგნში პრაქტიკულად ასახულია მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქალაქში განვითარებული სახალხო-სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარე, მისი დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლები.

მიგვაჩნია, რომ ეს წიგნი მთლიანად უნდა ითარგმნოს ქართულად, რომელიც, შესაძლოა ჩვენი დღევანდელი საზოგადოების მაგალითადაც კი გამოდგეს. ამჯერად კი ჩვენი წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო მკითხველს დამატების სახით ვთავაზობთ ორ თავს ივანე მესხის წიგნიდან: 1. 1888-1915 წლებში ბათუმის თვითმმართველობის ხმოსანთა (დეპუტატთა) სიას და 2. ივანე მესხის თვითმმართველობაში მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით მის სახელზე მოსულ მილოცვებს.

ივანე მესხის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მდივნად (1888-1915 წ.წ.) მუშაობა მთლიანად დაემთხვა რუსეთის ცარიზმის ხელისუფლების ბატონობას. ამ ხნის მანძილზე ბათუმის სათათბიროში არჩეულ 171 ხმოსნიდან მხოლოდ 69 იყო ქართველი: ამათგან 12 – ქართველი მუსლიმანი, ე. ი. ადგილობრივი მკვიდრი.

ბათუმის ქალაქის სათათბიროში 1888-1915 წ.წ.

ხმოსწავლად არჩეულ პირთა სია*

I ოთხწლედის: 1888-1894 წწ

II ოთხწლედის: 1894-1898 წწ

III ოთხწლედის: 1898-1902 წწ

IV ოთხწლედის: 1902-1907 წწ

V ოთხწლედის: 1907-1911 წწ

VI ოთხწლედის: 1911-1915 წწ.

№№ რიგ.ზე	გვარი, სახელი და მამის სახელი	რომელ ოთხწლედში აირჩიეს					
		I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8
1	აბაშიძე ზია-ბეგ			+			
2	აბაშიძე სუსეინ-ბეგ	+					
3	აბაშიძე იბრაიმ-ბეგ	+					
4	აბაშიძე ფეხლი-ბეგ			+			
5	აკინიანი ს. ი.					+	
6	ალავერდოვი ა. რ.	+					
7	ანჯაფარიძე მ. ს.			+			
8	ანდრეევი ს. ა.				+		
9	არკადაკსი ა. ვ.						+
10	ასლან-ზადე ხასან-ეფენდი					+	+
11	ბარაკოვსკი ფ. ს.				+		
12	ბარათაშვილი დ. ი.		+	+			
13	ბარკალაია მ. ს.				+		
14	ბენლისი ი. ე.		+				
15	ბერძენიშვილი ე. ს.		+			+	+
16	ბეთანელი მ. ს.		+		+		

* სია შედგენილია რუსული ალფაბეტის მიხედვით (რ. ს.)

1	2	3	4	5	6	7	8
17	ბოგოსლოვსკი ე. ა.			+			
18	ბაიანი ი. ს.	+					
19	ბიკოვი დ. ი.	+	+				
20	ბილაუსკი ნ. ა.					+	+
21	ვაკიე ა. პ.		+	+			
22	ვანშეიდტი ა. ი.	+					
23	ვარშავსკი ი. მ.	+					
24	ვარშანიძე შუქრი-ეფენდი						+
25	ვერმიშევი ა. ა.						+
26	ვოლსკი გ. ი.		+	+			
27	გაბუნია დ. მ.					+	
28	გაიდებუროვი ი. ა.				+		
29	გედევანიშვილი ი. ზ.		+	+			
30	გოგიჯანოვი ა. ი.		+	+			
31	გოგოლაძე კ. ა.						+
32	გრიელსკი ვ. ფ.		+	+	+		
33	გრიგორიადი ს. ს.					+	+
34	გრიგორიანცი გ. ვ.						+
35	გუგუშვილი ა. ი.		+				
36	გუნდრიზერი რ. ფ.			+			
37	გურგენიძე ს. ა.*						+
38	დავითაია პ. ზ.	+					
39	დანიელოვი გ. ა.						+
40	დეკანოზოვი ა. დ.						+
41	დე-პოლინი ბ. რ.		+				
42	ჯაყელი თ. ვ.			+	+		
43	დიმიტრიადი ა. დ.		+	+	+	+	+
44	დუმბაძე ნ. ა.		+	+			
45	დუნინი ს. ზ.					+	+
46	ელიავა გ. ლ.		+	+	+	+	+
47	ეფრემიდი ნ. პ.	+					
48	ზაქარიანი პ. მ.					+	

1	2	3	4	5	6	7	8
49	ზაქარიანი ფ. ა.					+	
50	ზროდლოვსკი ს. ი.	+	+				
51	ივანოვი ი. ა.		+				
52	იმნაძე ა. ო.*						+
53	კაკაბაძე ი. დ.				+		
54	კანდელაკი დ. მ.					+	+
55	ყარა-აღა-ზადე ზ. გ.-ეფენდი	+					
56	კახიანი ი. მ.					+	+
57	კვიციანსკი ს. ი.					+	
58	კეჭაყმაძე ნ. ი.						+
59	ქეშიშ-ოღლი მ.	+					
60	ქიქოძე ლ. ს.			+	+	+	+
61	კოვალევი ვ. ა.	+					
62	კოვალენკო ნ. ს.						+
63	კონცელიძე ი. ა.					+	
64	კონგეტოვი გ. ე.	+	+				
65	კონხოევი ი. ი.	+					
66	კოიანდერი ა. ი.	+					
67	კრასნიცკი კ. ა.					+	+
68	კრინიცკი ე. მ.					+	
69	ყუბანეიშვილი გ. ი.		+				
70	ქურთოევი ი. ი.					+	
71	ქუთათელაძე ს. ლ.			+	+		
72	ლოპატო ვ. ა.		+				
73	ლომინაძე ი. კ.		+		+		
74	მავროპულო გ. დ.					+	+
75	მამედ-აღა-ზადე ო. ა.				+	+	
76	მაშულოვი ი. ა.	+					
77	მარტინოვსკი ფ. ა.						+
78	მასუმოვი გ. დ.	+					

*ვარსკვლავით აღნიშნული პირები არჩეულ იყვნენ კანდიდატებად მე-6 ოთხწლედში და შევიდნენ საათობიროში იმავე ოთხწლედში.

1	2	3	4	5	6	7	8
79	მაჭუტაძე (თავადი) დ. გ.			+	+		
80	მგელაძე კ. კ.		+				
81	მდივანი ს. გ.					+	+
82	მელქონიანი თ. გ.	+					
83	მელია ი. ა.						
84	მესხი ი. ს.		+				+
85	მირიმახოვი მ. მ.				+		
86	მიხაილიძე მ. ტ.		+	+		+	
87	მნაცაკანოვი ა. ა.				+		
88	მნდლიანცი ა. თ.					+	+
89	მჭედლიშვილი გ. ლ.	+					
90	მჭედლიშვილი ლ. ლ.	+		+			
91	მჭედლიშვილი პ. ლ.					+	
92	მურომოვი ი. გ.			+			
93	მუფტი-ზადე ყადირ-ეფენდი*				+	+	+
94	მხეიძე კ. ა.						+
95	მხეიძე ს. ი.		+				
96	ნაკაშიძე (თავადი) დ. გ.						+
97	ნაკაშიძე (თავადი) მ. მ.			+	+		+
98	ნაკაშიძე (თავადი) ნ. პ.				+		
99	ნეკლიუდოვი ა. ა.		+				
100	ნიკიტინი გ. პ.						+
101	ნიკოლაძე მ. ი.			+			
102	ოგანეზოვი ს. ა.	+					
103	ოგანეზოვი ი. ი.			+			
104	პანასევიჩი ი. რ.				+	+	+
105	პარონბეგოვი ი. ს.			+			
106	პალმი გ. ა.			+			
107	პასეკი ნ. ბ.	+					
108	პეტროსიანი ა. თ.						+
109	პეშკეროვი ბ. მ.			+			
110	პილოიანი ი. გ.					+	

1	2	3	4	5	6	7	8
111	პრიდოლუცკი ლ. ი.			+			
112	პოლსკი ი. მ.		+	+			
113	პუჩინინი კ. პ.					+	+
114	რადვილოვინი პ. ზ.				+		
115	რაკოვიცა გ. გ.					+	
116	რელიგიონი ფ. ა.	+					
117	როსტომ-აღა-ზადე ს. ა.	+					
118	რუხაძე ვ. დ.*					+	+
119	საბაშვილი ნ. ა.		+	+	+	+	+
120	საბახტარიშვილი ი. ბ.			+		+	+
121	საბაშვილი ს. ს.	+	+	+			
122	საზონოვი ი. დ.				+		
123	საიპოვი ნ. გ.*						+
124	სახნოვსკი ბ. ვ.					+	+
125	სევერინი კ. ა.	+	+	+			
126	სელიტერნიკოვი მ. ა.		+				
127	სკლიარევსკი ვ. ე.					+	
128	სიბირიაკოვი რ. მ.					+	
129	სიმეონიდი პ. ს.		+	+			
130	სიმონოვი ა. დ.		+				
131	სიმონოვი პ. დ.			+		+	+
132	სიმულოვი კ. პ.			+		+	
133	სოლორაშვილი გ. ს.					+	+
134	სტეპანოვი გ. ა.	+					
135	სტრელცოვი გ. ი.						+
136	სუხოლოლსკი ვ. კ.						+
137	თაყაიშვილი დ. ა.					+	
138	თარუმოვი ს. ს.			+	+		
139	ტერ-ასატუროვი ნ. ბ.	+					
140	ტოხუმოვი მ. ნ.	+					
141	ტრანცი ე. ი.						+
142	ტრიანტაფილიდესი ტ. პ.		+	+			

1	2	3	4	5	6	7	8
143	ტროფიმოვი ა. ტ.					+	+
144	ფელიაკოვი ი. ბ.						+
145	ხალვაში ისაკ-ეფენდი					+	
146	ხარაზიშვილი დ. ფ.	+					
147	ხაჩიკიანი ი. ო.					+	
148	ხითარიშვილი ი. მ.				+		
149	ხითარიშვილი-ბესტავაშვილი ზ. ს.						+
150	ხოჯამიროვი ა. ა.			+			
151	ხუდადოვი ი. მ.			+	+		
152	ჭანტურია ს. ბ.						+
153	ჩაუსოვი გ. ნ.						+
154	ჩილინგარიანი ა. ს.				+		+
155	ჩხაიძე ტ. ე.					+	+
156	ჩხეიძე კ. ს.			+			
157	ცატუროვი ა. ა.	+					
158	ცვიტლინგი მ. გ.	+					
159	წერეთელი (თავადი) ნ. ვ.				+		
160	ციმერმანი ა. ფ.	+					
161	ცინცაძე შ. ი.*						+
162	ცურინოვი ს. მ.		+		+		+
163	შადინოვი ი. ს.	+					
164	შარვაშიძე (თავადი) პ. ლ.		+				
165	შაშიკაშვილი რეჯეპ-ეფენდი				+		
166	შუტცი პ. კ.					+	
167	ელიავა გ. ლ.					+	+
168	ელიაშვილი ს. ს.					+	+
169	ენუქიძე ს. ზ.						+
170	ერგარდი ე. ფ.	+					
171	ერისთავი (თავადი) ნ. ბ.		+				

პირველი მოწვევის 36 ხმოსნიდან (1888 წ.) ამჟამად (1913) წ. ბათუმში ცხოვრობენ: ქეშიშ-ოღლი მ., მჭედლიშვილი გ. ლ., ტოხუშოვი მ. ნ., ცვიტლინგი მ. გ. და პასკი ნ. ბ. (ი. მესხის შენიშვნა).

ბათუმის სათათბიროს ხმოსნები



მიხეილ ბუთანელი
(1845–1908)



ბუთანოვი ა.ს.



კაპიტონ გოგოლაძე
(1879–1943)



გრიგოლ ელიავა
(1857–1925)



შუქრი ვარშანიძე
(1878–1962)



ლიონიძე ლ.გ.



კონდრატე მსეიძე
(1863–1926)



სვიმონ მდივანი
(1876–1937)



ბორის სახნოვსკი



გიორგი გურგენიძე
(1865–1951)



კარლო ჩხეიძე



ტიმოლეონ ტერიანტაფილიძესი
(1858–1908)



რევაზ შაშიკაშვილი
(?–1921)



ისაკ ხალვაში

გ) ბათუმის თავგადასავალი

ივანე მესხს, როგორც ქართული მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ გამოცდილ და აღიარებულ მოღვაწეს, საგანგებოდ ეწვივნენ ბათუმის სახელმწიფო მუხეუმის თანამშრომლები და თხოვეს დაეწერა მოგონება ბათუმის ცხოვრებაზე. ბათუმის საქალაქო მდივნად ცარიზმის დროინდელი საქმიანობა ივანე მესხს აღწერილი და გამოქვეყნებული აქვს ზემოთმოტანილ ვრცელ ნაშრომებში, ამიტომ მხცოვანმა მოღვაწემ მოგონება დაწერა ბათუმის ბოლოდროინდელ მოვლენებზე, როცა ქალაქში მყოფ ერთ ოკუპანტს მეორე ცვლიდა და ყოველი მათგანი ადგილობრივ მოსახლეობას ოქროს კოშკებს პირდებოდა. მოგონებაში ივანე მესხს ჩვეული სარკაზმით და შეიძლება ითქვას სკაბრეზული გამონათქმებიტაც გაშარქებული ჰყავს ოსმალეთის მუთესარიფი, რომელიც ზემოთქმული ოკუპანტების მსგავსად ცდილობდა თვალში ნაცარი შეეყარა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

მოგონებაში მოტანილია სხვა მრავალი საინტერესო ეპიზოდი, რომლის განსჯას მკითხველს ვანდობთ და მთლიანად ვთავაზობთ მოგონებას.

დანართი №2

ბათუმის თავგადასავალი

(მოგონებიდამ)

მე გახლავართ უკვე სამოც და თექვსმეტი წლისა, – რასაკვირველია, ეს არავეისთვის საინტერესო არ არის, – და აქედამ ოც და ხუთმეტი წელიწადი, ე. ი. საუკეთესო ხანა ჩემის სიცოცხლისა ბათომში გავატარე – იქ ვცხოვრობდი, იქ ვმსახურობდი ქალაქის იმ დროის თვითმმართველობაში.

უეჭველია, მაშასადამე, ბათუმის ყოველი თავგადასავალის ახლობელი მოწამე უნდა ვყოფილიყავ.

დიახაც, ამ დროს განმავლობაში მე ვყოფილვარ მოწამე ბათომის აღორძინებისა და დაქვითებისა, კიდევ აღორძინებისა და კიდევ დაქვითებისა.

დღეს მე მინდა ჩემი მოგონებანი ბათომზე დავიწყო და მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთს ამ გვარს, ჩვენთან მახლობელი დროის, ცვალებადზე ბათომის ცხოვრებაში, სახელდობრ ოსმალთა ჯარის მიერ იმის ოკუპაციაზე 1918 წ.

ბათომი თავისი გეოგრაფიული მოხაზულობით და ძველად ერთს საუკეთესო ბუნებრივი ნავთსაყუდართი ყოფილთვის იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას, ვინაითგან იგი წარმოადგენდა თვალსაჩინო სტრატეგიულ მდებარეობას და ამასთან დიდს, შედარებით, სავაჭრო ნავთსადგურ-ქალაქს შავი ზღვისპირა სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სხვა ქალაქთა შორის.

ძველი ისტორიის მოწმობით, ბათომის მაზრა ქალ. ბათომით შეადგენდა ერთს ნაწილს გურიის სამთავროსას და იმის ხელში ჩასაგდებად მუდამ ცილობა ჰქონიათ ურთიერთშორის ოსმალთა, სპარსელთა და ბიზანტიელთა, სანამ იგი ბოლოს მე-16 საუკუნეში (1564 წ.) არ დაიპყრო ოსმალეთმა.

იგივე ისტორია მოგვითხრობს, რომ ოსმალეთის ხელში ჩავარდნამ ბათომის მაზრის მკვიდრნი (კოლხიდელნი, ხალდიელნი, მეშხეები-მესხნი და სხვ.) ქრისტეს სარწმუნოების ამღიარებელნი ყოფილან.; მათ ჰქონიათ თავისი შესამჩნევი კულტურა, ძრიელ განვითარებული ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, ჩინებულად მომზადებული და შეიარაღებული საკუთარი ჯარი, რომელმაც რამდენიმე საუკუნეების განმავლობაში შესძლო თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა შეენარჩუნებია და სხვ. მაგრამ დაიპყრო იგი ოსმალეთმა

თუ არა, უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში, არსებული კულტურა ყოველ დარგში განადგურდა, სოფლები და ქალაქები უდაბნოს დაემსგავსნენ, მცხოვრებნი ოსმალთა სატრაპების ხელში და თითქოს გავერანდნენ, სარწმუნოება იცვალეს და სხვ.

დიახ, ასე იყო ძველად და თითქმის ასევე იყო 1878 წლამდე, როდესაც ბათომის მაზრა ქ. ბათომით, აგრეთვე ყარს-არდაგანი, ართვინი და სხვ., ბერლინის კონგრესის ხელშეკრულებით, შემოუერთეს რუსეთს,— თვით ამ კონგრესის დროსაც ბათომი კიდევ საცილობოს წარმოდგენდა. მაგ., ინგლისი სრულებით არ ეჭვობდა, რომ ბათომი მას არ ჩაუვარდებოდა ხელში. მოიგონეთ მარკ სოლსბერის იმდროინდელი ერთი ცირკულიარი, რომლითაც ის სხვათა შორის, იუწყებოდა „კონგრესის საბოლოო და არსებითი მუშაობა მაშინ გამოირკვევა, როდესაც ბოლოს ინგლისი წამოაყენებს მოლაპარაკების გარდამწყვეტ წინადადებას, რომ რუსეთმა ხელი უნდა აიღოს ბათომზეო.“

როგორც ზევით მოგახსენეთ, ინგლისი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა, — კონგრესმა ბათომიც რუსეთს არგუნა.

მაგრამ, განა დღესაც კი არ შეადგენს ბათომი „გემრიელ სანუკვარს“ ინგლისისათვის, თუ გინდ საფრანგეთისათვის და თუ გინდ კიდევ — „მეც ნახირ ნახირო“ — იტალიისათვის, ოსმალეთისათვის... სულ რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ზემო აღნიშნული პირველი სამი სახელმწიფო ერთი მეორეს ეჯიბრებოდა — რომელმა რამდენი ჯარი ჩავაყენოთ ბათომშიო ქალაქის ვითომდა „დასაცველადო.“

* * *

რუსეთის მთავრობამ იმ თავითვე მიაქცია დიდი ყურადღება ბათომის მოწყობას და გაშენებას. პირველყოფლისა შეუდგა ბათომის გარშემო ციხე-სიმაგრეების შენებას და მათ შეიარაღებას; ნავთსადგურის გარდაკეთებას და განდრმაგებას (თუმც გამოცდილნი მეზღვაურნი დღესაც სწივიან, რომ მუშაობამ ერთობ დააზარალო ბათომის ყოფილი ბუნებრივი ნავთსადგური); პირველ წელიწადებშივე რუსეთთან შემოერთებისა, ბათომი პორტო-ფრანკოთ იყო გამოცხადებული; ამას მოჰყვა რკინის გზის მთავარი მაგისტრალის – ბაქო-ბათომის შეერთება და ამ ორმა ფაქტორმა ვაჭრობა-მრეწველობა ქალაქისა გააჩაღა, ვინაითგან თითქმის მთელი საქონელი ბათომის ნავთსადგურით გაჰქონდათ და შემოჰქონდათ; ნავთის ქარხნები თუ სხვა ფაბრიკები ამუშავდნენ; მცხოვრებთა რიცხვმა 5-10 წ. განმავლობაში ერთი ათად და ოცად იმატა. ერთის სიტყვით ბათომი, რომელიც უწინ „მეთევზეთა დიდს სოფელს“ წარმოადგენდა, 2 000 სული მცხოვრებით, გაიზრდა და უკვე 20-30 000 ს. მცხოვრებს ანგარიშობდა. (უკანასკნელი ომის დროს ბათომში იყო 40 000 ს. მცხოვრები, ომის შემდეგ კი 60-80 000 სულზე მეტი).

რასაკვირველია, ბათომის ყოველის მხრით აღორძინებას ხელი შეუწყო მალე ქალაქის თვითმმართველობის შემოღებამ (1888 წ.) პირველ ყოველისა თვითმმართველობა შეუდგა ხალხის განათლების საქმის მოწყობას. ქალაქის ყოველ მკვიდრთათვის ცალკე პირველდაწყებითი სკოლები გახსნა (რუსული, ქართული, სომხური, ბერძნული); გახსნა და საკუთრივ ამათთვის აგებულ შენობებში მოათავსა, ორი გიმნაზია – ქალებისა და ვაჟებისათვის და ორი მაღალი პირველდაწყებითი სასწავლებელი, აგრეთვე ცალკე ვაჟებისა და ქალებისათვის; ქუჩები გააგანიერა და ახლად მო-

ფინა ზღვის რიყის ქვით; ტროტუარები ასვალტით შემოსა; ელექტრონის სინათლე გააჩადა; წყალი გამოიყვანა, ქალაქში და ქალაქს გარეთ ტბები ამოაშრო. მშვენიერი ბაღი ძვირფასი მცენარეებით და ზღვისპირა ბუღვარი გააშენა და სხ. და სხ. აქვე არ შემიძლია არ მოვისხენიო რომ 1917 წლამდე ქალაქის სათავეში მდგომ თვით-მმართველობამ მზა-მზარეული დაუტოვა და გადასცა რევოლუციონერ თვითმმართველობას (მენშევიკებს) შემდეგი პროექტები ბათომის აღმშენებლობითი მუშაობისათვის: კანალიზაციის, გიდრაველიკური სტანციისა, კურზალისა, გიდროპატიული აბანოსა, ტრამვაის და სხ. ყველა ეს პროექტები უკვე სისრულეში იქნებოდნენ მოყვანილი, რომ მთავრობას ნება დაერთო ქალაქისათვის საჭირო სესხის აღებაზე.

ასე მოწყობილი, გამშვენიერებული და ევროპულ ქალაქად ქცეული ბათომი დახვდათ ჯერ მენშევიკებს, რომელნიც რუსეთის დიდი რევოლუციის დროს დაეპატრონენ ქალაქს და შემდეგ 1918 წ. 1 აპრილიდან – ოსმალეთის საოკუპაციო ჯარს, რომელთაც უკვე ბათომზე მომდგარი მენშევიკები რამდენიმე დღე ჯერ ზარბაზნებით უმასპინძლდებოდნენ და შემდეგ პურ-მარილით შეხვდნენ – „კეთილ იყოს თქვენი მობრძანებაო.“

საოკუპაციო ხელისუფლება, რაგინდ განათლებული და დაწინაურებული სახელმწიფოსგან არ უნდა სწარმოებდეს იგი, ერთი ყოფილა – მკაცრი და უღმობელი ოკუპაციით მითვისებული ადგილისა და იმის მკვიდრთათვის, დასამტკიცებლად ამის, აიღეთ თუ გინდ დღევანდელი ოკუპაციის წარმოება რურის მაზრისა საფრანგეთისაგან. – იგივე სიმკაცრე, უღმობლობა და დაუზოგველობა ყოველ დარგში.

მიუხედავად ამისა, ვალად ვრაცხ ჩემს თავს ესლავე გავაცხადო, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ, როგორც ქვევით დაინახავთ, თუმც ბევრი არა კულტურული

რამ ჩაიდინა ბათომსა და მისს მახრამში, მაგრამ ეს ხელისუფლება გაცილებით შორს იყო იმ უხეშო, მკაცრ და უღმობელ მართვა გამგეობისაგან, რომელსაც აქვე აწარმოებდა „განათლებული ზღვისმცურავთა“ საოკუპაციო ხელისუფლება* წელიწად ნახევარი მეტი – 1918 წ. 18 დეკემბერიდან ვიდრე 1920 წ. 7-ივლისამდე.



ინგლისელი ჯარისკაცები ბათუმში

საოკუპაციო ხელისუფლებამ ასე მოაწყო მახრისა და ქალაქის მართვა-გამგეობა ყოველგან ადმინისტრაციული, თუ სამსაჯულო საქმეების საწარმოებლად ჩააყენა მდაბალი ხარისხის თანამდებობის პირნი, უმთავრესად სამხედრო წოდებიდან. ესენი, რასაკვირველია, ყოველთვის ხელმძღვან-

* იგულისხმებიან ინგლისელები. რ. ს.

ელობდენ პირადი შეხედულებით და ნებისყოფით, თითქოს მაღალი თანამდებობის გამგე პირი არც კი არსებობდა მათთვის, თუ გინდ საოკუპაციო ჯარის უფროსი ან გუბერნატორი – მუტასსხერიფი, თუმც არც ეს უკანასკნელნი ხელმძღვანელობდენ ხშირად ცენტრალური მთავრობის (სტამბოლში) განკარგულებით და ფირმანებით.

რა ლაპარაკი უნდა, ამისთანა თანამდებობის პირთა მართვა გამგეობის დროს მკვიდრთა მდგომარეობა ერთობ წარმოუდგენელი შეიქნა, ვინაიდან ამათ იმ თავითვე დააწვათ სხვა და სხვა გვარი გარდასახადები და ბეგარა, – როგორც, მაგ. „საომო“ თუ სხვა გვარი საქონლის ზიდვა, გზებზე მუშაობა, ადგილობრივი ჭირნახულის, თუ საზრდოს მოწოდება ჯარებისათვის და სხვ. და სხვ. ამავე დროს გამვლელი ჯარები ანადგურებდნენ სოფლებს, ჰკლავდნენ და სჭამდნენ ოთხფეხს საქონელს, ძირზე აფუჭებდნენ წლიურ მოსავალს, ჯერ კიდევ დაუმწიფებელ ხილს და სხვ.

მცხოვრებთა მდგომარეობა რომ უფრო გაემწვავებინათ, მთავრობამ დააპირა სამხედრო ბეგარის შემოღება, მაგრამ მკვიდრნი, როგორც არა ჩვეულნი ამგვარი ბეგარისა, ერთობ მკაცრად შეეგებენ მთავრობის სურვილს, – დაემუქრენ, რომ ეს მთელს მაზრაში მღელვარებას გამოიწვევს, რომ მცხოვრებნი მთებს შეეხიზნებიან – ტყეთ გავლენ... ამის მიმადლო მთავრობის წადილი „უკეთესს მერმისამდინ“ იყო გადადებული.

ასეთივე ბოლო ჰქონდა მთავრობისაგან განზრახულს რეფერენდუმს ბრესტის ხელშეკრულების თანახმად. – რეფერენდუმი სჭიროდათ იმისთვის, რომ გამოერკვიათ თუ ოკუპაციაში მყოფი მკვიდრნი ვისი ან რომელი ორიენტაციის არიან – საქართველოსი, თუ ოსმალეთის. ამ რეფერენდუმმა, რომელიც ასკერების ზედამხედველობით მოხდა, სასაცილოდ ჩაიარა: – მთავრობამ შეატყო, რომ სასურველი შედეგი არ ჩანდა რეფერენდუმისაგან და შეაჩერა იგი. იმ

დროის მუტასსერიფს (გუბერნატორს) სტამბოლიდამ საყვედრიც მოუვიდა რეფერენდუმის ასე მოუმზადებლად და უხეიროთ ჩატარებისათვის. ამისათვის მთელი მაზრის სოფლები სტამბოლიდამ გამოგზავნილი ემისსარებით იყვნენ სავსე, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მკვიდრთა მომზადება მეორე რეფერენდუმის მოსახდენად, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ვითომც ინგლისისა და საფრანგეთის მიხედვის თანდასწრებით... მაგრამ ეს აღარ დასცალდათ...

ასე იყო მაზრაში. რა ხდებოდა ქალაქში.

მარტის დამლევე რიცხვებში, როდესაც ხმა გავრცელდა, რომ ოსმალების ჯარი ბათომს უახლოვდებო, ქალაქი თითქმის დაიცალა მცხოვრებლებისაგან, – ვისაც შეეძლო გასვლა, მიდიოდა, მიჰქონდა თუ რამ ძვირფასი გააჩნდა, სახლებს და ბინებს თავის მოწყობილობით ღვთის ანაბრათ ტოვებდა. ამისთანა სახლები და ბინები იცარცვებოდა უმოწყალოდ, თან ნადავლი ან ბაზარზე გამოჰქონდათ გასაყიდად, ან კიდევ სტამბოლში იგზავნებოდა. ნაციონალური საბჭოების ან ქალაქის თვითმმართველობის გამოქომაგება ვერაფერს ვერ პატიობდა. ხშირი შემთხვევა იყო, რომ პატრონი თავის ნივთებს, თუ სახლის ავეჯეულობას თავითვე ყიდულობდა ბაზარში და ვერც კი გაემხილა, რომ ესა და ეს ნივთი მისია, მისი ბინიდან არის გატანილი... სკოლები დასცალეს პარტებით და სულ სტამბოლში გაზიდეს, რომ იქ იმ ხანებში ცეცხლისაგან განადგურებული სკოლების ავეჯეულობა შეეფსოთ. ამ ნაირადვე მისაკუთრეს რამდენიმე მილიონად ღირებული საქონელი ქალაქის და ერობის საბჭოების, სამხედრო რევოლუციონურის, თუ სხვა ორგანიზაციებისაგან ქალაქის თვითმმართველობისადმი გადმოცემული, რუსეთის დროებითი მთავრობის განკარგულებით. ამ საქონელს საოკუპაციო ხელისუფლება სთვლიდა, როგორც ომის დროს ნადავლს. არ დატოვეს უყურადღებოთ ციხე-სიმაგრეებიც, საიდანაც გაზიდეს სტამბოლში ზარბა-

ზნები, ყუმბარები, თუ სხვა საომო იარაღები და ნივთები. გაჰქონდათ აგრეთვე ბაზრიდამ, თუ საწყობებიდამ ფქვილი, შაქარი, ნავთი და ნავთის სხვა და სხვა ზეთები, მაზუტი, მაშინ, როდესაც ამათ მაგიერ არაფერი არ შემოჰქონდათ.

ამისთანა მდგომარეობამ შეჰქმნა სხვა და სხვა გვარი სპეკულიანტები და ფასების ძალზე მომატება ყველაფერზე, განსაკუთრებით, ხორაგოულობაზე, ვინაიდან ბათომის მახლობელ მაზრებიდამ არაფერი არ შემოდიოდა. თვით ქალაქში თითქმის სრულიად მოდუნდა სიცოცხლე, – ერთს ხანს ნება დართული იყო საღამოს 7 საათამდინ ქალაქში სიარული, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ, თვითმართველობის თხოვნით, ნება გამოვიდა ღამის 11 საათამდე. ქალაქში შემოსვლა ერთობ ძნელი შეიქნა; გასვლა ქალაქიდან კი ვითომ ცოტათი შეღავათიანი იყო, მაგრამ ამის ნების აღებასაც თითო თვეობით წვალობდნენ. რკინის გზის მიმოსვლა სამჯერ იყო დანიშნული კვირაში, ფოჩტა და ტელეგრაფი მხოლოდ საქართველოს სამზღვრამდე, ნატანებამდინ მუშაობდა და ტელეგრაფის მარტო თათრულს ენაზე ღებულობდნენ.

ბევრს გახიზნულს ქალაქიდან სურდა დაბრუნებულყო, რომ ღვთის ანაბარად დაგდებულ მამულისათვის ეპატრონებია, მაგრამ ერთობ ძნელი იყო, ვინაიდან საოკუპაციო ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ახალი რეფერენდუმისათვის, წინააღმდეგი ელემენტი ცხოვრებლებისა არ გაეძლიერებია ქალაქში მაინც.

თვითმართველობამ მუტასსერიფის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ ნება დაერთოთ იმ სასწავლებლების წარმოება, რომელნიც ოსმალების შემოსვლამდე იყვნენ. გამოვიდა ნებართვა მარტო ხუთი პირველდაწყებითი სას-

წავლებლის გახსნისა – ქართულის, რუსულის, ბერძნულის, ებრაელებისათვის. მეხუთე სკოლა იყო მუსლიმანებისათვის, რომელიც დაჯინებით მოითხოვა მუტასსერიფმა, ვინაიდგან წინედ განსაკუთრებითი სკოლა მუსლიმანებისათვის ქალაქს არ ჰქონდა, – ჰქონდა მხოლოდ ამათოვის განყოფილება ქართულს სკოლაში მოთავსებული. ამ ნებართვითაც ქალაქმა ვერ ისარგებლა ოქტომბერის თვემდინ, სანამ ხელისუფლებამ არ დასცალა სკოლის შენობები, რომელნიც დაკავებულნი იყვნენ მათი სხვა და სხვა დაწესებულებებით. გიმნაზიების გახსნის თაობაზე მუტასსერიფი შეეკითხა ცენტრალურ სამართველოს სტამბოლში, საიდანაც მოვიდა ნება გიმნაზიელების მხოლოდ გრუპპებათ (ჯგუფებად) მეცადინეობისა.

საოკუპაციო ხელისუფლებამ, შემოსვლისთანავე ბათომში ნება დართო, რომ ოფიციალური გაზეთი გაცემულიყო თათრულს და რუსულ ენაზე. რამდენიმე კვირის შემდეგ ეს გაზეთი დაიხურა და ხელმეორედ ამის თაობაზე შუამდგომლობა არავის აღუძრავს. უკანასკნელ ხანებში, მუტასსერიფის განკარგულებით და იმის ცენზურის ქვეშ, გამოვიდა ყოველდღიური ტელეგრამები, რომლებშიაც პოლიტიკური ცნობები იბეჭდებოდა თავისებურად შეზავებული და მეტ ნაწილ დაგვიანებული.

თვითმართველობაზე ახირებული წარმოდგენა ჰქონდა საოკუპაციო ხელისუფლებას. ის არამც თუ ერეოდა თვითმმართველობის ყოველგვარ საქმეში და განკარგულებაში, წარმოიდგინეთ, უბრალო, მდაბალი ხარისხის მოხელეს მოწვევაც არ შეიძლებოდა ადმინისტრაციის ნება-დაურთვე-

ლად. ქალაქის თავს და გამგეობის წევრებს მუტასსერიფი ისე უყურებდა, როგორც თავის საგანგებო მინდობილებისათვის დაქირავებულ მოხელეს. მის დასასაბუთებლად მოვიყვან ერთს ახირებულ შემთხვევას.



ენვერ-ფაშა

ამ ხანებში ბათომს ესტუმრა **ენვერ-ფაშა**. მუტასსერიფმა მოიხმო ქალაქის თავი (**კ. ბ. საბახტარაშვილი**) და დაავალა დაუყოვნებლივ მოეწვია საბჭოს საგანგებო კრება, რომ ენვერ ფაშასთვის ქალაქს ბანკეტი გაემართა. წინააღმდეგობა

მოუხერხებელი იყო, იმ მოსაზრებითაც კი, რომ ქალაქში არაფერი იმისანა ხორაგოულობა არ იშოვებოდა, რომ ბანკეტი სასურველი და სტუმრის შესაფერი ყოფილიყო.

– „ეგ მოსაზრება ჩემთვის სავალდებულო არ არის და რა საშვალეობაც არ უნდა დაგიჯდესთ, ბანკეტი უნდა იქნეს შესამჩნევი,“ – მიუგო ქალაქის თავს მუტასსერიფმა და ორი თითი გამოუწვდინა გამოსამშვიდობელი.

საბჭოს არაჩვეულებრივ სხდომაზე შეიქნა დიდი ბაასი ამის თაობაზე, ვინაიდან კლუბის ბუფეტის მოიჯარადრე, რომელსაც დააკისრეს ბანკეტის გამართვა, განთავისუფლებას იხვერწებოდა – ქალაქში არაფერი არ იშოვება და გარედამაც რასმეს მოტანა შეუძლებელიაო.

ამ ცხარე ბაასის დროს, ხმოსნებმა ფანჯრიდამ თვალი მოჰკრეს, რომ ერთი ინდაური და ერთი მამალი დასეირნობენ ქუჩაზე ქალაქის სახლის წინ. ქალაქის თავმა და ხმოსანმა ბინიატ-ოღლიმ მიატოვეს სხდომა, გამოეკიდნენ ამ ფრინველებს, დაიჭირეს ისინი, იქვე გადასცეს ბუფეტის

მოიჯარადრეს და თან შეუკვეთეს, რომ ამგვარივე საშვა-
ლებით ეშოვნა სხვა გვარი ხორაგოულობა ბანკეტისათვის.

მუტასსერიფს რომ მოახსენეს ეს შემთხვევა, თურმე
ბევრი იცინა და ქალაქის თავს ქება და მადლობა შემოუთ-
ვალა ასეთი მარჯვე ნადირობისათვის.

ღომ უფრო შეევიწროებიათ მცხოვრებთა მდგომარეო-
ბა, მუტასსერიფმა ბრძანება დაუგზავნა ქალაქის ნოტარ-
იუსებს, რომ უძრავი მამულების ყიდვა-გაყიდვის შესახებ
არაფერი გვარი ოქმი არ შეესრულებინათ... მემამულეებმა
აღძრეს, თვითმმართველობის დახმარებით, ამის შესახებ
ცენტრალურ მთავრობასთან სტამბოლში შუამდგომლობა.
დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, სტამბოლიდამ მუტასერიფს
მოუვიდა ფირმანი, რომ 1918 წლის დამლევაამდე, ბათომ-
ში და მისს მაზრაში ძალაში უნდა იქნენ ის კანონები
და მთავრობის განკარგულებები, რომელნიც ოკუპაციის
წინედ სწარმოებდნენ.

დასასრულს მოვიყვან კიდევ ერთი ბანკეტის ერთს სა-
საცილო ამბავს:

მუტასსერიფების გამოცვლა, შედარებით, სწირად ხდე-
ბოდა: ცხრა თვეს გაგრძელდა ოსმალთა მიერ ოკუპაცია
და ამ დროს განმავლობაში სამი თუ ოთხი მუტასსერი-
ფი გამოიცვალა. რასაკვირველია, როგორც მიმავალს, ისე
მომავალ მუტასსერიფს ქალაქის მართველობა ბანკეტებს
უმართავდა. ერთ ამისთანა ბანკეტზე ახლად მოსულმა მუ-
ტასსერიფმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც აღნიშნა, რომ
– მართალია, ბათომი კარგად გაშენებული და შენახული
ქალაქი ყოფილაო, მაგრამ დარწმუნდითო, რომ „ჩემი“ მთავ-
რობა ერთი ასად გაამშვენიერებს და გაამდიდრებს თქვენს
ქალაქსაო. ბანკეტზე დამსწრე პირმა, რომელიც ქალაქის

საქმეებთან და ცხოვრებასთან ახლო იმყოფებოდა, მოახსენა მუტასსერიუსს შემდეგი არაკი: თურმე ერთს ფეხ-მძიძე გურულ ქალს გაუარშიყდა ასე 40-50 წლის კაცი. დიდი ხნის არშიყობისა და ვედრების შემდეგ ქალი დანებდა მაგრამ, ვაი სირცხვილო. არშიყი რამდენი არ ეწვალა და აწვალა ქალი, მაინც თავის გულის წადილს ვერ ეწია... წვალებაში რომ არის, ქალი ამოსძახებს:

– შენ, ჩემო ბიძია, როგორც გატყობ, ვერაფერს ვერ მოახერხებ და შენს ღმერთს მიამადლე, თავი დამანებე, თუ არა სხვის გაკეთებულსაც გამომიჭყლეტო“...

ეს იყო ქართულად ნათქვამი და დიდი სიცილი გამოიწვია ბანკეტზე დამსწრე საზოგადოებაში. მუტასსერიუმს სთხოვა ქალაქის თავს (მოქ. საბახტარაშვილს) ფრანგულად გადაეთარგმნა ეს ნათქვამი... მაგრამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად თარჯიმანმა სულ სხვა სასაცილო ამბავი უთხრა მუტასსარიუსს.

მართლაც, ამათგან ჩვენი ქალაქი არაფერს ახალს არ მოელოდა, ოღონდ დაცული და შენახული ყოფილიყო ის, რაც მათ მოსვლამდინ იყო გაკეთებული...

18-ს დეკემბერს 1918წ. ოსმალეთის საოკუპაციო ჯარი გავიდა ქალაქიდან და მახრიდამ. ამ დღეს შემობრძანდნენ ინგლისელები... მაგრამ ამაზე შემდეგ.

ივ. მესხი

1912–1925 წ.

ქ. თბილისი

ივანე მესხი – ჟურნალისტი

ქართული აზროვნების ისტორიაში მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ივანე მესხმა საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა, როგორც ჟურნალისტი. ამ სფეროში მის საქმიანობას დიდხანს არავინ შეხებია. 1983-87 წლებში გამოვიდა პროფ. ალექსანდრე კალანდაძის ხუთტომეული, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, სადაც საფუძვლიანად გაშუქებულია ივანე მესხის თითქმის ყველა პუბლიკაცია და მისი აქტიური თანამშრომლობა ქართულ პრესაში. განსაკუთრებული ადგილი ამ მხრივ უკავია გაზეთ „დროება“-სა და ჟურნალ „კრებულს“. 1871 წელს ივანე მესხი ამ გამოცემების მთავარი წარმომადგენელი იყო ქუთაისში, ამიტომაც „კრებული“-ს პირველსავე სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: „ხელმოწერა მიიღება ივანე მესხთან სილაზე.“

ქართულ პრესაში ივანე მესხი თანამშრომლობდა საზღვარგარეთ ყოფნის დროსაც. პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მწვავე, საზოგადოებრივ მოვლენებს, სოციალურ წინააღმდეგობებს, სასიცოცხლო მოთხოვნებიებს და სხვა საკითხებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იმდროინდელი ქართველი მოსახლეობის ხვედრი იყო.

ივანე მესხს აშფოთებს ქართველი გლეხის სრული უუფლებობა, სიღატაკე, გაუნათლებლობა და სოციალური დევნა. „ისინი წლზე ფეხს იდგამენ, რათა გამოკვებონ „კეთილშობილები.“ მათ გლეხები უმუშავებენ მიწას, ისინი კი, იმის მეტს არაფერს აკეთებენ, რომ შემოსავალს კრეფენ მამულებიდან. მათ ისიც კი არ სურთ, რომ ახლადგახსნილ სკოლაში მათი შვილი „გამურული გლეხის ბიჭს“ ამოუჯინონ გვერდში.“⁸²

„თემის შესაბამისად მრავალფეროვანი და ზუსტად გამიზნულია ავტორის გამომსახველობითი საშუალებან-

იც; საქმიანი რეპორტაჟი, აღწერითი თხრობა ალაგ-ალაგ გაცოცხლებულია ცხოვრებიდან ამოტანილი დიალოგებით, გლახური გამონათქვამებით, ანდაზებით, ირონიული და სატირული კილოკავით, მიხვეუღ-მოხვეუღი ქარაგმით, ზოგჯერაც გამომწვევი რეპლიკით“ – ასე აფასებს ივანე მესხის ჟურნალისტურ საქმიანობას აღ. კალანდაძე და ამ სფეროში მის შემოქმედებას მომავალზე მწარედ ჩაფიქრებული ჟამთააღმწერლის მიერ შექმნილ მატრიანეს უწოდებს.⁸³

ციურისში გადასული ივანე მესხი, როგორც ვთქვით, საზოგადოება „უღელი“-ს დაარსებას ჩაუდგა სათავეში და იყო მისი ერთ-ერთი წარმართველი ძალა. სწორედ ივანე მესხმა გააცნო ქართველ საზოგადოებას „უღელი“-ს დაარსების ძირითადი მიზნები და ამოცანები: „ქართველი სტუდენტები... ყოველ მხრით დაბრკოლებას გრძნობენ და შევიწროებულს მდგომარეობაში ვარდებიან, ამათ ვერ დაუმსახურებიათ ის სანატრელი დახმარება სამშობლოდან, რომელსაც ასე ძრიელ საჭიროებენ“... ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ივანე მესხის აზრით, ადგილზევე, თვით სტუდენტებმა უნდა გამონახონ ძალები, რათა შეიმსუბუქონ მძიმე სტუდენტური ყოფა; ავტორი თვლის, რომ „აუცილებელია ურთიერთდახსლოება, ამიტომ ციურისის ქართველებმა გადაწყვიტეს, დაეარსებინათ წრე, რომელშიც საზოგადოდ საზღვარგარეთ მყოფ ყველა ქართველსაც უნდა მიეღო მონაწილეობა.“

შვეიცარიიდან გამოგზავნილ სტატიებს შორის განსაკუთრებულია, „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში,“ რომელსაც ქართველ საზოგადოებრიობაში კარგი გამოხმაურება მოჰყვა. ივანეს განსაკუთრებით მოსწონს შვეიცარიაში დანერგილი თავისუფალი აღზრდის მეთოდები, ბავშვებისა და მშობლების, აგრეთვე მოსწავლეებისა და პედაგოგების ურთიერთობის წესები. თუ ბავშვი სკოლაზე გულს იცრუებს, ამის მიზეზს მარტო „სკოლის გარეთ მის ცხოვრებაში კი არ

უნდა ვეძებდეთ, არამედ თვით სკოლაში და ამ უკანასკნელის სწავლის მსვლელობაში“ – სწერს ი. მესხი. მას მიაჩნია, რომ გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას თანაბარი მნიშვნელობა აქვს: „რათ ვარგა მარტო თავი გქონდეს განათლებული, თუ კი ამასთან გულისც არ გინათებს და როგორც კაცი, არ ვარგინარ“-ო, ამბობს იგი და მართლაც რაოდენ ძვირფასი იყო იმდროინდელ, დამონებულ-დაჩაგრული, რწმენა და სახელმწიფოებრიობაწართმეული საქართველოსათვის ამგვარი გულგანათებული თაობა.

ივანე მესხი თავის წერილებში ეხება აგრეთვე სასწავლო პროგრამებს და საგნების სწავლების მეთოდებს, ამასთან ერთად დიდ უპირატესობას ანიჭებს კლასგარეშე მუშაობას, ექსკურსიებს, თავისუფალ ლექციებს და ა. შ.

ქართულ პრესაში საზღვარგარეთული მაგალითებით გაჯერებული მასალების გამოქვეყნებით, რასაც უპირველესად მხარს უჭერდა და ამისათვის აქეზებდა კიდევ გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი, ქართველმა მკითხველმა ცოცხლად გაიცნო დემოკრატია და ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების მიმართ გაუძლიერდა კრიტიკული დამოკიდებულება. ყოველივე ეს თავის მხრივ აღვივებდა ცარიზმის მიერ დამკვიდრებული რეჟიმის, ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობას.

საყურადღებოა, რომ ასეთი პათოსით დაწერილი სტატიების გამოქვეყნებას წინ ელობებოდა იმპერიის ცენზურა, რომელსაც ერთი მისთვის მიუღებელი ფრაზის გამო უფლება ჰქონდა გაზეთის გამოსვლა შეეჩერებინა და რედაქცია დაეხურა. ამიტომ ჩვენი შევიცარიელი კორესპონდენტები იძულებულნი იყვნენ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები შეემოსათ ქვეყნის ღირსშესანიშნაობების, თვალწარმტაცი ბუნების, ზნე-ჩვეულებების, დღესასწაულებების აღწერით, ადგილობრივ მოაზროვნეთა სიტყვებითა და ციტატებით.



ციურისი

ასეთ შეფარულ სტატიას შეიძლება მივაკუთვნოთ შვეიცარიული ხალხური გართობების („ფურების ტარება“ და „ექესი ზარის ხმა“) აღწერა. მათი უმტკივნეულო დეტალების განხილვის შემდეგ, რაზეც ავტორი ცდილობს ცენზორის ყურადღების მიქცევას, საუბარია ამ გართობების წარმოშობის მიზეზებზე, რითაც ხალხმა სამარადისოდ უკვდავყო თავისი გამარჯვება უსამართლობასა და ძალმომრეობაზე.

ანალოგიურია სამხედროთა იერარქიული ურთიერთობის წესი. ივანე მესხი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ შვეიცარიაში სალდათები და ოფიცრები ერთად სვამენ ლუდს და ერთად საუბრობენ პოლიტიკაზე. ამის თქმა, მით უმეტეს მისი გამოქვეყნება ცარიზმის სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის პირობებში, მართლაც რომ გმირობა იყო, მაგრამ ძმები: ავტორი და რედაქტორი, მზად იყვნენ დანისპირზე ევლოთ, ოღონდ ქართველი საზოგადოებრიობა გამოეფხიზლებინათ და მასში

ეროვნული თავმოყვარეობა, თავისუფლებისადმი სწრაფვა გაედვივებინათ.

ივანე მესხს არ ავიწყდება ჩვენი მირზოევის ფაბრიკა, იქ გამეფებული ჩაგვრა და სურს იგი შეადაროს შვეიცარიის მექანიკურ ფაბრიკას. მათ შორის განსხვავება ცასა და დედამიწას ედრება: „ფაბრიკაში შესვლა და პირობების გაგება ყველას შეუძლია, ასე, რომ არა ჰგავს მირზოევის ფაბრიკას, სადაც ახლოსაც არავის აჭაჭანებენ. თითქმის მთელი საათნახევრის განმავლობაში მე და ჩემი მოხუცი ჩიჩერონე (რომელიც ყველაფერს დაწვრილებით მიხსნიდა),* ხელფასი აქ ორჯერ თუ სამჯერ უფრო მეტია, სამუშაო დროის ხანგრძლივობა კი – ნაკლები.“ ადვილად წარმოსადგენია ამ რამდენიმე ფრაზის წაკითხვა რაოდენ დიდ გავლენას მოახდენდა თბილისელი მუშების შეგნებაზე და ხელს შეუწყობდა მათს გათვითცნობიერებას.

როგორც ცნობილია, ქართველი სტუდენტები ევროპაში (შვეიცარიაში) მოხვდნენ პარიზის კომუნის დროს, როცა ვერსალელი ჯალათები სასტიკად უსწორდებოდნენ კომუნარებს და როცა ამავე დროს გაჩაღებული იყო საფრანგეთ-პრუსიის ომი. ისინი ამ მოვლენების შუაგულში აღმოჩნდნენ და თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს კიდევ ფრანგი ხალხისა და კომუნარებისადმი, თანაუგრძნობდნენ მათ და სასტიკად გმობდნენ გერმანელ ომის გამჩაღებლებს და ფრანგი ხალხის დამსჯელებს.

საყურადღებოა ივანე მესხის მიერ შვეიცარიასა და გერმანიას შორის არსებული განსხვავების შეფასება. იგი ოპერაციის შემდეგ სამკურნალოდ და ჯანმრთელობის აღსადგენად გერმანიაში (კროიცნახში) წავიდა და საკუ-

* მისი ვინაობა უცნობია, რ. ს.

თარი თვალთ იხილა „რაოდენ ბევრი სიმშვენიერე აქვს შვეიცარიას,“ რომელთან დაშორება ისევე გამიჭირდა, როგორც საქართველოსთან გამომშვიდობებაო. პრუსიაში მას დახვდა „სამხედროთა ეპოლეტების კრიალი, ხმლების რაჩხა-რუჩხი, თოფის წამლის სუნი.“ არათუ სამხედროებს, ბავშვების სათამაშოებს, საყოფაცხოვრებო ნივთებსაც კი აჩნიათ ომის სიმბოლოთა კვალიო – წერს ივანე მესხი.⁸⁴


საქართველოში დაბრუნებული ივანე მესხი კვლავ ქართული პრესით სულდგმულობს, ეხმარება სერგეი მესხს „დროების“ მასალების მოზიდვა-შერჩევაში, გაზეთის გავრცელებაში და იმ დიდი მტრის მოგერიებაში, რომელიც ცენზორის სახით მაჯღაჯუნასავით აწვა კისერზე მთელს ქართულ რედაქციებსა და გამომცემლობებს.

„სამშობლოს სიყვარული“ ჩვენი აზრით დაიწერა შვეიცარიაში მიღებული შთაბეჭდილებების ფონზე, თუმცა იგი ავტორმა თბილისში ჩამოიტანა და გამოაქვეყნა. ამ ფელეტონში ივანე მესხი ხაზგასმით აღნიშნავს სხვადასხვა ხალხის წარსულის მაგალითებს და მათზე დრამად ჩაფიქრებით ცდილობს ნათელი გახადოს საკუთარი ქვეყნის ესოდენ დიდი ჩამორჩენის მიზეზები და მკითხველს შესთავაზოს მათი დაძლევის გზები.

ივანე მესხი – მთარბმნელი

ქართველმა მკითხველმა ივანე მესხი გაიცნო მისი თარგმანებით. ცხრაშეტი წლის ყმაწვილმა ხელი მოჰკიდა მისი დროისათვის ყველაზე ცნობილი რუსი მწერლების ცნობილ ნაწარმოებებს, რომლებიც მაშინ ძალზე პოპულარული იყო და შეესატყვისებოდა მოსახლეობის დაბალი

ფუნების გულისთქმას. მართალია, თარგმანები ბევრი არაა, მაგრამ მათი გაცნობით წარმოდგენა გვექმნება გიმნაზიელი ახალგაზრდის იდეურად ჩამოყალიბების პროცესზე და მის სწრაფვაზე თანამემამულეებს გააცნოს თავისი ეპოქის მოწინავე აზრები.



ნიკოლოზ გოგოლი
(1809–1852)

შემთხვევითი არაა, რომ თავისი ქვეყნისა და ხალხის სიდუხჭირით, გაბატონებული უკანონობით აფორიაქებულმა ჭაბუკმა სათარგმნელად აირჩია ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის და **ნ. გოგოლის** საუკეთესო ტრადიციათა გამგრძელებელი **ნიკოლოზ ნეკრასოვი** (1821-1877) და მისი ლექსი „კარგი ზნის კაცი,“ რომელიც გმობს გაბატონებული წრეების მორალს.


რუსეთის ცარიზმის დროინდელი სოციალური სინამდვილის მხილება და ისახსა

მიზნად ივანე მესხმა, როცა გადაწყვიტა ეთარგმნა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტის **ნ. ა. დობროლიუბოვის** (1836-1861), რევოლუციონერთა მეორე თაობის ბელადის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის ლექსი „ამა დროის სიმღერა,“ რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული გაბატონებული საზოგადოებრივი წყობა, მათი თვითნებობა.

საქართველოში ნ. დობროლიუბოვს სამოციანელთა შორის ბევრი თავყანისმცემელი ჰყავდა. მას დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა ილია ჭავჭავაძე თავის ჟურნალში („საქართველოს მოამბე“), ხოლო აკაკი წერეთელმა „თარგმნა მისი ლექსი „ყოველთვის და ყველგან,“ რომელიც „მატ-



ნიკოლოზ ნეკრასოვი
(1821–1877)



ნიკოლოზ დობროლიუბოვი
(1836–1861)

ლის“ სახელწოდებით 1866 წელს „დროებაში“ (№22) გამოაქვეყნა.

ჩვენი აზრით დობროლიუბოვის ლექსის ივანე მესხისეული თარგმანის ქართულ გაზეთში გამოქვეყნება დიდი ქართველი მწერლების რუს ავტორთან დამოკიდებულების გამოსმაურება და მათი იდეების გაზიარებაა.

ქვეყანაში გამეფებულმა უსამართლობამ, ძალადობამ და თვითნებობამ უკარნახა აგრეთვე ივანე მესხს ეთარგმნა გოც-მიღერის ლექსი „კრიტელი დედაკაცი მორეაში,“ რომელიც თითქმის მთლიანად პასუხობს დაჩაგრულ სამშობლოზე ჭაბუკის ფიქრებსა და განცდებს, მისი გათავისუფლების დაუოკებელ სურვილს.

ივანე მესხის შრომების ბიბლიოგრაფია

ჩვენ ივანე მესხის რამდენიმე შრომას მხოლოდ გაკვრით შევვხეთ. მკითხველს სრული წარმოდგენა რომ შეექმნას მის შემოქმედებაზე, აქვე ვთავაზობთ ივანე მესხის გამოქვეყნებული შრომების ბიბლიოგრაფიას. ჩვენ შევკრიბეთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული მისი წერილები, სტატიები და გამოსხაურებები, აგრეთვე მის მიერ შესრულებული ვრცელი მონოგრაფიები, რომლებიც რუსულ ენაზე სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნდა.

მიუხედავად მრავალი ცდისა, დარწმუნებულნი ვართ, რომ ივანე მესხის ბიბლიოგრაფია სრულყოფილი არ იქნება და იგი მომავალმა ბიოგრაფებმა უნდა შეავსონ.

ივანე მესხმა ჟურნალისტური საქმიანობა მოწაფეობის დროს ხელნაწერი გაზეთით დაიწყო, მისი პირველი თარგმანები 1868 წელს, ხოლო საკუთარი პუბლიკაციები 1870 წლიდან გაზეთ „დროება“-ში გამოჩნდა. წერდა ფსევდონიმებითაც: ი. ი.; პ.; ი. მ-ხი. ი. მ.⁸⁵

წერილები, წიგნები, მოთხრობები

1. **ი. ი. (ივანე მესხი).** რიონი. მდებარეობა. მცხოვრებლები. სკოლა და მასწავლებლები. გაზ. „დროება“. 1870 წ. 25 სექტემბერი, № 38, გვ. 2, 3.
2. **ი. ი. (ივანე მესხი).** ჩრდილოეთის ციალი ქუთაისში. ხოლერა კახიანურს დაბანაკებულ ჯარში. გაზ. „დროება“. 1870 წ. 23 ოქტომბერი, №42, გვ. 1.
3. **ი. ი. (ივანე მესხი).** ხონში მიმავალი სამი გზა. ყოფა –ცხოვრება. გაზ. „დროება“. 1870. 5 ნოემბერი. №44, გვ. 2, 3.
4. **ი. ი. (ივანე მესხი).** ხონი. ბაზარი. სკოლა. გაზ. „დროება“, 1870 წ. 22 ნოემბერი, №46, გვ. 2, 3.

5. **ო. ი. (ივანე მესხი).** ხონი. მომრიგებელი მოსამართლეები ხონში. გაზ. „დროება,“ 1870 წ. 4 დეკემბერი, №48, გვ. 4.
6. **ო. ი. (ივანე მესხი).** ორიოდ სიტყვა გეგუთის რკინის ხიდზე და იქვე რკინიგზის მუშებზე. გაზ. „დროება,“ 1871 წ. 30 ივნისი, №17, გვ. 1, 2.
7. **ო. ი. (ივანე მესხი).** შვეიცარია. ციურისის ფაბრიკები. რუს მოსწავლეთა ურთიერთდამხმარე საზოგადოება, რომელშიც სამი ქართველი შედის. გაზ. „დროება,“ 1872 წ. 17 მარტი, № 11, გვ. 4.
8. **ო. ი. (ივანე მესხი).** ციურისი. ცვლილებანი სახალხო განათლების კანონმდებლობაში. გაზ. „დროება,“ 1872 წ. 5 მაისი, № 17, გვ. 1-3.
9. **მესხი ივანე.** „დროების“ კორესპონდენტის სტუდენტ ვლადიმერ ნიკოლაძის გარდაცვალება ციურისში. გაზ. „დროება,“ 1872 წ. 9 ივნისი, № 22, გვ. 3.
10. **ო. ი. (ივანე მესხი).** ციურისი. ხალხური დღესასწაულები. სამხედრო წესები. გაზ. „დროება,“ 1872 წ. 4 აგვისტო, № 30, გვ. 3, 4; 11 აგვისტო, № 31, გვ. 3, 4.
11. **ჰ. (მესხი ივანე).** ციურისი. 1 მარტს უნივერსიტეტში ყველასათვის სავალდებულო მისაღები გამოცდების შემოღების შესახებ. გაზ. „დროება,“ 1873 წ. 6 აპრილი, № 14, გვ. 4.
12. **ჰ. (მესხი ივანე).** უცხოეთში წასულ სტუდენტობის შესახებ, ციურისში ქართველ სტუდენტთა წრის დაარსება და წრის ხელმძღვანელად ივ. მესხის ამორჩევა, გაზ. „დროება,“ 1873 წ. 27 აპრილი, № 16, გვ. 1, 2.
13. **ო. ი. (ივანე მესხი).** რომის პაპის ამბავი. გაზ. „დროება,“ 1873 წ. 11 მაისი, № 18, გვ. 3.
14. **ო. ი. (ივანე მესხი).** მადნის წყლებიდან. გერმანია ომის შემდეგ. მდ. რეინის მიდამოები. კრაიცნახის წყლები. გაზ. „დროება,“ 1873 წ. 28 სექტემბერი, № 38, გვ. 1-3; 19 ოქტომბერი, № 41. გვ. 1, 2.
15. **ო. ი. (ივანე მესხი).** ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში. ჟ. „კრებული.“ 1873 წ. № 8. გვ. 141-166; № 10, გვ. 49-94.
16. **ო. ი. (ივანე მესხი).** ახირებულს მეგობარს, ახირებულს საგანზე. ლექციები ციურისში მიცვალებულის დაწვაზე და საზოგა-

- დოება. ცხოვრებაში მის გატარებაზე. გაზ. „დროება.“ 1874 წ. 17 მაისი, № 423, გვ. 3, 4.
17. **ი. ი. (ივანე მესხი).** სამშობლოს სიყვარული. წერილი მეგობარს. გაზ. „დროება.“ 1875 წ. 22 იანვარი, № 10, გვ. 1, 2; 24 იანვარი, № 11, გვ. 1-3; 26 იანვარი, № 12, გვ. 1, 3.
 18. **ივ. მესხი.** შეგირდების სადგომი სრული პანსიონით. პირობები. გაზ. „დროება.“ 1875 წ. 3 აგვისტო, № 87, გვ. 4.
 19. **ი. ი. (ივანე მესხი).** ბესარიონ ჯაფარიძის ნეკროლოგი და სურათი. უ. „ივერია.“ 1877 წ. №44, გვ. 12-16.
 20. **ივანე მესხი** და სხვ. ქართულ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიში. მის გარდა ხელს აწერენ: **ი. ჯაიანი, ალ. ჭიჭინაძე, ა. ნიკოლაძე, ანტ. ლორთქიფანიძე.** გაზ. „დროება.“ 1878 წ. 25 დეკემბერი. № 266, გვ. 3, 4.
 21. **ივანე მესხი.** ღია ბარათი **დავ. ნიკ. ბაქრაძეს.** ქუთაისში არჩევნების დროს მისი კანდიდატურის გაყვანისათვის ქრთამის გაცემაზე ხმების შესახებ. გაზ. „დროება.“ 1879 წ. 13 მაისი, № 99, გვ. 3.
 22. **ივანე მესხი.** პასუხის პასუხი **დავ. ნიკ. ბაქრაძეს** იმავე საკითხზე. გაზ. „დროება.“ 1879 წ. 31 მაისი, № 112, გვ. 2, 3.
 23. **ივანე მესხი.** პერკულესი (ვოდვეილი). არ დაბეჭდილა. 1880 წ. დაიდგა ქუთაისის თეატრში.
 24. **ივანე მესხი.** ორიოდე უკანასკნელი სიტყვა **ბ. ვლ. მიქელაძეს.** მისი გამოსვლის გამო ქალთა სკოლის წინააღმდეგ. გაზ. „შრომა.“ 1882 წ. 26 მაისი, №20, გვ. 4.
 25. **ივანე მესხი.** საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებაზე **ვლ. მიქელაძის** გამოსვლა ქალთა სკოლაზე დახმარების წინააღმდეგ. გაზ. „შრომა.“ 1882 წ. 26 მაისი, № 20, გვ. 4.
 26. **ივანე მესხი.** პასუხი პასუხად რეტროგრადს. **ვლ. მიქელაძის** გამოსვლა ქალთა უფასო სკოლაზე დახმარების წინააღმდეგ. გაზ. „შრომა.“ 1882 წ. 16 ივნისი, № 23, გვ. 4.
 27. **ივანე მესხი.** პასუხი „დროების“ №125-ში მოთავსებულ **რ. აღისუბნელის** ფელეტონზე ქუთაისის ქალაქის გამგეობის არჩევის შესახებ. გაზ. „დროება.“ 1885 წ. 23 ივნისი, № 133, გვ. 3-5.

28. **ივანე მესხი.** სიტყვა ქუთაისის საქალაქო საბჭოს სხდომაზე **დიმიტრი ყიფიანის** მოკვლის გამო და მისი დეპეშა დ. ყიფიანის ქვრივისადმი. გაზ. „ივერია.“ 1887 წ. 4 ნოემბერი, № 230, გვ. 1, 2.
29. **ივ. ს. მესხი;** (ქშწ.-კგს-ი) ბათუმის სკოლის კომიტეტის მიერ გამართული სალიტერატურო საღამოს ანგარიში (თანაავტორი **მ. ს. ბეთანოვი**). გაზ. „ივერია.“ 1894 წ. 6 მარტი, № 49, გვ. 4.
30. **ივ. ს. მესხი.** შემოწირულობანი ბათუმის სკოლის სასარგებლოდ (თანაავტორი **მ. ს. ბეთანოვი**). გაზ. „ივერია,“ 1894 წ. 14 ივლისი, №149, გვ. 4.
31. Очерк развития Батумского городского хозяйства. в. кн. `Батум и его окрестности.~ Батум. 1906. стр. 457-646.
32. **ი. ი. (ივანე მესხი).** სიმართლის ნაამბობი. მოთხრობების კრებული. შეადგინა **ვ. გადელიამ.** თბილისი. 1911 წ.
33. Памятная книжка гласных Батумской городской думы. 1912 г. 110 стр.
34. Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1913 г.: I. Справочник. II. Празднование Батумским городским управлением 1/Х 1913 г. 25-летия действия городского положения в. г. Батуме. Батум. 1914. 217 стр.
35. Месхи И. С. Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г. Батум. 1914г. 108 стр.
36. то-же, на 1915 год. Батум. 1915 г. 184 стр.
37. то-же, на 1916 год. Батум. 1916. 109 стр.
38. **ი. მესხი.** საუბარი აჭარელების მიმართ. (მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების შეერთების აუცილებლობაზე) თანაავტორი ბარკაღაია. გაზ. „სახალხო საქმე.“ 1919 წ. № 513.
39. **Месхи И. С.** Торгово-промышленная палата в Батуме. Газ. `Ехо Батума~ 1920 г. № 15.
40. **ივანე მესხი.** ბათუმის თავგადასავალი. (ხელნაწერი). ბათუმის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 36.

ივანე მესხის თარგმანები

1. **ნეკრასოვი ნ. ა.** კარგი ზნის კაცი. ლექსი. თარგმანი **ივანე მესხისა (ი. მ-ი)**. გაზ. „დროება.“ 1868 წ. 8 ნოემბერი, № 45, გვ. 3.
2. **დობროლიუბოვი ნ. ა.** ამა დროის სიმღერა. თარგმანი **ივანე მესხისა (ი. მ-ი)**. გაზ. „დროება.“ 1868 წ. 20 დეკემბერი, № 51, გვ. 2.
3. **გოც-მილერი.** კრიტიკელი დედაკაცი მორეაში. ლექსის თარგმანი **ივანე მესხისა (ი. მ-ი)**. გაზ. „დროება.“ 1869 წ. 6 მარტი, № 10, გვ. 4.
4. **გოგოლი ნ. ვ.** შინელი. მოთხრობა. თარგმანი **ივანე მესხისა (ი. მ-სა)**. ქ. „კრებულები.“ 1871 წ. № 4, გვ. 39-70; № 5, გვ. 24-58.

ივანე მესხი (მასზე)

1. ქუთაისში პანსიონის გახსნა **ივანე მესხის** მიერ. გაზ. „დროება.“ 1875 წ. 18 ივნისი, № 68, გვ. 2.
2. **დავით ბაქრაძის** პასუხი **ივანე მესხს** ქუთაისის ბანკში არჩევნების დროს მისი გაყვანისათვის ქრთამის გაღების უსაფუძვლო ხმებზე. გაზ. „დროება.“ 1879 წ. 23 მაისი, № 105, გვ. 2.
3. **ვლ. მიქელაძის** პასუხი ლიბერალს ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებლისათვის დახმარების შესახებ. გაზ. „დროება.“ 1882 წ. 30 მაისი, № 110, გვ. 3, 4.
4. **ვლ. მიქელაძის** პასუხი **ი. მესხის** წერილზე ქალთა უფასო სკოლისათვის ფულის გაღების და დახმარების შესახებ, ვითომ „ლიბერალს.“ გაზ. „დროება.“ 1882 წ. 22 ივნისი, № 128, გვ. 3, 4.
5. ბათუმის ქალაქისთავად **ი. ზ. ანდრონიკაშვილის**, გამგეობის წევრად **გრ. ვოლსკის** და მდივნად **ივანე მესხის** არჩევა. გაზ. „ცნობის ფურცელი.“ 1903 წ. 10 აპრილი, № 2118. გვ. 3, 4.
6. **იროდი მაღაზონია.** ივანე მესხი ბათუმში. ქ. „ტალღა.“ 1956 წ. № 18, გვ. 171.
7. **იროდი მაღაზონია.** ივანე მესხის ცხოვრება და მოღვაწეობა ბათუმში. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. 3. ბათუმი, 1958 წ. გვ. 105-117.

8. **იროდი მალაზონია.** ივანე სიმონის ძე მესხი. წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები.“ თბილისი. 1968 წ. გვ. 61-64.
9. **გივი მეფისაშვილი.** მესხების ოჯახი. ბათუმი. 1970 წ. გვ. 92-108.
10. **ივანე მესხი.** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 6. თბილისი. 1983 წ. გვ. 602.
11. **მესხი ივანე.** ქართული მწერლობა. I. თბილისი. 1984 წ. გვ. 357, 358.
12. **ალექსანდრე კაღანდაძე.** ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 3. 1983 წ., გვ. 660-675; ტ. 5. 1987. გვ. 190-201.
13. **თეიმურაზ კომახიძე.** ბათუმის ამაგდარნი. ბათუმი. 1993 წ. ივანე მესხზე, გვ. 90-96.

* * *

ივანე მესხის შემოქმედება ამ ბიბლიოგრაფიით არ ამოიწურება. ჩემი დრმა რწმენით, მისი სხვა ნაწარმოებები გაბნეულია სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ მათი ავტორის ვინაობის დასადგენად არ უზრუნვიათ. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს 1911 წელს ვ. გადელიას მიერ შეკრებილი და გამოცემული 358-გვერდიანი მოთხრობების კრებული „ალიონი,“ რომელშიც შეტანილია 25 ნაწარმოები, მათ შორის ცნობილი ქართველი მწერლებისა: ეკ. გაბაშვილის, გიორგი წერეთლის, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის, იროდიონ ევლოშვილის, განდევილის, ია ეკალაძის და სხვ.

რიგით 25-ე მოთხრობის, რომელსაც სახელად „სიმართლის ნაამბობი“ ქვია, **ავტორია ი. ი.** ასეთი კრიპტონიმი **ივანე მესხის** გარდა არავის გამოუყენებია, ამიტომ ჩვენ დრმა რწმენით ეს მოთხრობაც მისი კალამის ნაყოფია და ჩვენ იგი თამამად შევიტანეთ ივანე მესხის ბიბლიოგრაფიაში. კრებული ინახება საქართველოს ეროვნულ და თბილისის სახ. უნივერსი-ტეტის ბიბლიოთეკებში.

ბოლოთქმა

ივანე მესხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ვერ შეეღია ბათუმს და ცოტა ხანს აქ კვლავ მსახურობდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე აქ აპირებდა დარჩენას, მაგრამ შეიღებმა, სიმონიკამ და ილიკომ, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს და თბილისში ცხოვრობდნენ, თავისი გაიტანეს. მათ მოხუცი მამა, მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად, თბილისში გადაიყვანეს და მან მთელი სიცოცხლე აქ გაატარა.

დავით მესხის თქმით, მას ძალა კვლავ ერჩოდა და აპირებდა თბილისში სამსახურს: „ივანემ ერთხელ შემომჩივლა: ჯერ კიდევ შემეძლო მუშაობა, შვილებს დავაწეკი



ეკატერინე დაშკევიჩ-მესხისა (რძალი, სიმონიკას მეუღლე), ილიკო მესხი (ივანეს უმცროსი ვაჟი), ივანე მესხი, სიმონიკა მესხი (ივანეს უფროსი ვაჟი), ქეთევან მესხი (ივანეს ქალიშვილი), ეკატერინე გაბუნია-მესხი (ივანეს მეუღლე).

სარჩენადო. სწუხდა და სანამ დღე არ დაეთვალა, საქმეს ეძებდა, სამუშაოს“.⁸⁶


ივანე მესხი გარდაიცვალა 1931 წელს, 82 წლის ასაკში, თბილისში და იქვეა დაკრძალული.

სამწუხაროდ ჩვენ ვერ შევძელით ივანე მესხის წინაპრებისა და შთამომავლობის სრული შემადგენლობის წარმოჩენა, მაგრამ ის, რაც შეეძელით, მკითხველს ვთავაზობთ გენეალოგიური სქემის სახით.

ივანე მესხი და მთლიანად მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი ნამდვილად ღირსია იმისა, რომ მათზე მომავალმა მკვლევარებმა შექმნან სრულყოფილი და ყველაფრისმომცველი ნაშრომი.




ქეთევან ივანეს ასული მესხი, პედაგოგი, ბათუმის სათათბიროს თანამშრომელი




მეცნიერებათა აკადემია
წყალტუბო, ს. რიონი
სიმონ მესხის შტო
შეადგინა რამაზ სურმანიძემ
19 ივნისი, 2013 წ.

ახსნაობა



საბჰარეულო ბერბი



ავტორები
მიხეილ მაყაშვილი
დავით კლდიაშვილი
2004 წ.

ლიტერატურა

1. ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი. 1997. გვ. 139.
2. დავით მესხი. მოგონებანი. თბ. 1940. გვ. 6.
3. იაკობ ასუაშვილი. ქართული გვარ-სახელები. ტ. I. თბ. 1991. გვ. 450.
4. შალვა ამონაშვილი. ქართველი მწერლები. ჟ. „განთიადი“. ქუთაისი. №1,2; 1994 წ.
5. ქართული მწერლობა. ლექსიკონი-ცნობარი. I. თბ. 1984. გვ. 135.
6. Г. Смолицкая, М. Горбановский. Топонимия Москвы. Москва. 1982. стр. 85.
7. Н. Кищик. Раскопки у красной площади. газ. „Известия“. 30 августа, 1988 г.
8. რეზო ერისთავი. გაზ. „პოსტ-სკრიპტუმ“, №28, 16-22 ივლისი, 2001 წ. გვ. 9.
9. „ქართლის ცხოვრება.“ ტ. II. თბ. 1959. გვ. 283. **სიმონ ყაუხჩიშვილის** გამოკვლევებით და კომენტარებით.
10. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 233.
11. ქართული მწერლობა... გვ. 161.
12. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. თბ. 2004 წ.
13. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (ქსა). H-კოლექცია. საბ. №770. ტ. II თბ. 1951. გვ. 146.
14. ქსა. A-კოლექცია, საბ. №346. ტ. I. თბ. 1985 წ. გვ. 64.
15. ქსა. S-კოლექცია, საბ. №4932, ტ. VI. თბ. 1969. გვ. 294.
16. ქსა H-კოლექცია, საბ. №172. ტ. I. თბ. 1946. გვ. 186.
17. იქვე. საბ. №178. გვ. 121.
18. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები. **ზურაბ ჭუმბურიძის** რედაქციით. თბ. 2005. გვ. 301.
19. მიხეილ რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო. თბ. 1989. გვ. 184.
20. გიორგი მისირელი. გუარი ესე, რომელ არს ნიჟარაძე. თბ. 2005. გვ. 34-36.
21. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა. თბ. 1958. გვ. 107, 108. გამოსცა შ. ბურჯანაძე.

22. იქვე, გვ. 95, 98, 100, 101, 111, 113, 114, 117, 126, 127
23. ქართლის ცხოვრება. IV. გვ. 335.
24. **მერაბ კეზევაძე.** ქართული გვარ-სახელები იმერეთში. ქუთაისი, 2004წ.
25. იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. პროფ. **ზურაბ ჭუმბურიძის** საერთო რედაქციით. თბ. 1991 წ. გვ. 383-385.
26. **დავით მესხი...** გვ. 7, 8.
27. ქსა. H-კოდექცია, საბ. №1514ლ. ტ. IV თბ. 1950. გვ. 25.
28. გაზ. „დროება.“ 1878 წ. 25 მაისი, №101 გვ. 2; 1880 წ. 23 მარტი, №65, გვ. 2, 3; 1882 წ. 22 აპრილი, № 82, გვ. 3, 4.
29. ქ „ქართული ბიბლიოთეკა“, 1883 წ. №4, გვ. 3-122; №5, გვ. 146; №7-8, გვ. 17-127.
30. **А. Абрамишвили.** Грузинская периодика. Тб. 1968. стр. 48, 49.
31. გაზ. „ივერია“, 1898 წ. 8 დეკემბერი, №262, გვ. 3.
32. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., 9 დეკემბერი, №699, გვ. 3.
33. დ. მესხი... გვ. 43).
34. **გივი მეფისაშვილი.** მესხების ოჯახი. ბათუმი. 1970. გვ. 59.
35. **დ. მესხი...** გვ. 42, 43.
36. იქვე, გვ. 52, 53.
37. **ირიდი მაღაზონია.** ივანე მესხის ცხოვრება და მოღვაწეობა ბათუმში. აჭარის სახ. მუზეუმის შრომები. ტ. 3, ბათუმი. 1958. გვ. 105-116.
38. **ალექსანდრე კალანდაძე.** ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 3. თბ. 1985. გვ. 660-675; ტ. 5. თბ. 1987. გვ. 190-201.
39. გაზ. „დროება“, 1871 წ. 3 ივნისი, № 17, გვ. 1, 2.
40. საარქივო მასალები მე-19 ს-ის 70-ანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. თუშანიშვილების წერილები. მოამზადა **ელისო აბრამიშვილმა.** თბ. 1965. გვ. 137.
41. **ნიკო ნიკოლაძე.** რუსული ნაწერები. ტ. 2, გვ. 69-70.
42. გაზ. „დროება“, 1873 წ. 27 აპრილი, № 16, გვ. 1, 2.
43. **სერგეი მესხი.** წერილები. სოხუმი. 1950. გვ. 94.
44. **რამაზ სურმანიძე.** მედიქიწვილები. თბილისი. 2003. გვ. 103.

45. გაზ. „დროება“, 1875 წ. 3 აგვისტო, №87, გვ. 4.
46. გაზ. „შრომა“, 1882 წ. 26 მაისი, №20, გვ. 4; 16 ივნისი, №23, გვ. 4.
47. **დავით კლდიაშვილი**. მოთხრობები და პიესები. თბილისი. 1947. გვ. 668.
48. **Иван Месхи**. Памятная Книжка гласных Батумской Думы на 1914 г. Батум. 1914. с. 44-46.
49. **დავით კლდიაშვილი**. ჩემი ცხოვრების გზაზე. თბილისი. 1961 წ. გვ. 96, 97.
50. **რამაზ სურმანიძე**. ივანე ანდრონიკაშვილი. თბილისი. 2010. გვ. 17-19.
51. Батум и его окрестности. Батум. 1906, стр.460.
52. აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 36, გვ. 1.
53. **კოტე მესხისადმი** გაგზავნილი ორივე წერილი ციტირებულია **იროდი მალაზონიას** ნაშრომიდან (იხ. ლიტ. №37).
54. **რამაზ სურმანიძე**. ლუკა ასათიანი. თბილისი. 2011. გვ. 165.
55. **ისიდორე რამიშვილი**. მოგონებები. თბ. 2012. გვ. 274.
56. **გურამ შარაძე**. ილია ჭავჭავაძე. ტ. I. თბ. 1987. გვ. 308.
57. იქვე, გვ. 296, 297.
58. მასალები XIX ს. 60-90-ანი წლების საქ. საზ.-კულტ. ცხოვრებოდან. (კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა) გამოსაცემად მოამზადა **ელისო აბრამიშვილმა**. თბილისი. 1981. გვ. 66.
59. **ალ. კალანდაძე**. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. III. თბ. 1985. გვ. 661.
60. ლიტ. № 58, გვ. 81, 84, 85, 104,183.
61. **ნიკო ნიკოლაძის** არქივი. თბილისი. 1945 წ. გვ. 63.
62. **იროდი მალაზონია...** გვ. 106.
63. იქვე, გვ. 64.
64. იქვე, გვ. 124.
65. იქვე, გვ. 48.
66. იქვე, გვ. 309.
67. იხ. ლიტ. № 48, გვ. 217.

68. **დავით კლდიაშვილი.** ჩემი... თბილისი. გვ. 49.
69. იქვე. გვ. 69.
70. იქვე. გვ. 71.
71. იქვე. გვ. 82.
72. იქვე. გვ. 87, 88.
73. იქვე. გვ. 93.
74. იქვე. გვ. 95.
75. იქვე. გვ. 98, 99.
76. იხ. ლიტ. №48, გვ. 210-213.
77. იქვე. გვ. 213-216.
78. იქვე. გვ. 215-219.
79. **რამაზ სურმანიძე.** ლუკა ასათიანი. გვ. 107.
80. **ვალერიან კვაჭაძე, რამაზ სურმანიძე.** ჯანმრთელობის სამკვდლო. ბათუმი. 1974. გვ. 8.
81. იხ. ლიტ. №51, გვ. 573.
82. გაზ. „დროება“, 1870 წლის 22 ნოემბერი, № 46, გვ. 2, 3.
83. **ალ. კალანდაძე.** ქართული... ტ. 5. გვ. 191.
84. გაზ. „დროება“, 1873 წ. 28 სექტემბერი, №38, გვ. 1-3; 19 ოქტომბერი, №41, გვ. 1, 2.
85. **ალ. კალანდაძე.** ქართული... ტ. 5, გვ. 109, 117).
86. **დავით მესხი...** გვ. 39.



ავტორი

რამაზ სურმანიძე დაიბადა 1933 წელს სოფელ ჭალაში (შუახევის რ.). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1956 წ.), არის მეცნიერებათა დოქტორი (1999 წ.), პროფესორი, 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი.

რამაზ სურმანიძე 1983 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, ხოლო 1987 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი, ოთხი რომანისა და მოთხრობების შვიდი კრებულის, აგრეთვე 1000-მდე პუბლიცისტური და საბიოგრაფიო წერილის ავტორი.

რამაზ სურმანიძე ოთხჯოის აირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს, ხოლო 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად. მინიჭებული აქვს აბუსერისძე ტბელის, ილია ჭავჭავაძის და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არის ქ. ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ს რ ჩ ე ვ ი

ნ ა წ ი ლ ი კ ი რ ვ ე ლ ი

წინათქმა -----	4
გვარის წარმომავლობა -----	7
მეხს გვარმეწილთა აღბილი საქართველოს ისტორიაში -----	10
მეხსები – მოსკოვის დამაარსებლები? -----	11
ანტონ და მაკარი მეხსები -----	14
მეხსები კველ ქართულ ხელნაწერებში -----	17
მეხსთა გვარის წოდებრიობა -----	25
მეხსები იმერეთში (სოფლები, წოდებები) -----	25
იმერეთის თავადაზნაურთა ოჯახები (მეხსები) -----	27

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ივანე მეხსის ოჯახი -----	32
მშობლები -----	32
და-ძმები -----	35
ბიორბი -----	35
პელებია -----	36
ხერბეი -----	37
ანა -----	38
მისეილი -----	43
ნესტორი -----	44
კოტე (იაკობი) -----	44
ღავითი -----	46
ევემია -----	48
მარიამი -----	50
კონსტანტინე -----	51
ნინო (ნუნა) -----	52

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

ივანე მესხი (ცხოვრება და მოღვაწეობა) -----	54
სტუდენტობის წლები -----	56
პედაგოგიური საქმიანობა -----	61
ქუთაისის ბანკი, თვითმმართველობა -----	63
ბათუმში -----	64
ქალაქის მდივანი -----	67
ივანე მესხის კუპლიცისტური მემკვიდრეობა -----	79
კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა -----	83
ილია და ივანე მესხი -----	89
ივანე მესხი კირილე ლორთქიფანიძის წერილებში -----	92
ივანე მესხი და ნიკო ნიკოლაძე -----	95
ივანე მესხი და ღავით კლდიაშვილი -----	99
ივანე მესხის მოღვაწეობის 25 წლის იუბილე -----	105
ივანე მესხის ნაშრომები -----	113
ა) ბათუმის საქალაქო მუშრნეობის განვითარების ნარკვევები --	113
ბ) სამახსოვრო წიგნაკი -----	123
ბ) ბათუმის თავგადასავალი -----	133
ბათუმის თავგადასავალი -----	133
ივანე მესხი – ჟურნალისტი -----	146
ივანე მესხი – მთარგმნელი -----	151
ივანე მესხის შრომების ბიბლიოგრაფია -----	154
წერილები, წიგნები, მოთხრობები -----	154
ივანე მესხის თარგმანები -----	157
ივანე მესხი (მასზე) -----	158
ბოლოთქმა -----	160
მესხთა გენეალოგია -----	162
ახნაურ მესხთა საგვარეულო გერბი -----	163
ლიტერატურა -----	164
ავტორი -----	168

ოპერატორი

ნანი გორგაძე

დამკაბადონებელი

ანაიდა ავეტისიანი

კორექტორი

მარინა გოგუაძე

ფოტორეპროდუქციები

ზურაბ სურმანიძისა

